



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 4 (12) 2009

თია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029


ISSN 1512-374X

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ხ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე	მთავარი რედაქტორი
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოთარ ბალათურია	პასუხისმგებელი მდივანი

რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრამი (გარმელია), ეგგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოსატყავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.
Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677
e-mail: office@odageorgia.ge

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

თეორია

მაია ამირგულაშვილი
პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობა-----3

თამაზ ნუცუბიძე
გლობალიზაცია და დემოკრატია-----12

ისტორია

გიორგი ბაღათურია.
„გურიაში მივალ მარა, სულმა წინ-წინ გეიპარა...“-----20

თენგიზ გრიგოლია.
რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გეოპოლიტიკური ასპექტები.
-----54

რუსუდან დაუშვილი
ვეროპის სახელმწიფოები და ქართული ემიგრაცია
XX საუკუნის 20-30-იან წლებში-----61

ოთარ ქოჩორაძე
მენჯემენტის ეროვნული სკოლები-----76

პრაქტიკა

აკაკი რატიანი
ტურიზმი და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის
განვითარების პრობლემები-----96

საზოგადოება

ბადრი ცხადაძე
წანარები და „წანარულ“ ქორ, ქორეპისკოპოს სახელთა
ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის-----104

თ ე ო რ ი ა

მაია ამირზუღაშვილი პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა თავისუფლების სტრუქტურის შემადგენელი ელემენტია. პასუხისმგებლობა არსებობს იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც არსებობს თავისუფლება. პირველს არა აქვს ადგილი იქ, სადაც მეორე არ არსებობს.

განასხვავებენ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის სამ სახეს: პოლიტიკურს, ზნეობრივს და იურიდიულს.

პოლიტიკური პასუხისმგებლობა სამართლის სფეროა და განისაზღვრება სახელმწიფოს საქმიანობით – მისი წარმატებით ან წარუმატებლობით. იგი ეკისრებათ პოლიტიკურ მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ეარმომადგენლებს, სახელმწიფო მოხელეებს, რადგანაც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ძირითადად პასუხს აგებს ოფიციალური ხელისუფლება.

საკუთარი პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეფასება რთულია. დემოკრატიის პირობებში ხელისუფლების კრიტიკა კანონით დაშვებულია და ოპოზიცია მას სრულიად იყენებს, მაგრამ მსაჯულად არ გამოდგება, რადგან დაინტერესებულია ხელისუფლების შეცდომების მხილებით, რათა მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს – აიძულოს ხელისუფლება გადადგეს, რომ თვითონ აიღოს ხელში სახელმწიფო მართვა. ამდენად, პოლიტიკურ მოვლენათა განსჯა და მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრაც შეუძლია მხოლოდ ისტორიას. ერთადერთი ისტორიაა პირუთენელი და ობიექტური მსაჯული.

ზნეობრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ მორალური პრინციპებით და ნორმებით, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვთ. ინდივიდი, რომელიც მათ დაარღვევს, ითვლება ზნეობრივი ნორმების დამრღვევად.

არცთუ იშვიათად პასუხისმგებლობა თავისუფლების საფასურია, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ნებაყოფლობით არ მოქმედებს, იგი ზოგჯერ იძულებულია აკეთოს ის, რაც არ უნდა, მაგრამ ამით იგი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება. იძულება ადამიანს არ ართმევს ნების თავისუფლების უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს გააკეთოს არჩევანი და თუ მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა,

შეიძლება გაეუფოთ და შევიბრალოთ, მაგრამ ჩვენი სიბრაღური ვერ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. [1. გვ. 97-100]

თავის დროზე პოლიტიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართების პრობლემას არისტოტელემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით პოლიტიკაში მორალი – ზნეობა უნდა დომინირებდეს. „ზნეობრიობის გარეშე ადამიანი ყველაზე ცოდვილ და ყველაზე ველურ არსებად იქცევა“.

მაკიაველის აზრით, პოლიტიკოსი სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს, და „როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი უნდა შევიკავოთ იმაზე მსჯელობისაგან, სამართლიანია ესა თუ ის გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ღმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი; ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას“. [2. გვ.24] არ შეიძლება სახელმწიფო ინტერესთა გულუბრყვილოდ, ანდა დემაგოგიურად ამოქმედება. მათზე საჭიროა ვიკისროთ ზნეობრივი პასუხისმგებლობა, არა უშუალოდ პოლიტიკოსთვის პასუხისმგებელ პირთა „კაბინეტებში“, არამედ საზოგადოებრივი აზრის, სახელმწიფოს ფორუმების წინაშე. მაკიაველის აზრით, „რეზულტატებზე ორიენტირებული პოლიტიკოსები ხანდახან ამორალურად იქცევიან და პირიქით, ზნეობრივი პრინციპებით მოღვაწე პოლიტიკოსების საქმიანობა ხშირად მთავრდება კრახით. მისი რჩევა პოლიტიკოსისათვის, – თუ როგორ მოიქცეს იგი არა ექსტრემალურ სიტუაციაში, არამედ ნორმალურ ვითარებაში ასეთია: „იმოქმედეთ ზნეობრივი პრინციპებით, როცა შეიძლება და ამორალურად – როცა საჭიროა! და უფრო მოსაჩვენებლად, ვიდრე გასაკეთებლად“. [2. გვ.34] ე.ი. მაკიაველი პოლიტიკას მორალსა და კანონზე მაღლა აყენებს. მან თავისი კონცეფციით პოლიტიკა გამოიწვნა მორალისაგან. ეს არის ფრიად დელიკატური პრობლემა, რომელიც არსებითად ძალისა და სამართლიანობის თანაფარდობამდე დაიყვანება. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, იშვიათად თუ ვინმეს გამოუთქვამს უფრო ცხადად ამ თანაფარდობის არსი, ვიდრე ეს გააკეთა პასკალი: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრება ძალა, უძღურია; ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა. ტირანულია... საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა, ამიტომ ან

სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა სამართლიანი“. [3. გვ.176]

ძლიერი სამართლიანობა, სამართლიანი ძალა – აი, სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ზნეობის მარადიული იდეალი. მხოლოდ იმ სახელმწიფოთა პოლიტიკაა მორალური, რომელიც კანონიერებისა და ძალაუფლების ჰარმონიული თანამშრომლობის მეშვეობით სამართლიანობის განხორციელებასა და თანაფარდობას ისახავს მიზნად.

პოლიტიკისა და მორალის თანაფარდობა შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით თუ ამ ორი ფაქტორიდან, რომელია განმსაზღვრელი: პოლიტიკა შეიძლება ექვემდებარებოდეს მორალს, ანდა, პირიქით, თვითონ ექვემდებარებდეს მას. პირველ შემთხვევაში პოლიტიკა მორალურია, მეორეში კი თვით მორალი ხდება პოლიტიკური. მორალური პოლიტიკა თავისი მოქმედებისას პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს, მაშინ როდესაც პოლიტიკური მორალი უკვე აღარ არის მორალი, ვინაიდან მთლიანად ექვემდებარება პოლიტიკურ ეგოიზმს.

მაქს ვებერმა პოლიტიკაში, მიზნისა და საშუალებების ურთიერთობის პრობლემა მაკიაველის პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციით განავითარა. მან „შეარია“ მორალი და ძალადობა მათი მოქმედებათა სფეროს საზღვრების დადგენის გზით. მისი აზრით, „პოლიტიკაში ქცევის ერთნაირი მორალური კოდექსი არ შეიძლება არსებობდეს და კონკრეტულ სიტუაციაში თავად პოლიტიკოსმა უნდა გადაწყვიტოს როგორ მოიქცეს“. [4. გვ. 64]

მაქს ვებერმა თავისი კონცეფცია პასუხისმგებლობის შესახებ პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ეპოქალური გარდატეხის შუაგულში ჩამოაყალიბა. მან თავის ბოლო ნაშრომებში ე.წ. პასუხისმგებლობის ეთიკა ახლოს განათავსა წარმატების ეთიკასთან და ნაცვლად „ძალისმიერი“ პოლიტიკისა იგი საუბრობს პასუხისმგებლობის პოლიტიკაზე.

ზნეობრივად პასუხისმგებელია მხოლოდ პიროვნება. ზნეობრივი პასუხისმგებლობის მსაჯულია საზოგადოებრივი აზრი და სინდისი. ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე წერს: „ზნე-მადალი კაცისათვის ნამუსი უფრო დიდი საქონელია, ვიდრე ჭკუა და ამისთანა კაცი სულელის სახელს უფრო ირჩევს, ვიდრე უნამუსოსას... ზნე-ხასიათის წრთენა შინაგანის კაცისა...რადგანაც შინაგნობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე წრთენ ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის

ბუნებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, – ადამიანობისა“. [5. გვ. 133 296]

საზოგადოებრივი აზრის მიერ ზნეობრივი დანაშაულის გაკიცხვა მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს მიუკერძოებელი. დიქტატურის პირობებში იგი ხელისუფლების მსახურია, ამიტომ ვერ იქნება ობიექტური.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანს, რომელიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება სისხლი სამართლის დამნაშავეს – დანაშაულის ჩამდენს და მის თანამონაწილეს, ზნეობრივად კი პასუხს აგება არა მხოლოდ ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ ისიც, ვისაც მასში არავითარი მონწილეობა არ მიუღია. ბოროტებისადმი თანაგრძნობა ან გულგრილობაც კი ზნეობრივი დანაშაულია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, სადაც ავტორმა ზნეობრივ დანაშაულში დასდო ბრალი მოხუც პეტრეს და მისი სახით მთელ საზოგადოებას.

საინტერესოდ განიხილავს პროფესორი ვ. ერქომაიშვილი დავით აღმაშენებლის პიროვნებას და აფასებს მის სახელმწიფოებრივ საქმიანობას. დავითმა თავისი ენერგიული და შორსმჭკრეტელური პოლიტიკით თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან საქართველო გაწმინდა მტრებისაგან, შექმნა ძლიერი სახელმწიფო. იგი დაუნდობელი იყო გარეშე თუ შინაური მტრების მიმართ. მსტოვართა ინსტიტუტი აიყვანა სახელმწიფოებრივ დონეზე. მტერთან ბრძოლის დროს მიმართავდა მოუფლოდნელ თავდასხმებს, რითაც აღწევდა გაუგონარ წარმატებებს, რაც მისი სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა იყო.

უდავოა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდები როგ შემთხვევებში ზნეობის ფარგლებს სცილდება, მაგრამ მისი მოღვაწეობა არ უნდა შევაფასოთ როგორც უზნეობა. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკის სფეროა, რომელიც არ ექვემდებარება ზნეობას და არ რეგულირდება მისი ნორმებითა და პრინციპებით.

აქ საკითხი უნდა დაისვას გამოუვალობის თვალსაზრისით. შეეძლო თუ არა მეფეს სხვაგვარად იმ სიტუაციაში ქვეყნის გადარჩენა. ცხადია, რომ მარტო მიტევებითა და შენდობით, კაცთმოყვარეობით და ღმობიერებით იგი არა თუ გაიმარჯვებდა, არამედ მცირე წარმატებაც კი გამორიცხული

იყო. მაშასადამე, მეფე იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში მიემართა ზნეობრივი თვალსაზრისით გაუმართლებელი მეთოდებისათვის. სხვაგვარად მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს სრული კრახი ელოდა. ამიტომ დავით IV-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა სამართლიანია, რადგანაც მიზანი ქვეყნის კეთილდღეობა იყო, ხოლო საშუალება – მისი პიროვნული შესაძლებლობანი, რომელიც სამშობლოს ინტერესებს არ გასცილებია.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში ერთმანეთში იყო შერწყმული სიმკაცრე და ჰუმანიზმი, ამიტომ, მისი როგორც პიროვნების შეფასება უნდა მოხდეს სხვა კრიტერიუმებით. კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, ქველმოქმედება და სათნოება – აი, თვისებები, რომლითაც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური სფეროს მიღმა. და რაც მთავარია, მას, როგორც პიროვნებას, აწუხებდა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი, რის გამოც მიტკეუბას სთხოვდა უფალს. ამის დასტურია მისი „გალობანი სინანულისანი“.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს წინაშეა ორი სრულიად განსხვავებული სულის მქონე ადამიანი – პოლიტიკოსი და პიროვნება. დავით IV, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სასტიკი და დაუნდობელია, ხოლო, როგორც პიროვნება, კაცთმოყვარე და შემწყნარებელია. პირველი სამართლიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უზნეო, მეორე კი – ზნეობრივია, ზოგჯერ არასამართლიანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსამართლო.

ეს დახასიათება პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას პოლიტიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს შორის. პირველი სამართლიანობა-უსამართლობის, ხოლო მეორე ზნეობრიობა-უზნეობის სფეროა. შესაბამისად პოლიტიკოსი შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამართლიანი ან უსამართლო, ხოლო პიროვნება – როგორც ზნეობრივი ან უზნეო.

ამრიგად, პოლიტიკა სამართლის სფეროა და არა ზნეობის. როდესაც დისბალანსია პოლიტიკურ პასუხისმგებლობასა და ზნეობის პრინციპებს შორის, მაშინ ადამიანები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ პოლიტიკურ ზნეობას. ხალხმა იცის, რომ ხელისუფლებაში მათთვის მიუწვდომელი მაქინქციებია და სხვა ნეგატიური პროცესები მიდის, მაგრამ არ ძალუძთ რაიმეს შეცვლა, ამიტომ მათი მონაწილეობა პოლიტიკაში მხოლოდ ხმის მიცემით იფარგლება (ზოგჯერ ამასაც არ აკეთებენ) ე.ი.

ურიგდება საერთო მდგომარეობას და ცდილობს თავისი პრობლემები მოაგვაროს თუნდაც უკანონო გზით. როგორც მონტესკიე აღნიშნავს „ხრწნა იშვიათად იწყება ხალხიდან..., ამიტომ ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა ელიტამ თუ პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არსებობს ზნეობა, რომელსაც ანგარიშის გაწევა სჭირდება“. [6. გვ. 70], რადგანაც მათ უკან დგას ისტორია, ყველაზე მართალი მსაჯული, რომელსაც შეუფასებელი და განუსჯელი არაფერი რჩება, რისი არაერთი მაგალითიც ვიცით. ისტორია გადააფასება უზნეო პოლიტიკოსთა „ღვაწლს“, რომელთაც ჰგონიათ, რომ მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას.

ამ თვალსაზრისით, მისაღებია ფეგელის მოსაზრება, რომ საშუალება იგივე მიზანია და სწორედ საშუალებებში იხსნება მიზნის რეალური არსი, ზნეობრივი ღირებულება.

ლიტერატურა:

References

1. v. erqomaiSvili, filosofia, Tb. 1998w.
2. n. makiaveli, mTavari, Tb. 1984w.
3. b. paskali, azrebi. saunje, Tb. 1976w #2.
4. М. Вебер. Избранные произведения. М. 1990г.
5. ilia WavWavaZe, Txz. t.IV. t.VIII. Tb. 1987w.
6. S. I.Lmonteskie, kanonTa goni, Tb. 1994w.

Maia Amirgulashvili

Political and moral responsibility

Summary

There are distinguished three types of the public responsibility: political, moral and legal. Our problem is to consider first two types.

The political responsibility is a political sphere and is defined by the state activity, its success or failure. It obliges politicians, first of all, representatives of the government, government officials, as basically the government is responsible for the created position in the country.

The moral responsibility is defined by the principles and norms which have universal values. which will break them, it is considered as infringement of moral standards.

Usually, the responsibility is estimated by freedom, but a person not always operates at the will, sometimes he must do that is not be desirable it, but the fact doesn't relieves him from the responsibility.

In the past time Aristotle paid attention to the problem of mutual relation of policy and morals. According to his opinion morals should dominate in the policy. According to Machiavelli, a politician should be guided by the state interests. It is impossible to start the state activity by demagogic way, it is necessary to include moral responsibility. Machiavelli puts the policy and morals above laws. According to his opinion, politicians focused on results, sometimes act immorally and on the contrary, activity of politicians focused on moral principles often comes to an end with crash. Its advice to politicians is the following: « operate with moral principles when it is possible and immorally – when it is necessary! And do it for visual effect than for business.

Thus, we can tell, that the policy is a legal sphere, instead of moral. When there exists some

Inequality between the political responsibility and moral principles, people eternally gives value of political morals. From this point of view, means is the purpose and in means the real essence of the purpose and moral values are explained.

Keywords: political, reasonable - rational, responsibility, force-power, justice, moral, goalaim-purpose, possibility, freedom, government, authority, rule, regime, norms, principles .

Reviewer – professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

Амиргулашвили Майя Ушангиевна
Политическая и моральная ответственность

Резюме

Различают три типа общественной ответственности: политическая, моральная и юридическая. Наша задача рассмотреть первые два типа.

Политическая ответственность - это политическая сфера и определяется государственной деятельностью, её успехом или неудачей. Она объязывает политических деятелей, в первую очередь, представителей правительства, государственных чиновников, так как в основном правительство является ответственным за создавшееся положение в стране.

Моральная ответственность определяется теми принципами и нормами, которые имеют общечеловеческие ценности. который их нарушит, считается нарушением моральных норм.

Не так уж редко, ответственность оценивается свободой, но человек не всегда действует по своей воле, иногда он обязан делать то что ему не хочется, но этим он не освобождается от ответственности.

В своё время Аристотель обратил внимание на проблему взаимоотношения политики и морали. По его мнению в политике должен доминировать мораль. По мнению Макиавели, политик должен руководствоваться государственными интересами. Нельзя государство привести в действие демогогическим путём, необходимо включить моральную ответственность. Макиавели политику и мораль ставит выше законов. По его мнению, политики ориентированные на результаты, иногда поступают аморально и наоборот, деятельность политиков ориентированных на моральных принципах часто заканчивается крахом. Его совет политикам таков: «действуйте моральными принципами, когда возможно и аморально – когда необходимо! и больше для видимости, чем для дела.»

Таким образом, можем сказать, что политика – это юридическая сфера, а не моральная. Когда существует дисбаланс между политической ответственностью и моральными принципами, тогда люди вечно предают значение политической морали. С этой точки зрения, средство является целью и именно в средствах объясняется реальная сущность цели, моральная ценность.

Ключевые слова: политический, разумный, ответственность, сила мощь, справедливость, мораль, цель, принципы, свобода, государство, власть, норма, возможность средство.

Рецензент – профессор Григолиа Тенгиз Бондоевич, Грузинский технический университет.

თამაზ ნუცუბიძე გლობალიზაცია და დემოკრატია

თანამედროვე მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია და დემოკრატია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ამასთანავე დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამყარონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობას სხვა ქვეყნების თუ ცივილიზაციების მხრიდან.

ამდენად გლობალიზაცია არ არის მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ აგრეთვე ახალი მწვავე პრობლემები სულიერი კულტურის ინდივიდის იდენტიფიკაციის პროცესში, ეროვნული ცნობიერებისა და საერთოდ ერების თვითმყოფადობის, თანასწორებისა და სამართლიანობის პრობლემას.

გლობალიზაციის პროცესში შენარჩუნებულ უნდა იქნას ერის ხასიათის ძირითადი თავისებურებანი ეროვნული კულტურის თვითმყოფადობა და უნიკალურობა. ხშირად სახელდება სრულიად დამარწმუნებელი არგუმენტი იმის შესახებ, რომ თანამედროვე სამყაროში ცხოვრების წესის შერჩევის თავისუფლება სინამდვილეში არ ნიშნავს თავისუფალი არჩევანის რეალურ შესაძლებლობას. ასევე საეჭვოა, შეუძლიათ თუ არა ნაკლებ გაველენიან ცივილიზაციებს გაუწიონ წინააღმდეგობა დასავლურ ზეგავლენას. უეჭველია, რომ ეს შეშფოთება საყურადღებოა, განსაკუთრებით, რადგან ადგილობრივი კულტურული ტრადიციები აშკარად დაუცველნი არიან, ვინაიდან იმყოფებიან ასეთი გამაყრუებელი დასავლური ზეგავლენის ქვეშ. თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია აზრებისა და რეგიონალური სტრუქტურების ინტეგრაცია. აქ ინტერესს წარმოადგენს სულ მცირე ორი საკითხი.

პირველი, არსებობს საბაზრო კულტურის ძალაუფლება და ძალა, რომელიც წარმოადგენს იმ მოდელის განუყრელ ნაწილს და ფორმას, რომელსაც იღებს სულ უფრო და უფრო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი. ისინი, ვისაც ბაზარზე ორიენტირებული კულტურის ფასეულობები და უპირატესობები ვულგარულად და ღარიბად ეჩვენება, თვლიან, რომ

ეკონომიკური გლობალიზაცია თავისთავად სრულიად მიუღებელია. ამასთანავე ისინი ხშირად განიხილავენ გლობალიზაციას თავისუფალი ბაზრის ბაზაზე როგორც შეუკავებელ პროცესს, საბაზრო ეკონომიკის შეღწევადი ძალის და სიმძლავრის გათვალისწინებით, ასევე რესურსების უდიდესი მოცულობის გათვალისწინებით, რომლებიც მას შეუძლია ჩართოს ქვეყნის გარდაქმნაში.

მეორე პრობლემა ეხება დასავლეთს და სხვა ქვეყნებს შორის ძალაუფლების ასისიმეტრიას, ასევე იმის ალბათობას, რომ მას შეუძლია გადაიზარდოს ადგილობრივი კულტურული ტრადიციების, პოეზიის, დრამატურგიის, მუსიკის, ცეკვის ხელოვნების, კულინარული ჩვეულებების (ადათის) ნგრევაში.

უეჭველია, რომ მსგავსი საშიშროება არსებობს და მისგან თავის დაღწევა ძნელია. ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესისაგან განდგომა თითქმის შეუძლებელია და ასეთი

მცდელობა ქვეყნის ჩამორჩენას განაპირობებს. საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია მოგვიტანოს ისეთი ეკონომიკური უპირატესობები, რომლებსაც ძალიან უფროსილდება უამრავი ქვეყანა. ასევე თანამედროვე სურთიერთდამოკიდებულ სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია დაუპირისპირდე ეკონომიკურ პროცესებს.

მიუხედავად ამისა, პრობლემის გადაწყვეტის სრულიად მისაღებ ფორმად შესაძლებელია გადაიქცეს კონსტრუქციული შესაძლებლობების გაძლიერება და სტიმულირება, რაც ახასიათებს ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, თუ უცხოური ზეგავლენა დომინირებს რადიოეთერის ტალღებზე, ტელეპროგრამებში და ა.შ., მაშინ, უეჭველია, რომ დაპირისპირების პოლიტიკამ უნდა გამოიყენოს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარებიან ადგილობრივ კულტურას მისი მიღწევების გავრცელებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ამასთან დაკავშირებული ხარჯები არ არის ისეთი დიდი, როგორც ჩვენ გვეჩვენება, იმიტომ რომ თანამედროვე სამყაროში. გლობალიზაცია განპირობებულია კომუნუკაციის საშუალებების ღირებულების შემცირებით. ამით შესაძლებელი გახდებოდა ადგილობრივი კულტურის რეალური მხარდჭერა და არა მარტო ხელს შეუწყობდა მის გამაგრებას, არამედ უზრუნველყოფდა კონკურენციის უფრო სამათლიან პირობებს.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიას. ფუძემდებელ ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს

გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას რომელშიც ადამიანებს ეძლევათ საშუალება მიიღონ მასში მონაწილეობა, რომელიც ეყრდნობა ღია განხილვას და ითვალისწინებს უმცირესობის აზრის გამოთქმის შესაძლებლობას. კულტურული თავისუფლების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხს. არ შეიძლება მიესწრაფებოდეს დემოკრატიისაკენ და ერთდროულად უარი თქვა ცხოვრების განსაზღვრულ წესზე. დემოკრატიის ფასეულობა შედგება პოლიტიკური ხელისუფლების შესაბამისი დირექტივების გამოცემის გზით არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობაში, მიუხედავად იმისა, თვლის თუ არა ხელისუფლება, რომ ახალი საზოგადოებრივი ძლიერი მიდრეკილება შესაფერისია თუ არა. უამრავი დარგებიდან მხოლოდ ამ ერთში შეიძლება, რომ კულტურული თავისუფლება ეფექტურად დაემატოს პოლიტიკურ თავისუფლებას.

თვით დემოკრატიის იდეა, როგორც წარმოსაჩენი საზოგადოებრივი დისკუსია, წარმოიქმნა სხვადასხვა ცივილიზაციებში მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში. VII საუკუნის დასაწყისში იაპონელი პრინცი-ბუდისტი სიოტოკუ, მისი დედის – იმპერატორ (ქალის) სუიკოს რეგენტმა, მიიღო საკმაოდ ლიბერალური კონსტრუქცია *კემპო. კემპოში* დამკვიდრდა ის, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა არ უნდა ხდებოდეს ერთი ადამიანის მიერ. ისინი უნდა განხილულოს ბევრმა ადამიანმა. შემწყნარებლობის შესახებ მასში იყო ნათქვამი: “ჩვენი არ უნდა გვწყინდეს ის, რომ სხვებს გააჩნიათ ჩვენი მოსაზრებისაგან განსხვავებული მოსაზრება. ყველა ადამიანს აქვს გული, ხოლო ყველა გულს – თავისი მიდრეკილება. მათი სიმართლე ჩვენთვის – ცდომილებაა, ხოლო ჩვენი სიმართლე – მათთვის არის ცდომილება.”

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, როგორც დასავლეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ შესაძლებელია საჯარო კამათის წახალისების მაგალითების პოვნა, ზოგჯერ კი ერთმანეთისგან განსხვავებული აზრები. ეს მაგალითები დღესაც აქტუალურია, როდესაც განიხილება ტოლერანტული დემოკრატიის განხორციელების შესაძლებლობა.

მიდრეგებსა და ღარიბებს, სხვადასხვა კლასების და პროფესიების წარმომადგენლებს, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მომხრეებს, განსაზღვრული ეროვნების და

ტერიტორიების წარმომადგენლებს, ენობრივი ჯგუფების და სხ. შორის ზღვარი არ არსებობს, ადამიანებს შორის სხვაობის განსაზღვრა ხდება ვითომ და ამ დახვეწილი ხერხის მეშვეობით. ამის გარდა, ის, ვინც გლობალური დაპირისპირების ან ლოკალური კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს, ცდილობს თვითმყოფადობის გრძნობა თავს მოახვიოს ხალხს, თითქოსდა დასაბამიდან ის აერთიანებდა და გამოყოფდა დანარჩენი სამყაროდან, ახდენდა მათ დაქირავებას, როგორც პოლიტიკური ძალადობის რიგით ჯარისკაცებს. ამასთანავე ისინი კიდევ იღებენ დაფარულ მხარდაჭერას თეორიისაგან, რომელიც ახდენს მსოფლიოში არსებულ ყველა ადამიანის დაყოფას ერთადერთი ნიშნით.

ინდივიდუუმის მიერ ამა თუ იმ ჯგუფში გაერთიანების ან მისი თვითიდენტიფიკაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში გასაკვირია არჩევანის როლის და გონიერების ეს უგულველყოფა! ადამიანების განსხვავების ერთადერთი და თითქოს და ჭარბი ხერხი, ცივილიზაციების განსხვავების კონცეფცია ხელს უწყობს მსოფლიო კონფლიქტის გამწვავებას. არჩევანის აღიარების უარყოფა იქ, სადაც ის ნამდვილად არსებობს – ეს უბრალოდ გარშემო არსებული სამყაროს არსის გაუგებრობაა. ეს – ეთიკური გადაცდომა და დანაშაულებრივი დაუდევრობაა თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მიმართ.

ჰუმანური და სამართლიანი საზოგადოების აშენების წინა პირობას წარმოადგენს საერთოდ ადამიანური თავისუფლებების მნიშვნელობის აღიარება და, კერძოდ, კულტურული თავისუფლების. ამისთვის საჭიროა ადამიანების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ეტაპობრივი გაფართოება, რათა მათ შესძლონ თავისი ცხოვრების წესის განსაზღვრა და მისი ალტერნატიული ვარიანტების განხილვა. ასეთი არჩევანის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შესაძლებელია ითამაშოს კულტურული ხასიათის მოსაზრებებმა.

კულტურულ თავისუფლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება არ არის კულტურული მრავალფეროვნებისთვის ბრძოლის ტოლფასი. გასაგებია, რომ კულტურული მრავალფეროვნების გამომჟღავნება შესაძლოა აღმოჩნდეს ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან მასზე დამოკიდებული კულტურული თავისუფლების რეალიზაცია. მაგრამ ეს არ არის კულტურული მრავალფეროვნების დაცვის შესატყვისი. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ

რეალიზდება კულტურული მრავალფეროვნება და რამდენად შეუძლიათ ამ პროცესში მონაწილეებს მოახდინონ საკუთარი თავისუფლების რეალიზაცია. სერიოზული შეცდომა იქნებოდა კულტურული თავისუფლების მნიშვნელობის განხილვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება მისი განხორციელება. სინამდვილეში, არ უნდა შეფასდეს კულტურის მრავალფეროვნება, განსაკუთრებით ადამიანების განვითარების კონცეფციის ფარგლებში, მასთან დაკავშირებული პროცესების და იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც თამაშობენ ადამიანის თავისუფლებები გადაწყვეტილების მიღებაში.

კულტურული მრავალფეროვნების გაფართოვება შესაძლოა გახდეს კულტურული თავისუფლების ყველა ასპექტის რეალიზაციის შედეგი, ამასთან დაკავშირებით, ჩნდება მნიშვნელოვანი საბაბი, რათა წახადისდეს კულტურული მრავალფეროვნების და ყველაფერი გაკეთდეს მისი შენარჩუნებისთვის. ამ თვალსაზრისით, მრავალფეროვნების ფასი გამომდინარეობს კულტურული თავისუფლებიდან, რომელიც საერთოდ მთლიანად შეესაბამება ადამიანის თავისუფლებების მნიშვნელობას.

საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების წყალობით ყველა მის წევრს, მიუხედავად მისი წარმოშობისა, ეძლევა კულტურული არჩევანის ფართო სპექტრის გამოყენების საშუალება. ესეც საბოლოოდ დამოკიდებულია კულტურულ თავისუფლებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში - კულტურული თავისუფლების რეალიზაციასთან შედარებით უფრო არაპირდაპირი, ვიდრე პირდაპირი შედეგი. კულტურული მრავალფეროვნება აქაც იმსახურებს მოწონებას: უშუალოდ მისი მეშვეობით ფართოვდება სოციალური ცხოვრების ფართო სპექტრი და ფართოვდება არჩევანის გაკეთების საშუალებები.

ზოგ შემთხვევაში, როდესაც კულტურული თავისუფლების განხორციელებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს კულტურული მრავალფეროვნების შემცირებამდე და არა გაფართოვებამდე. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ეგუებიან სხვა ადამიანების ცხოვრების წესს და შეგნებულად აკეთებენ თავის არჩევანს ამ მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში კულტურული თავისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა უხეში შეცდომა იმის საფუძველზე, რომ მას მიყვავართ კულტურული მრავალფეროვნების შემცირებამდე, რადგან აქ თავისუფლება თავის თავად, მრავალფეროვნებისგან განსხვავებით, ფლობს განუყოფელ შინაგან ფასეულობას.

ეს ყველაფერი ერთად აღებული თავისუფლების პოზიციიდან წარმოადგენს კულტურული მრავალფეროვნების დაცვის შემაღგენელ ნაწილს, რომ კაცობრიობამ შეინარჩუნოს თვითმყოფად კულტურათა ურთიერთობა, მათი მრავალფეროვნება და არ დაუშვას მინიმუმადე დაიყვანოს განსხვავებულ კულტურათა ნოველირების ტენდენცია, რაც გლობალიზაციისათვის არის დამახასიათებელი.

ლიტერატურა

References

1. Larri Zadentop – Demokratiya v Evrope M. 2001g. (Russian)
2. Panarin A.S. Iskushenie Globalizmom M. 2000 g. (Russian)
3. Dokladi o razvitii cheloveka v Internete : <http://hdr.undp.org/en/> (Russian)
4. Kutubidze K. Sh. Sakhelmtsifo suvereniteti da globaluri interesebi Tb. 2002 ts. (Georgian)
5. G. Almond, G. Pael, K. Strom, G. Dalton Sravnitel'naya Politologiya segodnya M-2002g. (Russian)
6. E. Heivud Politologiya M-2005g. (Russian)
7. Pirogov A.I. Politicheskaiya psikhologiya M-2005g. (Russian)
8. Lebedeva M. Mirovaiya politika M-2003g. (Russian)

Tamaz Nutsubidze

Globalization and Democracy

Summary

We may speak a lot about choosing liberty, about problems of sharing equality and justice in particular, which we shall surely encounter with in the process of studying cultural involvement and influence of cultural diversity on the process of identification of personality.

In the present globalized world, many people are worried with thinking about guarantees of cultural liberty in the process of great influence of western culture, especially of the cult of consumption.

In spite of the above mentioned, enhancement and stimulation of constructive opportunists – which are characteristics to local cultural traditions the reason of which is their protection and opposing to external forces of attack - may be changed into a completely acceptable form of settling the problem of asymmetry.

Here democracy has the decisive importance. The fundamental value must be the process of decision-making which defines the life of society and where people are given the opportunity of participating in it and which depends on an open discussion and considers the opportunity of expressing the opinion of minority.

In other countries of the world both in the West and outside its borders, it is possible to find the examples of encouraging public dispute and sometimes different (controversial) opinions. These examples are essentially important even nowadays when the opportunity of carrying out tolerant democracy is under discussion.

In some cases implementation of cultural liberty may bring us to the decrease in cultural diversity and not to its broadening.

All these in whole from the viewpoint of liberty presents the integral part of protection of cultural diversity.

Keywords: Globalization, democracy, self-determination, the equality, the globalized world, civilization, economic globalization, the free market, the western countries, world politics, local culture, culture of behavior

Reviewer: Professor Edisher Gvenetadze, Georgian Technical University

ნუცუბიძე ტამაზ შალვოვიჩი
Глобализация и демократия

РЕЗЮМЕ

Представленный труд «Глобализация и Демократия» относится к актуальной теме современности. «Глобализм» - это, в данное время, очень модное слово либеральной прогрессистической мысли.

В труде представляют интерес как минимум два вопроса.

Первое, существует власть и сила рынка культуры, который представляет собой часть и форму той модели, которую всё больше и больше принимает процесс экономической глобализации.

Вторая проблема относится к асимметрии власти между западными и другими странами, а также к той вероятности, что она может перерасти в местные культурные традиции.

Автор придаёт решающее значение демократии и выделяет её, а также отмечает, что такой процесс принятия решений, который определяет жизнь общественности, в котором людям даётся возможность принять в нём участие, который основывается на открытом рассмотрении и учитывает возможность высказать

меньшинствами свою мысль. Невозможно стремиться к демократии и одновременно отказываться от определённого порядка жизни. Анализируя значение борьбы за свободу культуры, автор отмечает, что проявление культурного многообразия может оказаться крайне важным, так как именно от неё зависит цивилизация культурной свободы.

Ключевые слова: Глобализация, демократия, самоопределение, равноправие, глобализированный мир, цивилизация, экономическая глобализация, свободный рынок, западные страны, мировая политика, местная культура, культура поведения

Рецензент: Профессор Гвенетадзе Эдишер Александрович.
Грузинский технический университет

ი ს ტ ო რ ი ა

**ბიორბი ბალათურია
„ბურიაში მივალ მარა, სულმა ჟინ-ჟინ ბეიპარა...“**

დაუცხრომელთა სამყოფელი

დედამიწის საოცარი ადგილია საქართველო, მისი ყველა კუთხე თავისი მრავალფეროვანი, განუმეორებელ მშვენიერებით ზღაპრულ ჰარმონიას ქმნის. ერთ-ერთი ასეთი მშვენიერი ბაღნარი, ამყვეყნიური წალკოტია გურია, „დაუცხრომელთა სამყოფელი“, დასახლებული ფიცხი, გულადი, სიმამაცის მაძიებელი და მომღერალი ხალხით.

თანამედროვეებისათვის აუხსნელია გურიის ფენომენი. როგორ მოხდა, რომ ამ პატარა მხარეში ასე ძალუმად არის მომადლებული ნიჭიერება. გურულს ბუნებით აქვს მომადლებული საგნების და მოვლენების ჭეშმარიტი სახის ამოცნობა, სიყალბის უეცრად დაჭერა. ალბათ ესაა ქართული დემოკრატიის საწყისი. აკაკიც ხომ აღნიშნავდა: „ბევრი ხალხი არ უნდა მოიძებნებოდეს ქვეყანაზე იმდენად ბუნებით ცოცხალი, მოძრავი, ყველაფრის ახლის და უცხო რამის ადვილად მიმღები და შემთვისებელი, როგორც გურულები“.

იაკობ გოგებაშვილი ასე ახასიათებდა გურულებს: „გურული მეტად ჩქარია ლაპარაკში, მოძრაობაში, საქმეში, უყვარს პირდაპირობა და სძულს პირმოთენობა. სწრაფად მოსდის გული, თოფის წამალივით იცის აფეთქება; მაგრამ ჩქარა ისევ მშვიდდება. სიმარჯვით და გულადობით გურულები განთქმულნი არიან. განათლებასაც გატაცებით მისდევენ“. თედო სახოკია კი ამბობს: „მომელოდა ნახვა გურულებისა, რომელთაც სილამაზით, სიცქვიტით და სხვა სანაქებო თვისებით თითქოს განსაკუთრებული და თან საპატიო ადგილი უჭირავთ ქართველებში“.

თედო სახოკიას აზრით გურია სწორედ გულფიცხი და გულადი ხალხის აღმნიშვნელია. იმისათვის, რომ გავიგოთ ამ ფენომენის არსი, საჭიროა უფრო ღრმად ჩავიხედოთ ერის ეთნოგენეზის ისტორიაში, თუნდაც ლეგენდებში, რომლებიც მხატვრულად ასახავენ ადამიანთა ბუნებას. მხატვრული, პოეტური ასახვა კი ხშირად ისტორიულ აღწერაზე უფრო მეტი

სიზუსტით გვაუწყებს ჭეშმარიტებას, იმ ნათელს, რომელიც ვერ მოექცევა ციფრების მშრალ ჩარჩოებში. ამასთან ერთად ლეგენდები იმითაც არის საყურადღებო, რომ ისინი გამოხატავენ ერის შეხედულებას საკუთარი თავის, როლისა და ადგილის შესახებ სამყაროში და ისტორიაში.

საქართველოს შექმნის შესახებ მრავალი ლამაზი ლეგენდა არსებობს, ერთ-ერთი მათგანი მოგვითხრობს, რომ საქართველო უფალ ღმერთს თავისად უნდოდა, მაგრამ ისე მოსწონებია ქართველები, რომ მათთვის დაუთმია ეს მიწიერი სამოთხე. მსგავსი ლეგენდა არსებობს გურიის შესახებაც: ინდოეთის მეფეს წაღკოტი გაუშენებია და სხვადასხვა ქვეყნებიდან ანგელოზების („კურიების“ ანუ „გურიების“) ჩამოყვანა უბრძანებია. მეფის ასეთი კადნიერებისათვის ღმერთმა იგი სასტიკად დასაჯა – ინდოეთის მეფე დაიღუპა და მისი წაღკოტი განადგურდა. ეს ამბავი „გურიებმა“ კოლხეთში შეიტყვეს და იქვე დარჩენა გადაწყვიტეს, თავის ახალ სამყოფელს კი გურია უწოდეს.

ნიკო მარის აზრით გურია მზის შვილს აღნიშნავს. ადრეული ლაზურ-მეგრულით „გურ“ – მზეს ნიშნავს, ხოლო „ია“ ანუ „უა“ – შვილს, ვაჟს. ნიკო მარი აგრეთვე იმასაც შენიშნავდა, რომ „ეგერიც“ (ეგრისი) ამავე ძირის მქონე ტერმინიაო. მკითხველი უჭკველად შეამჩნევს პირდაპირ კავშირს ზემოთქმულ ლეგენდასა და ნიკო მარის გამოკვლევას შორის.

სხვა მოსაზრებით გურია „დაუცხრომელთა სამყოფელს“ ნიშნავს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „გურია არა წილი ეგრისისა არს, არამედ ქართლისასა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა, რომელნი იყუნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მის აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონსა, ვითარცა სახელი აცხადებს: „გურიობით განდგომილნი“. და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ.“[1]

ეს ამბავი VIII საუკუნის მიწურულს მომხდარა, როდესაც ლეონ I მთელი დასავლეთ საქართველოს – ეგრისის მეფე გახდა და მას აფხაზეთი უწოდა, ხოლო „გურიაობით“ განდგომილ „ჭოროხის სამხრეთით“ მაცხოვრებლების სამფლობელოს – გურია, რომელიც ერთ-ერთ საერისთავოდ დაადგინა. ტოპონიმი „გურია“ ადრეც არის ნახსენები. ქართლის ცხოვრების მემატიანის ცნობით, მურვან ერუს შემოსევისას (735-

738 წწ) უკანდახეულმა არაბებმა გაიარეს „გზა გურიისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ.2).

მაგრამ რას ნიშნავს „გურიობა“? ბიბლიის ქართულ თარგმანში ნახსენებია სიტყვები „აგურიობდა“ და „გურიობა“ [2] რომლის მიხედვით „გურიობა“ განიმარტება, როგორც „მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა“ (სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“), „ვნებით, გულისთქმით მიდევნება“ (ნ.ჩუბინიშვილი), „აშლა, მიმოდევნება“ (ი.აბულაძე).

ვახუშტის აღწერით „კაცნი და ქალნი მზგაესნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. ხოლო გურიის მკვიდრნი სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შვენირებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით [მესხთაებრ], არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულ-მწყურაღნი.“

ამავე დროს გურულები გამოირჩეოდნენ წიგნიერებით. წიგნი გურიაში ოდითგან უყვარდათ. XVIII საუკუნის ბოლოს იტალიელი მისიონერი კასტელი წერდა გურიაში „წიგნი ბევრი აქვთ, მაგრამ ყველა ხელნაწერის სახით“ [3]. ეს ძირითადად საეკლესიო წიგნები იყო, რომლებიც მრავლად ინახებოდა გურიის ეკლესია-მონასტრებში, მათ შორის მრავლადაა უნიკალური ხელნაწერები, ე.წ. „უდაბნოს მრავალთავი“, „შატბერდული კრებული“ და სხვ. განსაკუთრებით მრავალი ხელნაწერი ინახებოდა შემოქმედის სავანეში. ეკლესია-მონასტრები აგრეთვე საგანმანათლებლო და მწიგნობრული მოღვაწეობის ცენტრებიც იყო, აქ წერა-კითხვას ასწავლიდნენ ბავშვებს, მრავალი მათგანი სასულიერო მოღვაწეობისათვისაც ემზადებოდა, განათლების მოთხოვნილება ოდითგანვე მაღალი იყო, რომელიც შემდეგ გურულთა რევოლუციური მოღვაწეობის საფუძველიც გახდება. XIX საუკუნის დასასრულს თითქმის ყველა სოფელში სკოლებია გახსნილი, „აქ იმდენი ბიბლიოთეკაა, რამდენიც მთელ საქართველოში ძლივს იქნებო“ შენიშნავს ეთნოგრაფი კ.გვარამაძე.

გრიგოლ რობაქიძე კი ასე ახასიათებს გურიასა და ფურულებს: „ძველი მესხეთის ნატეხია გურია. ამის ნიშანი ბევრი არის. თავდაპირველად „ქართული“. გურული ქართული ლაკონიურია რუსთაველის სამშობლოს სიტყვასავით. საქართველოს არცერთ კუთხეში ისე სხარტულად არ

ლაპარაკობენ, როგორც გურიაში. გურული სინტაქსი უაღრესად ეპიგრამატულია: მოკლე, მკაფიო, კეთილი, ჭკუელი. თვითონ რუსთაველიც გურულებმა სხვადასხვა ქართველებზე უფრო იცინა: გურიაში არის ოჯახები, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირი ცოდნა უბრალო ჩვეულებაა. გარდა ამისა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვები – რაიც საქართველოს სხვა კუთხეებისათვის გაუგებარია, გურიაში უბრალოდ მუსაიფის ჟამს გვხვდებოდა. კიდევ: ძველ მესხთა შიარობა ცნობილია, – გურიაში შიარობა თაობიდან თაობაზე გადადის: შიარობა გურულებისათვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც საამო გასეირნება.

ამაყია გურული: გურიაში ძალზე არის განვითარებული გრძნობა თავის თავის ღირსების. არისტოკრატობა – „რჩეულობა“ – გურულთა „რასის“ მთავარი ნაკადია. ამ მხრივ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს: „ყოველს გურულს უყვარს თავის გამოჩენა“. გურულებში ძალზე არის ნაგრძნობი „მანძილის პათოსი“ (ნიცშესი). ამაყობა და გამორჩეულობა „რბილ“ გურულს სასტიკად ხდის: ფირალად გავარდნა გურიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, - ფირალობას კი უმთავრესად ხასიათი უძევს საფუძვლად. გურულს გარეგნობაც რჩეული უყვარს: ძვირად თუ ვინმე სხვა ქართველი ისე ლამაზად ჩაცმული გამოვა, როგორც გურული. ცნობილია გურიის სიღარიბე, - მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ვერცერთ სხვა კუთხეში ვერ მონახავთ გურული „ოდის“-თანა კონტაობას კეკლუცად მორთული ეზოთი“.

მართლაც, გურული გლეხი თავადსა და აზნაურს ჩაცმაში ტოლს არ უდებდა. ასე ამბობდნენ თურმე: „მე იგი მკეყოფა, გლეხი რომ ვარ და მაგი დევიჯინო ახლა თავზე კიდო?“ ერთმანეთს ეჯობებოდნენ, ვინ უკეთ ჩაცმულ-დახურული და შეიარაღებული „წვეიდოდა“ ომში. ომში მოკლეული გურულის ჩაცმულობის აღწერა საყოველთაო გაცემას იწვევს – მოკლულს 1700 მანეთის ჩაცმულობა და აღჭურვილობა ჰქონდა თან: 3 შარვალი, საცვლები, გრძელი და მოკლე ყამა, თოფი-არალი, მოვერცხლილი ლეკური ხანჯალი... ასე ჩაცმული მებრძოლი ომშიც განსაკვიფრებლად გულადი გახლდათ. 1829 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს შეკვეთილთან თავი გამოუჩენია გურულების 1500 კაციან რაზმს, მადლობის ნიშნად იმპერატორს მადლობის სიგელი და მოოქრული ბაირალიც გამოუგზავნია. გურულებმა სხვა მრავალი საგმირო საქმეებითაც

გამოიჩინეს თავი, მათ შორის ერთმა იმპერატორის ყურამდეც მიაღწია – დახვეწილი გასულ საღამოს ბოლქვაძეს თურქი ასკერების ჯგუფი შეეჩხრა, ბოლქვაძე არ დაბნეულა, 4 ასკერი მოუკლავს, 4 კი ტყვედ აუყვანია.

მაგრამ სულ სხვა იქნება სიმამაცე და თავდადება თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლაში.

საგულისხმოა გურულების სამხედრო ფიცისადმი ერთგულება, რომელსაც თითქოს სხვათაშორის აღნიშნავს ერთი ლიხაურელი ჯარისკაცი, შემდგომში გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი პორფილე გორგოშიძე თავის მოგონებებში. 1914 განჯიდან სოფელში მცირეწლოვანი დის სანახავად ჩასულს ჯერ ოზურგეთში შემხვედრი ნაცნობი შეეკითხება – ჯარიდან ხომ არ გამოპარულხარ, ხომ იცი ქართველის, მით უმეტეს გურულის ჯარიდან გამოპარვა წარმოუდგენელი ამბავიაო. მერე მსგავს შეკითხვას უკვე სახლში გაუმეორებენ მის სანახავად მოსული ახლობლები. მძიმე დრო იყო, ომი ჯერ არ დაწყებულყო, მაგრამ ჯარისკაცთა გაუსაძლისი ყოფის გამო რუსულ ჯარში ხშირი იყო დეზერტირობის შემთხვევა, „მარა, მათი გურულიზა წარმოუდგენელი ანბავი“ გახლდათ. მოგვიანებით პორფილე გორგოშიძე თავის უმცროს ძმასთან, ალექსანდრესთან ერთად ლეგენდარული ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანზე იბრძოლებს და იმდროინდელ გმირულ ბრძოლებს, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებს ისე აღწერს, თითქოს ყანაში სათოხარზე ყოფილიყოს. ჩვენს დიდ წინაპრებს ომში გამოჩენილი გმირობა ჩვეულებრივ მოვალეობად მიაჩნდათ და არასდროს მოუწონებიათ ამით თავი. საქართველოს პირველი ეროვნული გმირიც – ვალოდია გოგუაძე (მაშინ ზოგჯერ ამბობდნენ – გოგვაძე) – უკვე საფრანგეთში გადასახლებული, გლეხის მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა და ლევილის მადლიან მიწაზე ფიზიკური შრომით მოჰყავდა მოსავალი – ლობიო, სიმინდი, ბოსტნეული, აყენებდა მშენიერ ღვინოს და ქართულ სუფრით პატრონობდა მშვიერ-მწყურვალე პოლიტიკოს ემიგრანტებს. თავის გმირულ წარსულს კი, რომელიც არაფრით ნაკლები არ იყო სახელგანთქმულ გმირთა, თუნდაც არსენა ოძელაშვილის ან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ღვაწლზე, მაგრამ მიზეზთა გამო დღეს ერთგვარად მივიწყებულია, იგი სანახავთაშორისოდ იხსენებდა, ისევე როგორც მისი ლიხაურელი თანამებრძოლი – პორფილე გორგოშიძე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ემიგრირების შემდეგ

ლიხაურში დაუბრუნდა გლეხის თავდადებულ ფიზიკურ შრომას.

ლიხაურის კიდევ ერთი მკვიდრი, ექვთიმე თაყაიშვილი გურული ხასიათის სულ სხვა გამოვლინებაა, თითქოს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ფიცხი გურული ხასიათის თავსებადობა არქეოლოგიისა და ისტორიულ სიძველეთა მკვლევარის უაღრეს მოთმინებასა და რუდუნებასთან სიძველეთა ძიებისა და კვლევის დროს. აბა ის სრულებით არაა საკვირველი, რომ მან მთელი საქართველოს ქონება გადაარჩინა უდიდესი ზეწოლისა და თითქმის შიმშილობის დროს. თავმოძვონე გურული საქართველოში ჩამოსვლისგანაც თავს იკავებდა იმის გამო, რომ ნორმალური სამოსი არ გააჩნდა და ერცხვინებოდა სათაყვანო სამშობლოში 23 წლიანი განშორების შემდეგ ჩამოსვლა დაძინებულ ტანისამოსით.

მაგრამ განა ექვთიმე თაყაიშვილი ერთეული შემთხვევაა? მამია გურიელმა გაჭირვების გამო მთელი მამული 28.000 მანეთად გაყიდა მაგრამ ოზურგეთის სასულიერო აკადემიის ასაშენებლად 13.000 მანეთი გაიღო.

დეკანოზმა მგალობლიშვილმა, რომელიც 1905 წელს ერკვეთის ეკლესიის წინამძღვარი იყო, ეკლესიის იატაკის ქვეშ დამალა ეკლესიისა და სოფლის მთელი ძვირფასეულობა გურიის ასაკლებად შემოსული ალიხანოვის ყაზახებისგან გადასარჩენად. ეს საიდუმლო მთელი სოფლისთვის იყო ცნობილი, მაგრამ არავის გაუთქვამს. პიროვნული პატიოსნება ყველაზე დიდი ღირებულება გახლდათ მაშინ გურულებისთვის და ეკლესიის დიდი რიდიც ჰქონდათ. სწორედ ამიტომ გურიის ეკლესია-მონასტრებში ძვირფას წიგნებთან ურიცხვი საეკლესიო ძვირფასეულობაც ინახებოდა. გადმოცემით ჯუმათის ეკლესიის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატზე განთავსებული იყო ორ ათეულზე მეტი პატარა მედალიონი, ორი მათგანი, რომლებიც უზარმაზარ თანხად არის შეფასებული, ახლა თითქოს ამერიკის მეტროპოლიტენ მუზეუმში ინახება (*იმდენად დიდი თანხა სახელდება, რომ ვერ ეასახელებთ, რადგანაც ვერ შევძელით შეფასების ფაქტობრივი დადასტურება*). რამდენიმე მედალიონი ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარშია, ნაწილი – ფინეთის ეროვნულ მუზეუმში, ზოგი – მადრიდში. ეს მედალიონები ეგზარქოსის ნებართვით და ხელშეწყობით ერთ სომეხ მხატვარს გაუტანია ვითომცდა

რესტავრაციის მიზნით და, შემდეგ, კოლექციონერს მიჰყიდეს პეტერბურგში.

„ფირალი“

ქართველი ერის სანაქებო თვისებების კეთილ საქმეთა სამსახურში ჩადგომის ბუნებრივ სწრაფვას მრავალი დაბრკოლება შეექმნება რუსეთის იმპერიაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცვლილებებმა თავისი დადი დაასვა სოციალურ ურთიერთობებს. თუკი ადრე, რუსეთთან შეერთებამდე საქართველო არ იცნობდა გლეხთა მასობრივ აჯანყებებს, შეერთების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები ფართო მასშტაბიანი ხდებოდა. ეს აჯანყებები სისხლში იქნა ჩახშობილი. გლეხობას არ ჰქონდა არც ისეთი ძალა, არც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა გამკლავებოდა რუსეთის იმპერიის სამხედრო მანქანას. ამასთან ერთად 70-იანი წლების ბოლოსათვის უკვე გადაიარა რეფორმების პირველმა ტალღამ და მოსახლეობა ფაქტობრივად შეეგუა ახალ რეალობას, კაპიტალიზმის განვითარების პირველმა ნაბიჯებმა შექმნა საკუთარი შრომით თავის რჩენის შესაძლებლობა, განათლება უფრო ფართოდ აღწევდა მოსახლეობაში, რაც აგრეთვე ცხოვრების დონის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა.

მაგრამ ცარიზმისა და მისი ერთგული მოხელეების ბოროტება დაიწყო არ ეძლეოდა, სოციალური ანტაგონიზმი არ ჩამქრალა და მიიღო სხვაგვარი ფორმა – გაგრძელდა ყაჩაღობა, ფირალობა, ტყეში გავარდნილი შეიარაღებული გლეხები, ზოგი ინდივიდუალურად, ზოგი ჯგუფურად, უსწორდებოდნენ მათთვის საძულველ მოხელეებს თუ თავადაზნაურობას. ამ დროიდან ხშირდება სასტიკი მემამულეების მკვლელობა, მათი სახლ-კარის გადაწვა, ძარცვა. იმ დროინდელი პრესა შემოფოტებით იუწყებოდა, რომ მატულობს ქურდობა, ავაზაკობა.

საგულისხმოა, რომ ტყეში გაჭრილ გლეხებს ხალხი ყაჩაღს და ავაზაკს კი არ უწოდებდა, არამედ „ფირალს“, „აბრაგს“, რაც ამის მაუწყებელი გახლდათ, რომ მოსახლეობის ფართო ფენები მათ გულშემატკივრობდა, ებრალებოდათ ისინი და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ კიდევ მათ. მართლაც, ტყეში გაჭრილი გლეხობის დიდი ნაწილი ჩვეულებრივი ყაჩაღი

არ იყო, ეს ადამიანები ვერ ეგუებოდნენ თავმიყვარეობის შელახვას, უკანონობას, ისინი ეურჩებოდნენ მთავრობას უსამართლობის გამო. მათი ძირითადი მოტივი სოციალური ჩავერის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, თუმცა, მათ შორის, ცხადია მრავლად იყვნენ ჩვეულებრივი ავაზაკები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ბანდიტური ზრახვები და ქვენა გრძნობები ამოძრავებდათ და არა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლა. ხალხი ძირითადად მაინც თანაუგრძნობდა აბრაგებს, ფირალებს, თავშესაფარსა და საკვებს აძლევდა მათ, ზოგიერთ მათგანზე, განსაკუთრებით გამორჩეულებზე ხალხური ლექსები და სიმღერები იწერებოდა, ასეთები იყვნენ არსენა ოძელაშვილი, სიმონა დოლიძე, დათიკო შვეარდნაძე და სხვები.

დათიკო შვეარდნაძე იშვიათი მსროლელი იყო. ფლობდა განსაკუთრებული სროლის ტექნიკას, ე.წ. „ხელუკუღმა“ სროლას. მაშინ, ასეთი რამ სახელგანთქმულმა კოვბოებმაც არ იცოდნენ. მაგრამ ახირებული ხასიათიც ჰქონია – ერთხელ უსაყვარლეს ცოლს თავზე კვერცხი დაადო და 60 ნაბიჯიდან ესროლა, პირველივე გასროლით ის კვერცხი შუაზე გაუხვრეტია. მსგავსი ამბების კარგად მცოდნე ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა ცნობილ მხატვარ, დიმიტრი შვეარდნაძეზე – „ეს დიმიტრი ნამდვილად დათიკო შვეარდნაძის ნათესავია, ისე კარგად ისვრის ფუნჯს მიზანში“. სხვა მხრივ, ფირალი დათიკო შვეარდნაძე განსწავლული კაცი იყო, იცოდა რუსული, წერდა ლექსებს.

ეს თანამედროვე „რობინ ჰუდები“ მართლაც ღარიბი გლეხების ქომაგები იყვნენ – „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. მათი შიშით გარკვეულად მართლაც იზღუდებოდა ცალკეული მოხელეებისა და მემამულეების თვითნებობა და განუკითხაობა.

აბრაგების, ფირალების თუ ყაჩაღთა მცირერიცხოვანი ჯგუფები მოქმედებდნენ აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოში, ქართლში, განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ფირალობა გურიაში. გურულები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ ღირსების შელახვას. სულ „პაწა“ უსამართლობა საკმარისი იყო, უჯანყდებოდნენ მთავრობას და გარბოდნენ ტყეში ფირალად.

„მჩატე და ფიცხია გურული. ბევრს ეს თვისება სიღრმის უქონლობად მიაჩნია. არ არის მართალი. გურულის სიმჩატე და

სიფიცხე სხვაგვარია, ვიდრე სიმჩატე და სიფიცხე „პირვანდელი“ (კულტურა გაუფლელი) სამხრეთელისა. პირიქით: გურია მემკვიდრეა ნელი და მაგარი წინაპრის. მას მხოლოდ „ემჩატება“ კულტურული სვლა, მისი სიფიცხე მხოლოდ ქესტია აროსტოკრატული ზვიადობის. მართალია გურული ვერ შეჰქმნის გერმანელის სიდრმეს, რომლის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ უზარმაზარმა, დაკორძილმა და დაგრაგნილმა ხემ გადმოგვცეს, მაგრამ გურულს არც უყვარს „გრაგნილი საკორძე“... მისი გენია უფრო პლასტიური ზოლებით იკვეთება, – და ხალხთა შორის გურული უფრო რომანულ რასას ენათესავება, კერძოდ – ესპანელებს თავისი ქედმაღალი ტემპერამენტით. ერთადერთი დამაფიქრებელი გურულის ნიჭში შემდეგია: გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია – აქ არ არის უფსკრული გათხრილი „პიროვნებასა“ და „მასსას“ შორის. თუ მივიღებთ, როგორც ბევრს ჰგონია, ვითომ კულტურის ზრდაში არის საჭირო ერთგვარი მანძილი „პიროვნებასა“ და „მასსას“ შორის, – მაშინ გურულის შემოქმედება, რასაკვირველია, საუჭვო გახდება სიძლიერეში. ყოველ შემთხვევაში ეს პრობლემაა და არა დადგენილი ფაქტი. ჩემი პირადი მოსაზრება ამგვარია: გურულის ნიჭი ჯერ კიდევ მემკვიდრეობის პოტენციით იშლება, – და მისთვის გურიაში თითქმის ერთნაირად ნიჭიერნი არიან ყველანი, მაგრამ როცა გურული მემკვიდრეობას მხოლოდ „გამოიყენებს“ ახალი ძალების ამოძრავებით, მაშინ გურულთა შორის აუცილებლად აისახება ის მანძილი, რომელიც კულტურის ვითარებით თავსა ჰყოფს „შემოქმედ პიროვნებასა“ და „ფართო მასსას“ შორის. აღნიშნულ დახასიათებას თითქოს ერთი აქტი ეწინააღმდეგება: როგორ? გურია და არისტოკრატია? განა გურია არ განამტკიცა საქართველოში სოციალისტური სწავლა. რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა არისტოკრატული წარჩინების მიდრეკილებას?! და მართლაც, სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შეჰქმნეს. ჯერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროყვა – ნინოშვილი, ნოე ჟორდანი, მახარაძეები, ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, შარაშიძეები, ხომერიკი, ნინიძე, ჟორჟოლიანები, დოლიძეები, კილაძეები, ლალიონი-მამულაშვილი.

ასეთია ფაქტი, მაგრამ მე მგონია ეს ფაქტი ოდნავაც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ დახასიათებას, პირიქით, ის სავსებით გამოდის უკანასკნელთაგან. წარმოიდგინეთ მემკვიდრენი ძლევათსილი წინაპრის, რომელსაც ნივთიერი

ყოფის უმწეობას განიცდიან. სწორედ ასეთი მემკვიდრეები არიან გამზადილნი სოციალიზმის მისაღებად. მათ სხვაზე უფრო ესაჭიროებათ მდიდარი მატერიალური ყოფა, - ისტორიულ თანდათანობას ისინი ვერ შეურიგდებიან. ამისათვის მათ აკლიათ უკულტუროს თქმენა და გემოს არცოდნა, - „როდემდის ვიცადოთ?“ აი, მათი დამახასიათებელი საკითხი. სწორედ ასეთ მემკვიდრეებს წარმოადგენენ გურულები: ისინი გამოვიდნენ სოციალისტებად, რადგან სულთ უაღრესად აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბნი. თანაც ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მათ მიერ სოციალიზმის მიღებას ხელს უწყობდა უთუოდ ზემოაღნიშნული თვისება: ერთნაირად დაჯილდოება ნიჭით. ეს „ერთნაირობა ფსიქოლოგიური პირობაა სოციალიზმის მიღებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ გურულები სოციალისტური სამოსელით გვეჩვენებიან, მათი ფსიქიკა მაინც აზნაურულია“, ყველაფერი შეიძლება ამოშალოთ გურულები, მაგრამ „წარჩინებულობის“ გრძნობას მათში ვერავინ ამოშლის: გურულის სიამაყე – „პათოსია მანძილის“ (იგულისხმება სხვაობა „ჩემსა“ და „სხვებს“ შორის)” [4].

90-იან წლებში გურია გავსებული იყო დამსჯელი რაზმებით, განუწყვეტელი „ეგზეკუციები“ აჩანაგებდა გლეხობას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ანტაგონიზმს მთავრობასა და ხალხს შორის. 1899 წელს ჩამოყალიბებულ სამთავრობო კომისიას დავალებული ჰქონდა შეესწავლა გლეხების გაყჩაღების გამომწვევი მიზეზები, რათა შეემუშავებინა მისი აღმოფხვრის გზები, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო, ხალხის რისხვის ნაპერწკალი აინთო და მხოლოდ დრო სჭირდებოდა მის ხანძრად გადაქცევას. დრო და სათანადო აგიტაცია, აგიტატორებიც მალე გამოჩნდებიან.

როგორ უნდა აღმოფხვრილიყო ყჩაღობა, როდესაც, ერთი მხრივ, მოქმედებდა მზავრელი რუსული ჩინოვნიკობა, ადმინისტრაცია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის არაფერი ესმოდა, და მხოლოდ ძალადობით სურდა დაემყარებინა წესრიგი, ამასთან წესრიგი, რომელიც უცხო იყო ხალხისათვის. ხოლო, მეორე მხრივ, ეს იყო ფიცხი და ვაჟკაცური შემართების, თავმომწონე ხალხი.

„მერვე საოცრება“

კიდევ ერთი გურული საოცრება – კრიმანჭული, ნადური, ხასანბეგურა, ალიფაშა, გურულების ხასიათივით ამოუცნობი, მრავალხმიანი, ჩაკვარახჭინებული და ხმაშეწყობილი სიმღერა,

საერთოდ ქართული მრავალხმიანი სიმღერა, მსოფლიოს მერვე საოცრება, რომ უწოდა იგორ სტრავინსკიმ. გურული სიმღერები იმდენად რთულია, რომ მკვლევართათვის შეუძლებელი ხდება მისი განვითარების პირველი საფეხურების დადგენა. სიმღერის ასეთი ხასიათი უშუალოდ ეხმიანება გურულების ხასიათს, ნებისმიერი სიმღერა გართულებული და გამშვენიერებულია, უკუგდებულია მარტივი ელემენტები, ყოველი ხმა თითქოს დამოუკიდებელია და ამავე დროს პოლიფონიურ ჰარმონიაშია სხვა ხმებთან. სიმღერების უმეტესობა ოპტიმისტურია, საზეიმო და სახალისო განწყობის შემცველი, ნაღვლიანი ან დაჩაგრული ტონებისთვის ადგილი არ რჩება, ისე, როგორც ეს საერთოდ ახასიათებს გურულ ფსიქოლოგიას.

გურიაში ასევე ძლიერია გალობისა და სასულიერო მუსიკის ტრადიცია, რომლებსაც, მომღერალთა საგვარეულო დინასტიები ინარჩუნებენ. ეთნოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ გურული სიმღერების საოცარ მრავალხმიანობას, ამასთან გურულები თითქმის ყველანი მღერიან, „გურულებს სიმღერაში პირველი ადგილი უჭირავთ მთელ საქართველოში, მღერიან სხვა-და-სხვა ხმით ორპირა-ერთპირად და სხვ. (დამწყები მოძახილი, მობანე და გამყინვარე უსაჭიროესია და მასთანვე სხვა(ც). უმეტესნი მუზიკის მოყვარულნი არიან. სიმღერაში 3-5 წლის ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას. გურულების სიმღერის საუკეთესო თვისება მიეწერება ადგილობრივ მგალობელ შაშვიჩხარტვთა, გაიდონთა (ბულბულთა) და სხვა ფრინველთა, რომელნიც უფრო მეტად მათ-თიბა-თვეში უწყვეტივ დღე-ღამე თავიანთ შვენიერ შექდრიაშებულ ან გაბმულ სტვენა-გალობით აცხოველებენ ბუნებას და გურულთა ყურთა-სმენას ატკობენ, რის წახედვით გატაცებულნი გურულებიც ბაბავენ მათ“ [5].

მე-19 საუკუნის ეთნოგრაფის ამ შეხედულებას აზუსტებენ პროფესიონალი მუსიკათმცოდნენი - მუსიკალური გამოხატულების სიღრმით და განსაკუთრებით მუსიკალური მრავალსახეობით ვერ ვიტყვით, რომ გურული სიმღერები ერთადერთი საუკეთესოა საქართველოში და რომ ისინი აღემატებიან ქართლ-კახურ სიმღერებს, მაგრამ ხალხური პოლიფონიის განვითარების დონით უცხოელ სწავლულთა ყველაზე მეტ ინტერესს სწორედ გურული სიმღერები იწვევს [6].

Wild West Show

ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გურულები ყველაფერში პირველობას ცდილობენ, ცხენოსნობაშიც არავის

დაუთმეს და მთელ მსოფლიოს აჩვენეს ქართველი ცხენოსანის მხედრული ოსტატობა.

დაუდევარია გურული კაცი, მისი ბუნება ახლის ძიებას ითხოვს. არ ეშინია რისკის, პირიქით, თავადაა რისკიანი, თამაშად და მღერად უჩანს გამოუცნობთან და იღვმალთან შერკინება, ბედისწერის გამოწვევა. და აი ოკეანის გაღმა, ამერიკაშიც კი მიეშურებიან მხედრები. ან კი საოცარი და საკვირველი რა უნდა ყოფილიყო. გურიაში „ყველამ იცოდა“, რომ ჯერ კიდევ უხსოვარ დროს („როის იყო მათი ანბავი იცი?“), ჰო ახალი წელთაღრიცხვის 141 წელს იბერთა მეფე ფარსმან ქველი, დედოფალ ღაღანით, ვაჟიშვილ რაღამისტითა და წარჩინებულ ქართველებთან ერთად რომს ესტუმრა. მარსის მოედანზე ომის დემერისადმი მიძღვნილი გრანდიოზული შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სტუმრად ჩასულმა ქართველებმაც მიიღეს. ფარსმანის, მისი ვაჟიშვილის და სხვა ქართველთა ბრწყინვალე ასპარეზობამ მთელი რომი აღაფრთოვანა. პატივისცემის ნიშნად, იმპერატორ ანტონინუს პიუსის ბრძანებით, ბელონას ტაძარში, საკურთხეველთან, აღმართეს ცხენზე ამხედრებული ფარსმან ქველის ქანდაკება.

„მარა, მათ აფერია, იმასთან შედარებით, რაც გურულმა მოჯირითეებმა დააწიეს ევროპაა თუ რაცაა ამერიკა. მარა რათ გინდა, კახაკებიაო იმახდნენ. თუმცა რაია მერე, კახაკი ხომ თურქულად თავისუფალ, თავზეხელაღებულ კაცს ნიშნავს და გურული ყაზილარები ქე იყვნენ მამფერი“.

ისე იყო, თუ ასე, 1892 წელს ინგლისში გამოჩნდნენ პირველი ქართველი ცხენოსნები, „ივერიაშიც“ შესაბამისი ცნობა გამოქვეყნდა „აი სახელი და გვარი იმ ქართველებისა, რომლებიც ამას წინად წაიყვანა აქედამ ერთმა პარიჟის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარნუმის ცირკისთვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია, ლევანტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე“. ეს იყო მაშინ სახელგანთქმული ბუფალი ბილის ე.წ. „ვედური დასავლეთის შოუ“ (ტილდ ჭყვსტ შშოწ).

თავიდან გურული ცხენოსნები ლონდონში ჩავიდნენ. მათმა ჯირითმა იმდენად დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ თვით დედოფალმა ვიქტორიამ ისურვა მათი ხილვა. დედოფალი აღფრთოვანებული დარჩენილა „კახაკების“ ჯირითით და დიდადაც დაუსაჩუქრებია ისინი. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ იუწყებოდა „გურულ კახაკებს, რომლებიც ახლა იმყოფებიან

ლონდონში პოლკოვნიკ ქოუდის ხელმძღვანელობით, ბრიტანელი მაყურებელი ძალზე გულთბილად ხვდება. დღეს ისინი გამოძახებულნი იყვნენ უინძორში, სადაც დედოფლის წინაშე იჯირითეს“. მაგრამ კაზაკები ხომ მაინც რუსები იყვნენ, ეს მხედრები კი რუსებს აშკარად არ გვანდნენ. და აი, როგორც იქნა ინგლისელებმა დაადგინეს რომ, ისინი „კაზაკები არ არიან და რომ მიეკუთვნებიან კავკასიურ ტომს, არ მსახურობენ და არც მსახურობდნენ რუსულ არმიაში. მათი უცნაური ლაპარაკი და უსტები... აგრეთვე მოძრაობები ცეკვაში, მაფიქრებინებს რომ ისინი კავკასიელი ებრაელები არიან“. ასე წერდა ინგლისელი ჟურნალისტი 1892 წლის ზაფხულში. ვინც იხილა მოჯირითეები, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ და როგორც წესი სკანდალური ინფორმაციით ართობდნენ მკითხველს. „მეფის არმიის კაზაკები ბრწყინვალე მოჯირითეები და უშიშარი მებრძოლები არიან... ისინი არბევდნენ ამ ორი წლის წინათ სანკტ-პეტერბურგის ქუჩებში კაცებს, ქალებსა და ბავშვებს, დახოცეს და ხმლებით აკუწეს ათასობით ადამიანი“. რეკლამა მაშინაც საჭირო იყო, სისხლისმსმელი კაზაკების ხილვა ყველას ეწადა.

1903 წელს თედო სახოკიას პარიზში შემთხვევით შეხვედრილმა გურულებმა შესჩივლეს: „სიკვტილი რავა არ არის, ყველა კაზაკებს გვეძახიან და ისიც ვერ გავაგებოთ, რომ საქართველოს შვილები ვართ“.

გურულ კაზაკებზე მაშინ ასე წერდნენ „...ემაწვილკაცობიდან უნაგირს შერწყმული რუსეთის დიდი თეთრკანიანი მეფის ეს ველური მხედრები, კენტავრებს უფრო ჩამოგვანან, ვიდრე ადამიანებს. ისინი იბრძვიან შუბით, ხმლით და კარაბინით. გაშმაგებით ესხმიან თავს მტერს და სწრაფად და მტკიცედ ხმარობენ იარაღს. უცნაურ, ორმაგ უნაგირებზე ამხედრებულნი, მათ ისეთი გმირობების ჩადენა შეუძლიათ, როგორც წარმოუდგენელია ცირკის მოჯირითეებისათვის. პირისპირ შეხვედრისას შიშის მომგვრელნი, ისინი უბრალონი და მშვიდობისმოყვარულნი არიან მარშირებისას. ბუნებით და მოწოდებით მოხეტიალენი, კაზაკები რუსეთის მეფის იდეალური მხედრები, გალანტური და ლოიალური ჯარისკაცები არიან – ავანგარდი, რომელიც რუსეთის საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. უაილდ უესთის შოუების მონაწილე ეს კაზაკები ბევრ მძიმე ბრძოლაში გამობრძმედილნი ვეტერანებიც არიან“. იმასაც აღნიშნავენ, რომ მეფე თავის უსაფრთხოებას

ანდობს მხოლოდ ამ უცხოებს და არა საკუთარ ხალხს ან კიდევ სხვა მის ქვეშევრდომებსო.

მათ წარმოდგენებს ასე აღწერდა იმდროინდელი პრესა:

„გამოდინა გურული ცხენოსნები სხვა-და-სხვა ფერის ჩერქეზულის ტანისამოსით. ყველანი იარაღში სხედან, ჯერ ტარებით ნელ-ნელა მწყობრის სიმღერით გარს შემოუარეს უშველებელ სცენას. სცენის შუაგულში გაჩერდნენ, ცხენებიდან ჩამოსხდნენ, ირგვლივ დადგნენ, სიმღერა შემოსძახეს, ტაში დაუკრეს და ლეკური დაუარეს. საზოგადოება აღტაცებაში მოდის და მრავალი ათასი კაცი ტაშს უკრავს მოწონების ნიშნად... განსაცვიფრებელია ისიც, რომ მიუხედავად მათი გრძელი სამოსისა, ისინი ცეკვავენ კიდევაც. მათი მოძრაობები დამუხტულია და მგრძნობიარე. ისინი ხან თავისი ქარბუქისებრი სიჩაუქით და მიხვრა-მოხვრით გვანცვიფრებენ, ხან ფეხებისა და მუხლების ქნევის ენით აუღწერელი გროტესკულობით...“.

ცეკვის შემდეგ იწყებოდა ნაღდი წარმოდგენა – ჩეხვა, თარჩია, ყაბახი და ჯირითი. ყველას აკვირვებდა გაჭენებულ ცხენებზე გურულების „დგომი“, „პირადმა და პირდადმა ყაბარდული“, „დაყუდება“, „ცალი ფეხის ყაბარდული“, „კისრის ყაბარდული“, „წინ და უკან გადარებული ყაბარდული“, „ცხვირსახოცის ატაცი“, „უზანგიდან ცალფეხგამოდებული გადმოხტომა“, „დაკიდებული ყაბარდული“, „ფეხებით ჩამოკიდება“ და მრავალი სხვა. ცნობილია აგრეთვე ტრიუკი, რომელსაც ერთეულები ასრულებდნენ, როცა გაჭენებულ ცხენზე მხედარი იხსნიდა აღკაზმულობას, მიწაზე ავდებდა, შემდეგ ასეთივე სიჩქარით მიწაზე დაყრილ ნივთებს ჩაუქროლებდა, სათითაოდ კრეფდა და თან ცხენს კაზმავდა. ყველაფერი ეს კეთდებოდა ჩოხა-ახალუხში ან მეფის ჯარის ჩვეულებრივ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი და იარაღსაშემული მხედრების მიერ. ამ დროს მხედარს ხშირად კბილებით გრძელი ხმალიც ეკავა. ამ და სხვა ტრიუკების დამადასტურებელი სურათებით უხვად იყო ილუსტრირებული მოჯირითეების სახელმძღვანელოც.

ამონაწერი სხვა წერილებიდან: „საკვირველი მხედრები არიან! ავსტრალიის და ამერიკის მინდვრებში ვყოფილვარ, ასობით და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მაგათი მსგავსი კი არაფერი არ მინახავს. ეს კაცები, ასე გგონია, ცხენზე ამოსულები არიანო. ვერ გაგვირჩევია: სად თავდება კაცი და სად იწყება ცხენი, ალბათ, იმათ ქვეყანაში კარგი ცხენოსნობის სკოლაა გამართული... საკვირველია! აი,

მექსიკელებმაც, ეხლა რომ ვნახეთ, ცხენზე კარგი ჯდომა იციან, მაგრამ ამ მთიელების შნო, სიმკვირცხლე და ყოჩაღობა კი არა აქვთ. მართალს ამბობთ: ცხენოსნობის სკოლაში კაცი ვერ შეისწავლის ასეთ კარგ მხედრობას. აქ ხანგრძლივი ეროვნულის ცხოვრების ტრადიცია სჩანს. საკვირველი კია და“.

„კაზაკები ცხენებს საშინელი სინქართ დააჭენებენ... თავდაყირა ჩამოკიდულნი, მიწიდან იღებენ პატარა საგნებს, ასრულებენ გაუგონარ და თავზეხელაღებულ ტრიუკებს, მშვენივრად ხმარობენ თავიანთ სპეციფიურ იარაღებს, თოფს, პისტოლეტს და განსაკუთრებით სიმარჯვით ხმალს.“

ველური დასავლეთის ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი დი ბრაუნი წერდა: „ცხენზე ჯირითი როდეოში შემოიტანეს თავზეხელაღებულმა კაზაკებმა. კაზაკების თავბრუდამხვევი ტრიუკებით დაინტერესებულმა კოვბოებმა ეს გაითავისეს და შემდგომ თავისებური ვარიანტი წარმოადგინეს ამერიკულ როდეოში“. მოჯირითეების სახელმძღვანელოს ავტორი ფრენკ დინი აღნიშნავს „როდესაც კაზაკები შეერთებულ შტატებში ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე ჩამოვიდნენ, ამერიკელებმა მათგან სხვადასხვა ილეთები და ნათელი იდეები გადმოიღეს“. კოვბოები გურულების ჩამოსვლამდეც დაინტერესებულნი იყვნენ ტრიუკების კეთებით, ზოგი უნაგირზეც კი დგებოდა, მაგრამ მხოლოდ ქართველი ცხენოსნების ტექნიკამ და მანამდე არნახულმა, საოცარმა ილეთებმა მისცა ბიძგი იმ საყოველთაო ბუმს, რაც შემდეგ მთელ ამერიკაში გავრცელდა.

მოჯირითეებს შორის ქალებიც იყვნენ. 1844 წელს ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნდა საუბარი ფრიდა მგალობლიშვილთან. იგი ამბობს, რომ ჯირითი სპეციალურად არ უსწავლია:

„ჟველა ტრიუკს ვაკეთებდი გასართობად და სხვადასხვა შეჯიბრებებში, რომელიც ჩემს სამშობლოში ტარდებოდა.

... ჩვენ, კაზაკი (?) ქალები, მიუხედავად იმისა, რომ ხმის უფლება არა გვაქვს და არ ვმოღვაწეობთ იურისპრუდენციასა და მედიცინაში, უფრო თავისუფალნი ვართ, ვიდრე თქვენი ამერიკელი ქალბატონები...“

ჩემს ქვეყანაში კაცებსაც და ქალებსაც თითქმის ერთნაირი წეს-ჩვეულებანი გვაქვს. ქალები თითქმის ისევე ეწევიან სასიამოვნო რბილ თამბაქოს (?), რომელიც ჩვენვე მოგვყავს ან კი თურქეთიდან ჩამოგვაქვს. ისინი ასევე თავისუფლად სვამენ მშვენიერ კაკეასიურ ღვინოს...

ჩვენ ვართ ღვინის და არა არყის მსმელები. რუსებისაგან განსხვავებით ჩვენ ძალზე ფხიზელი ხალხი ვართ, ლოთობა თითქმის უცნობია ჩვენში...

აღბათ ჩვენებური კლიმატია დამნაშავე იმ პარმონისა, რაც ჩვენში სუფევს, სუფთა ჰაერზე ცხოვრება საწინდარია ჩვენი ჯანმრთელობისა...

ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ისევე, როგორც კათოლიკებს, გვაქვს ბევრი წმინდა დღესასწაული...

დავუშვათ თქვენ ჩახვედით კავკასიაში, იქ არ დაგჭირდებათ სარეკომენდაციო წერილები. თქვენი სტუმრობით მოხარულები იქნებიან ყველაზე საუკეთესო ოჯახები, იქ იცხოვრებთ იმდენ ხანს, რამდენიც მოგესურვებათ და ყველაფერი რაც კი სახლშია თქვენს განკარგულებაში იქნება...”

წერილი ბევრ შეკითხვას ბადებს, აქ მრავლად არის აღბათ ჟურნალისტის მიერ დამატებული პასაჟი მკითხველის ინტერესის გასაძლიერებლად, მაგრამ მთლიანობაში საუცხოოდ არის გადმოცემული გურული ხასიათი, გამოუცნობი და მომხიბლავი, უკვე ამერიკელთათვისაც გასაგები.

გურულებსაც ძლიერ მოსწონებიათ ამერიკა. „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენტი წერდა „მერე საუბრიდან შევიტყვე, რომ ამ გურულებს მთელი შეერთებული შტატები თავიდან ბოლომდე სულ მოუვლიათ და შტატების ყველა დიდი ქალაქები უნახავთ. გავიგე ისიც, თუ როგორ ჭკუაში მოსვლიათ შეერთებული შტატების წყობილება, დაწესებულებანი, ზნე და ცხოვრება. ამერიკელების განათლებას, სიმდიდრეს, მხნეობას და საქმიანობას ძლიერ გაუშტერებია გურულები. შტატებზე აღტაცებით ლაპარაკობენ, თუმცა კი დიდ ქალაქებში წვრილ საქმის კაცთა გაიძვერობა და თავხედობაც შეუნიშნავთ. ყველაზე ძლიერ კალიფორნია მოსწონებიათ. იქ ჰავაც, ხილიც და სტუმართმოყვარეობაც ყველაფერი ჩვენ საყვარელ სამშობლოს გვახსენებდაო”. ზოგიერთი მოჯირითე შემდგომში ამერიკის მოქალაქე გახდა და აცხადებდა, რომ, თუ სამშობლოში დაბრუნდებოდა, ამ დემოკრატიულ პრინციპებს და კანონებს თავის ქვეყანაშიც დაამკვიდრებდა.

უკმარობის ნიაღვარი

900-იანი წლებიდან გურია თითქმის მთლიანად სოციალურ, რევოლუციურ ბრძოლაში გადაერთო. ობიექტურად, როგორც მარქსისტებს მიაჩნდათ, ამის მიზეზი მცირემიწიანობა იყო და, ამის გამოც, ცოდნიც მიღების დაუოკებელი წყურვილი,

რევოლუციური ცენტრების (ბათუმი, ფოთი, ქუთაისი) სიახლოვე. ისტორიკოსები ახსნიან მტრული გარემოცვით და ოჯახში იარაღის შენახვის აუცილებლობით. ეს ობიექტური გარემოებებია. მაგრამ ასევე იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ან იქნებ „ამ წარმტაცი ქვეყნის“ ჰავა და ლანდშაფტია ყველაფრის შემოქმედი. ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლიდან თუ ჩაჰყვებით გურიის მდინარეების ნატანების, გუბაზოულის, სუფსის, ბუჟუის ხეობას, თვალწინ გადაგეშლებათ „დიდებული სურათი მთისა და ბარის წალკოტისა, სურათი მთებიდან მოწვევტილი და ზღვისკენ მომქროლავი მდინარეების შთამბეჭდავი მუსიკისა“ (მოსე გოგობერიძე) და სწორედ ამიტომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ (გალაკტიონი).

„ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი. მისი ლანდშაფტი სამმუხოვანი სივრცე-გაშლილი სინთეზია: მოქნილი მთები, ბახმაროსაკენ თანდათან ზვიადობით ამართული, თვალწვედენელი ჭალადი, სამეგრელოსაკენ ძღვეამოსილებით გაფენილი. მოშორებით შავი ზღვა, ეს უხვად გამდნარი მუქი ზურმუხტი. გურიაში მოიძებნება ისეთი პუნქტი, საიდანაც ადამიანის მჭკრეტი თვალი სამმუხოვან ლანდშაფტს ერთს ესტეტიურ სარკმელში გაატარებს მძაფრი სიტკბოებით. განსაცვიფრებელია გურიის ნელი სირბილე: აქ ვერ მონახავთ ვერცერთს „მყვირალა“ ფერს, იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ უხეშ ხაზს. იქ ყოველი ნაკვთი რბილია, ნაზი, მჩატე, ნარნარი. თვითონ მთებიც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით კი არ არის ამართული, არამედ ხავერდოვანი სირბილით. განსაკუთრებით კეკელუცია ჩაქვისაკენ მახლობელი მიდამო, ხოლო ეს სიკეკელუცე უფრო რბილად მოდუნებულია, ვიდრე იმერული ხტომით ნაყარი“ (გრ. რობაქიძე).

„გურიაში თავადაზნაური და კაძახი ერთნაირათ ცხოვრობენ და ვერაფრით გაარჩევთ მათ ერთ-მეორესგან თუ არ წოდებითა. ქართლში რო იძახიან: „მე თავადიშვილი ვარ და შენ გლეხი, თაყვანი მეციო“, აქ ეს არ არსებობს. რაც კაძახია, ის კეთილშობილია. ერთი შემთხვევა იყო აქა: ერთი აზნაურიშვილი კაძახს შეხვდა და კაძახი უდიერათ მოექცა აზნაურიშვილსა, რომელიც ცხენზე ბრძანდებოდა. ცხენოსანმა იწყინა და შეუძახა: კაძახო, რავა მიბედავ, ხედავ ამასო და მათრახი ასწია ზევით, რომ გაუშალოს სახეში, მაგრამ სანამ მათრახს აიღებდა კეთილშობილი, კაძახმა ფიშტო იტაცა წელიდგან და ცხენიდან გადმოუძახა კეთილშობილი. ამისთანა

მაგალითები მრავალია აქ მხოლოდ ამისათვის, რომ გაერთება სრულებით სუფევდეს ხალხში” - წერდა ეთნოგრაფი კ.გვარამაძე 1901 წელს [7].

და ასეთი ხალხის დამორჩილება სურდათ რუს სალდათებს? ცხადია, ეს შეუძლებელი იყო. განადგურება იქნებ შეეძლოთ, ისევე როგორც სხვა მცირე ხალხებისა – წებელდელების, უბიხების, აფხაზთა უდიდესი ნაწილისა – მუჰაჯირობას რომ ემსხვერპლნენ, მაგრამ დამორჩილება? – ეს შეუძლებელი გახლდათ!

გურულები ვერასდროს ეგუებოდნენ თავისუფლების შეზღუდვას, პატარა უსამართლობა საკმარისი იყო, უჯანყებოდნენ მთავრობას და გარბოდნენ ტყეში „ფირალად“. გლეხთა აჯანყებები კი თავისი მასშტაბებით გამოირჩეოდნენ. 1905 წლის „ჯანყი გურიაში“ ისტორიაში შევიდა როგორც „ნასაკირალის ბრძოლა“, შეიარაღებული გლეხების ბრძოლა რუსეთის რევოლუციულ ჯართან.

რა ძალა აქვს მცირერიცხოვან ერს დამპყრობელის წინააღმდეგ, რომელსაც იმდენი ზარბაზანი აქვს, რამდენიც მთლიანად არის ქართველი, რომელიც მხოლოდ ასეთი კატეგორიებით აზროვნება „Сила есть, ума не надо“. ასეთ „Сила“-სთან შესაძლებელია იბრძოლო მხოლოდ ფართო სოციალური მოძრაობით, სამწუხაროდ მხოლოდ სისხლისღვრით, ნგრევით, რევოლუციით, იმპერიის დამანგრეველი რევოლუციით, მხოლოდ მთლიანად რუსეთის იმპერიის ჩაგრული ერებთან და გლეხებთან ერთად. სხვა გზა არ იყო. ამას პირველად გურიაში მიხვდნენ და სწორედ ამიტომ იყვნენ ასე მრავლად გურულები ჩაბმულნი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, გრიგოლ რობაქიძემაც ზუსტად მიაგნო გურულების ამ ფენომენს.

და აი, XIX საუკუნის მიწურულს საქართველოც ებმება ორგანიზებულ, თეორიულ და პრაქტიკულ ბრძოლაში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაცვლად სოციალური ჩაგვრის უღლის მოცილება, როგორც პირველადი ამოცანა, რასაც შემდეგ ეროვნული ღირსების აღდგენაც თან მოჰყვება. გურიაში და მთლიანად საქართველოში მიიღო სოციალიზმის იდეა.

მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის გლეხობის მღვდლვარება თანდათან ეუფლებოდა მთელ რუსეთს. პროპაგანდისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა „ბნელ გლეხობას გაეღვიძა”

და მიმხედარიყვნენ, რომ არსებული სახელისუფლებო წესრიგი არ იძლეოდა მიწის სამართლიანად სარგებლობის შესაძლებლობას. გლეხები იკრიბებოდნენ თავყრილობებზე და მოითხოვდნენ დამფუძნებელთა კრებას, რომელიც მოწვეული იქნებოდა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. გლეხობა იმედებს ამყარებდა არა მეფის ხელისუფლებაზე, არამედ სახალხო დამფუძნებელთა კრებაზე. მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევის შესაძლებლობა ხომ ისევ ხელისუფლებაზე იყო დამყარებული. იქმნებოდა ფსიქოლოგიური, ლოგიკური წინააღმდეგობა, რომლის გადალახვა მართლაც იძლეოდა სახელმწიფოს ნორმალური განვითარების შესაძლებლობას, აღნიშნული წინააღმდეგობის მშვიდობიანი მეთოდებით დაძლევის შემთხვევაში, როგორც ეს ძირითადად განხორციელდა კიდეც ევროპის ქვეყნებში და როგორც ამას ითხოვდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზომიერი ფრთის წარმომადგენლები. მაგრამ რუსეთში სხვა მდგომარეობა იყო. აქ არ იყო ფართო საგანმანათლებლო მუშაობის შესაძლებლობა, გლეხობა ძირითადად ბნელ მასას წარმოადგენდა, რომლისთვისაც მარტივი ღოზუნგები იყო გასაკები. ამასთან, თავისი სიდუხჭირის მიზეზის (კონკრეტული მებატონის) სიძულვილი სხვა ქვენა გრძნობებსაც იოლად აღვიძებდა და გლეხობის მოძრაობას მთლიანად რუსეთში სტიქიურ ხასიათს ანიჭებდა.

განსხვავებული მდგომარეობა იყო საქართველოში, განსაკუთრებით გურიაში, სადაც გლეხობის მოძრაობას განსაკუთრებით ძლიერი, შეგნებული, ორგანიზაციული ფორმა ახასიათებდა. გლეხთა უკმაყოფილებას გურიაში, ეროვნულ საკითხთან ერთად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზეზებიც ჰქონდა. გლეხობა აქ მეტად მცირემიწიანი იყო. უმეტესობა ერთ დესეტინა ან უფრო ნაკლებ მიწას თუ ფლობდა. იშვიათობა იყო 2 დესეტინა, ან უფრო მეტი მიწის მფლობელი გლეხი. მიწის ძირითადი ნაწილი, ტყეები, მემამულეთა ხელში იყო, რომლებიც გლეხებს მიწას არენდით აძლევდნენ. არენდის ოდენობა ხშირ შემთხვევაში მძიმე გადასახდელი იყო (მოსავლის ნახევარი ნაყოფიერი მიწისთვის, მესამედი – უნაყოფოსთვის). იმ დროინდელი სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა (თოხი და ბარი) არ იძლეოდა ოჯახის საჭიროებისათვის საკმარისი მოსავლის აღებას, ამისათვის მთელი დღის განმავლობაში თავდაუზოგავი შრომა იყო საჭირო.

1901-1902 წლები გურიაში მოუსაველიანი იყო, დესეტინა მიწა იძლეოდა 20-30 ფუთ სიმინდს, ნაცვლად ჩვეულებრივი 80-120 ფუთისა. გლეხობის მდგომარეობა საზარელი გახდა. ამას ემატებოდა მრავალი გადასახადები, პირდაპირი თუ ირიბი, სხვადასხვაგვარი ბეგარა, რაც გლეხობის მდგომარეობას მართლაც აუტანელს ხდიდა

მე-19 საუკუნეში გურია ღვინის დიდი მწარმოებელი მხარეც იყო და მხოლოდ კახეთს ჩამორჩებოდა მოწეული ღვინის ოდენობით. აქ 60 ძვირფასი ჯიშის ვაზი ხარობდა (კლარჯული, თეთრი, შავი კამური...) ძველი მოგზაურები გურულ ღვინოს საუკეთესო ფრანგულ ღვინოებს ადარებდნენ. მოგვიანებით გურის მეღვინეობაში იოლად მოსაველელი ჯიშში – „ადესა“ გაბატონდა (ისევე, როგორც „რქაწითელისა“ და „საფერავის“ ტექნიკური კულტურები აღმოსავლეთ საქართველოში). „ადესა“ ანუ „იზაბელა“ არც არის ქართული ჯიშის ღვინო, მისი ნერგები 1832 წელს ჩამოუტანია ესპანეთიდან ნიკო მარის მამას. 1905 წლის რევოლუციის გამო გურიის აკლებისა და ზვრების გადაწვა-განადგურების შემდეგ ჩაკედა გურული ღვინის მრეწველობა, გურულები გულს კვლარ უდებდნენ მეღვინეობის შრომატევად საქმიანობას – მათი გონება მთლიანად სოციალური უსამართლობის აღმოფხვრის გზების ძიებით იქნა შეპყრობილი.

მემამულეების უმეტესობა ამ მდგომარეობას არ ითვალისწინებდა და ისეთივე გადასახადს ითხოვდა როგორც ჩვეულებრივ. მღვდლები დამარხვასა და ქორწინებისათვის 15 მანეთს ითხოვდნენ, ხელისუფლებაც ზრდიდა გადასახადებს. გლეხობა ქალაქებს მიაწყდა, განსაკუთრებით ბათუმს. მაგრამ 1902 წელს ბათუმში გაფიცვის გამო მუშებს ითხოვდნენ სამსახურიდან. სოციალისტური პროპაგანდით გლეხები იგებდნენ თუ როგორ უნდა დაიძლიოს სოციალური უსამართლობა: კერძო საკუთრება ბოროტებაა, მიწა ეკუთვნის მთელ ხალხს, მაშასადამე მიწით უნდა ისარგებლოს მან, ვინც მიწას ამუშავებს. გლეხობამ ყრილობებზე საიჯარო გადასახადის შემცირების მოთხოვნა დაიწყო, მემამულეებმა მთავრობაში იჩივლეს, რომ გლეხობა ბუნტს აწყობს, მაზრაში კახაკთა რაზმები გაიგზავნა წესრიგის დასამყარებლად. „ბუნტოვშიკები“ - მოლაპარაკებაზე მისული გლეხები დააპატიმრეს, მაგრამ ამით, ცხადია, წესრიგი არ დამყარდა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თავადი და ქართველი სამღვდელეობა თანახმა იყო

დაეკმაყოფილებინათ გლეხობის მოთხოვნები, წასულიყვნენ დათმობებზე, მაგრამ ქუთაისიდან ჩამოსულმა გუბერნატორმა მკაცრი პოლიტიკის გატარება მოითხოვა, გლეხებს აპატიმრებდნენ, მაზრაში ეგზეკუცია ჩააყენეს.

900-იანი წლებიდან საქართველოში მატულობს მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები. მაისობის აღსანიშნავად გლეხობის მემამულეებთან შეტაკებები ხდება. აგრარული მოძრაობა სულ უფრო ფართოვდება და რევოლუციურ ხასიათსღებულობს, პოლიციას უჭირს მრავალრიცხოვან, უკვე შეიარაღებულ გლეხობასთან გამკლავება. გლეხებს ორგანიზებაში ის მუშებიც ეხმარებიან, რომლებიც გაფიცვების გამო ქალაქებიდან სოფლებში გაასახლეს. 1902 წელს გლეხობა მასობრივად უარს ამბობდა ბეგარის გადახდაზე გორის მაზრაში, თითქმის მთელ გურიასა და სამეგრელოში, შემდეგ იმერეთში და აჭარაში, კახეთში, თითქმის მთელ საქართველოში.

გლეხობის წინააღმდეგობა სულ უფრო ძლიერდებოდა. ტერორისტებმა თავადი გურიელიც მოკლეს იმის გამო, რომ იგი გლეხების დასამორჩილებლად გუბერნატორისაგან ჯარს ითხოვდა. ხელისუფლება მიმართავს რეპრესიებს, გლეხებს აპატიმრებენ, ურჩ სოფლებში ეგზეკუციებს აყენებენ, მრავალს ციმბირში ასახლებენ, მაგრამ რეპრესიები კიდევ უფრო აძლიერებს მტრობას და სიძულვილს, ყალიბდება გლეხთა და მიწის მუშათა კომიტეტები, რომლებიც აღარ ემორჩილებიან ხელისუფლებას, ირჩევენ რწმუნებულებს და თვითვე წვევებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. მაზრების ხელისუფლება და პოლიცია ვერ ბედავს სოფლებში შესვლას, მწიფდება რევოლუციური სიტუაცია.

გურული გლეხობა აღარ ემორჩილებოდა ხელისუფლებას, აირჩიეს საკუთარი მმართველობა და ფაქტობრივად დამოუკიდებლად უძღვებოდნენ სოფლის მართვას. თვითონღებულობდნენ გადაწყვეტილებებს და ადგენდნენ სამართალს. შეინიშნება, რომ იმ პერიოდში შეწყდა ქურდობა და მოსახლეობის ძარცვა. სოფლის სასამართლოებს თავადაზნაურობაც მიმართავდა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქმის გარჩევა სწრაფად და სამართლიანად განხორციელდებოდა. იმ დროს გურიაში სახელმწიფო მომრიგებელი სასამართლოების ფუნქციონირება თითქმის შეწყდა.

1903 წელს მთელ გურიაში დაიწყო მემამულეთა წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო გაფიცვა. გურული გლეხები საოცრად სწრაფად და იოლად ითვისებდნენ სოციალისტურ იდეებს. ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ გლეხოზა საქართველოში, მათ შორის გურიაში პროლეტარები არ იყვნენ. ისინი ყველანი კერძო მესაკუთრენი გახლდნენ, მართალია მცირემიწიანი ე.წ. წვრილი მესაკუთრენი, მაგრამ მაინც მესაკუთრენი და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების თანახმად ისინი სოციალიზმისადმი მტრულად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილნი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილად. „თუ თეორიას ფაქტები არ ადასტურებს, მით უარესი ფაქტებისთვის“. ხომ უნდა გადარჩეს კლასობრივი ბრძოლის თეორია და – მარქსისტები ასეთ დასკვნას აკეთებენ: მართალია, გურული გლეხები მესაკუთრენი არიან, მართალია გურიაში არ არის მსხვილი საწარმოები, სადაც მომუშავე გურულები კოლექტიური ბრძოლის სულისკვეთებით განიმსჭვალებოდნენ (მუშათა კლასი ხომ ყველაზე უფრო შეგნებული და ორგანიზებული ძალაა), მაგრამ გურულები ისეთივე დაუნდობელ ჩაგვრას განიცდიან ექსპლოატატორ მემამულეთა კლასისაგან, როგორც პროლეტარები კაპიტალისტებისგან; გლეხები მიხვდნენ, რომ მათი გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმით, სოციალისტური რევოლუციით. როგორც ჩანს მარქსისტები თვლიან, რომ ასეთი ახსნით გადარჩა კლასობრივი ბრძოლის თეორია, რომელიც დოგმა კი არ არის, არამედ შემოქმედებითად განვითარებადი მოძღვრება. ასეთი იყო მარქსისტების პოზიცია, რომლის სიმკიცხვეს თვითონაც კარგად გრძნობდნენ და ამიტომ მთელი ძალებით ადვილებდნენ გლეხოზაში კლასობრივ სიძულვილს. ეს მსჯელობა სავსებით მართებული იყო რუსეთის გლეხოზასთან მიმართებაში. რუსი გლეხი ცარიზმის პირობებში სრულიად უუფლებო, დაჩაგრული და უქონელი იყო, უფრო მეტიც, იგი დამონებული, პირუტყვის დონემდე დაყვანილი ადამიანი გახლდათ.

საქართველოს გლეხოზაზე ამას ვერ ვიტყვით. წოდებრივი განსხვავება საქართველოში არასდროს ყოფილა თვალშისაცემი. ამას თუნდაც ძიძის ინსტიტუტიც მეტყველებს, თავადიშვილი თავისი ყმის ოჯახში ისევე იზრდებოდა, როგორც მშობლიურ ოჯახში, ხოლო ძიძიშვილებთან მისი ურთიერთობა ადამიანური ურთიერთობით ეტალონი გახლავთ დღესაც. წოდებრივი განსხვავების მიუხედავად წაშლილი იყო ყოველგვარი ზღვარი

რჩეულობისა და აღმატებულობისა ერთი წოდებისა მეორეზე, პირიქით, დამკვიდრებული იყო ერთგულების და ერთმანეთისთვის თავგანწირვის იდეალი [8]. ქართველობამ ვეფხისტყაოსანიც კარგად იცოდა და მას, მათ შორის გლეხობას, ავთანდილ-შერმადინის დამოკიდებულობაც კარგად მოეხსენებოდა.

ბუნტის მიზეზი სხვა იყო. ეკონომიკური გაჭირვება და ხეპრული რუსული ჩინოვნიკობის მმართველობა დიახაც იყო ბუნტის საფუძველი, მაგრამ მთავარი პიროვნული ღირსების დაცვის სურვილი გახლდათ. ამაყია ქართველი კაცი, ვაგლახად არ შეირჩენს შეურაცხყოფას, თავს შეაკლავს შეურაცხმყოფელს. ამას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა - „ამაყნი, ღაღნი, სახელის მადიებელნი (ენრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა ხდებენ ქვეყანასა და მეფესსა თვისსა).“ ქართველთა ეს თვისება ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნასაც უშლიდა ხელს და, ერთგვარ, ფეოდალურ დემოკრატიას ქმნიდა.

სიამაყის გრძნობა განსაკუთრებით გამორჩეულია გურიაში, რასაც მრავალი მკვლევარი შენიშნავს, მაგრამ ყველაზე ზუსტად და ხატოვნად გალაკტიონმა იგრძნო:

„არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ეინი, ბრძოლის ქარი,

*არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი,
... როგორც... - აქ ამ წარმტაც ქვეყანაში!“*

შეიძლება სწორედ ამიტომაც სოციალ-დემოკრატიული იდეები ყველაზე უკეთ გურიაში გავრცელდა. სულ სოციალისტურმა მოძრაობამ სამი კომუნისტური მანიფესტი იცის და ერთ-ერთი მათგანი ბახში დაწერეს. გურულებს ეამაყებოდნენ – ჩვენმა მანიფესტმა ლენინი გადარია, უთქვია თურმე – საკაცობრიო მოვლენააო.

და სწორედ ამიტომ გურული გლეხები უპასუხოდ არ ტოვებდნენ ძალადობის ან შეურაცხყოფის თითქმის არც ერთ შემთხვევას. პოლიციელები, სტრაჟნიკები, ბოქაულები და სხვ. გურიის საიდუმლო კომიტეტის მსხვერპლი ხდებოდა დაუყოვნებლივ. საიდუმლო კომიტეტი აფრთხილებდა მოძალადეს სამსახურისთვის თავი დაენებებინა. თუ ჩინოვნიკი გადადგებოდა, მას თავს ანებებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მას მოკლულს პოულობდნენ. მაზრის ადმინისტრაცია ისეთ პანიკაში იყო

ჩავარდნილი, რომ მოხელეები მთლიანი შემადგენლობით ტოვებდნენ სამსახურს. 1905 წლის დასაწყისში მაზრის უფროსმა და მისმა თანაშემწემაც დასტოვეს პოსტები, როგორც ამას გურიის საიდუმლო კომიტეტი მოითხოვდა, შემცველი ამ თანამდებობაზე ვერ იქნა ნაპოვნი. კომიტეტის საქმიანობა სასტიკ ხასიათს ღებულობდა, რაც იქამდეც კი მიდიოდა, რომ კრძალავდნენ ხელისუფლების წარმომადგენლის დაკრძალვასაც კი, მათ მიერ მოკლულის [9]. ბათუმში მოკლეს თავადი გურიელი, ჟანდარმერიის ოფიცერი, იმის გამო, რომ იგი პირადად იღებდა მონაწილეობას მუშათა გაფიცვის დარბევაში. გურიის კომიტეტმა დაადგინა, რომ იგი არ დამარხულიყო. თავადმა ნაკაშიძემ, რომელიც იმ დროს გურიის მაზრის უფროსი იყო, დაამარხინა კომიტეტის მიერ მოკლული თავადი გურიელი, მაგრამ შემდეგ, კომიტეტის მოთხოვნით, ამის გამო თვითონაც დასტოვა თანამდებობა.

დიდი ხნის შემდეგ გურულები უკვე ასე იხუმრებენ: „ხენწიფე იმიზა ჩამოვაგდეთ, კატლეტს რომ ჭამდაო... აბა? ასე იყო – დადიონდნენ თურმე აგიტატორები სოფლებში და ხალხს ეუბნებოდნენ: თქვენ რომ საცივსა და ღომზე ხართ, მეფე კატლეტს ჭამსო... რაო, კატლეტს ჭამსო? ... აბა, მაგას ვუწვევებთ სეირსო და.. აჯანყდა გურია. გამოუცხადეს მემამულეებს ბოიკოტი – თქვენს ყანებს აღარ დავამუშავებთო. ვინც მაინც გაბედავდა და ამას იზამდა, გაუგზავნიდნენ ქაღალდს, ზედ ეხატა თოხი, ხანჯალი, და კუბო... მორჩენილი იყო მერე ამ კაცის საქმე – გაასაღებდნენ“.

15 თებერვალს გურია-აჭარაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა და სისასტიკით ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკის დაევალა წესრიგის დამყარება საქსპედიციო კორპუსით. საქართველოს საზოგადოების (ი. ჭავჭავაძის) მოთხოვნით მთავარმმართველის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა მალამამ სადამსჯელო ოპერაცია შეაჩერა და თავისი სპეციალური წარმომადგენელი სულთანი კრიმ გირეი გაავზავნა გლეხობასთან მოსალაპარაკებლად. აღმოსავლეთ საქართველოში გაიგზავნენ ქართველი გენერლები ი. ამილახვარი და ზ. ჭავჭავაძე. გლეხები ითხოვდნენ მიწას, თავისუფალ თვითმმართველობას, ქართულ ენაზე სწავლას, სკოლებს.

1905 წლის თებერვლისათვის გურია ფაქტობრივად თავისუფალი იყო. თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან გამოქცეული რევოლუციონერები გურიას აფარებდნენ თავს, აქ

ისინი სამშვიდობოს იყვნენ. ხელისუფლება სრულებით უძღვრის იყო აღდგინა წესრიგი და მთავარმმართველმა გენერალმა მალამამ რეგულარული ჯარის გამოგზავნა განიზრახა. დასავლეთ საქართველოში გენერელ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით გაიგზავნა კიდევ დამსჯელი რაზმი მძიმე შეიარაღებით, არტილერიით, რაც მთლიანად გურიის განანაგებას მოასწავებდა. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაარწმუნეს მალამა დამსჯელი რაზმის (карательный отряд) გამოხმობის აუცილებლობაში, რომ ეს ყველაფერი ოზურგეთის ადმინისტრაციის შეცდომებია და რომ არავითარი აჯანყება გურიაში არ არის. „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენს ძმებთან ერთად „костями ляжем“ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოთქვა) [10].

მალამამ ჯარი შეაჩერა და სულთან კრიმ-გირეი გააგზავნა გურიაში რეალური ვითარების შესასწავლად. სულთან კრიმ-გირეიმ მოხიბლა გურულები, იგი დაცვის გარეშე ჩავიდა გურიაში და თვით გლეხებმა მიუჩინეს საიმედო დაცვა, რათა ვინმე პროვოკაციის მიზნით არ დასხმოდა თავს მათს „სტუმარს“, როგორც მას გურულები უწოდებდნენ. სულთან კრიმ-გირეიმ შემოიარა სოფლები და გაოცებული დარჩა გურულების განათლების დონით, მათი მოთხოვნების ლოგიკური არგუმენტაციით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სახელმწიფო მოხელე გლეხობას შეხვდა უკმაყოფილებისა და მღელვარების მიზეზების გასაგებად. მიზეზები მკაფიოდ და კონკრეტულად იქნა ჩამოყალიბებული. გლეხობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, მაგრამ მთავარ საკითხში შეთანხმება მაინც იქნა მიღწეული. მემამულეები დათანხმდნენ მიეღოთ მოსვლის ერთი მეათედი ნაცვლად ერთი მესამედისა, როგორც მანამდე იყო და მდგომარეობა ჩაწყნარდა, თუმცა დროებით. ცოტა ხნით გურია მოასვენეს. ნოემბერ-დეკემბერში იქ შედარებით სიწყნარე სუფევდა

სოფლად არსებული მდგომარეობა წარგზავნილმა კომისიებმა რეალურად აღწერეს, მიუთითეს სოფლის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ჩინოვნიკების ძალმომრეობა და ა.შ. მათ ისიც შეამჩნიეს, რომ კოსმეტიკური, მცირე ცვლილებები ხალხს აღარ დააკმაყოფილებდა და საჭირო იყო წესრიგის აღდგენა სამხედრო ძალით ან სერიოზული დათმობებით და გლეხობის ფართო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სხვათაშორის, გურიაში კარგად იცოდნენ, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა უნარი დაეკმაყოფილებინა გლეხობის მოთხოვნები და ამიტომ მათთან ჩასული კრიმ გრეის წარუდგინეს „ბახვის მანიფესტი“ (შეხვედრა სოფელ ბახვში შედგა), სადაც ის აუწყეს მთავრობას, რომ სოლიდარობას უცხადებენ მთლიანად რუსეთის მშრომელებს და ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მხოლოდ დემოკრატიულად არჩეული მთავრობა შეძლებსო. ხელისუფლება დათმობებზე არ წავიდა, ზაფხულიდან დაიწყო სადამსჯელო ოპერაციები, მაგრამ გლეხობა უკვე სერიოზულად იყო შეიარაღებული, ჩამოყალიბებული იყო ე.წ. „წითელი რაზმები“, ჯართან შეტაკებებს სასტიკი ხასიათი ჰქონდა, დიდი იყო მსხვერპლი.

ზაფხულის განმავლობაში გურიაში სიწყნარე იყო, ფაქტობრივად თავისუფლება სუფევდა, არჩეული მოსამართლეები სოფლის საქმეებს უძღვებოდნენ და კვირაში ერთხელ სოფლის ყრილობაზე მოსახლეობას საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ. გურიაში მაშინ შეკრებისა და სიტყვის სრული თავისუფლება იყო, ამავე დროს რუსეთის ცენტრშიც საწყნარე იყო, მთავრობა ავრცელებდა ხმებს, რომ აჯანყებულები როგორც წესი „инородцы“ არიან, რომლებსაც რუსეთიდან გამოყოფა სურთ, ისინი ებრძვიან „матушка Россия“-ს, რაც ჯარისკაცებში სათანადო ველიკოდერჟავინკულ განწყობილებას თესავდა განაპირა კოლონიების წინააღმდეგ. ვითარება მოგვიანებით შეიცვალა, როცა რუსეთის გლეხობაც აუჯანყდება თავის მთავრობას. ამას გურული გლეხებიც კარგად გრძნობდნენ, ისიც კარგად იცოდნენ, რომ თავისუფლად ყოფნის უფლებას მათ ხელისუფლება არ შეარჩენდა და მოუთმენლად ელოდნენ მოვლენებს ცენტრალური რუსეთიდან. საქართველოს გლეხობის თავისუფლება მთლიანად რუსეთის იმპერიის ჩაგრული ფენების თავისუფლებასთან იყო დაკავშირებული.

ამ დროს გამოცხადდა ნიკოლოზ II-ის 17 ოქტომბრის მანიფესტი, ჯარი სოფლებიდან უკან გაიწვიეს, დაიბნა არჩევნები „დუმაში“ – სახელმწიფო სათათბიროში. ხალხს პირდებოდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, კონსტიტუციას. ოქტომბერში მთელ რუსეთში და საქართველოშიც საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოეწყო, რომელშიც თითქმის მთელი საზოგადოება ჩაება, ოპოზიციური პარტიები, მოსახლეობა. მანიფესტი აღიარებდა პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვის, კრებებისა და კავშირების ძირითად პოლიტიკურ

თავისუფლებას. ოპოზიციურ ძალებს ეს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. გლეხობა ამ აქტისადმი გულგრილი დარჩა, მთავრობას გლეხები აღარ ენდობოდნენ და იარაღის შეგროვებას აგრძელებდნენ. მდგომარეობა უკვე უმართავი იყო. ვითარება სულ უფრო მწვავედებოდა.

ამის გამო, როდესაც გურიაში გაიგეს, რომ მოსკოვში რკინიგზის მუშები გაიფიცნენ, რასაც მთლიანად რუსეთი გამოეხმაურა, მაშინვე გადაწყდა საყოველთაო გაფიცვის დაწყება. გურიაში გაფიცვა 15 ოქტომბერს დაიწყო, მრავალ ადგილას ააფეთქეს სარკინიგზო ხიდები, ჩამოჭრეს სატელეგრაფო კავშირის ხაზები. მაზრის უფროსი შველას ითხოვდა, არტილერიით შეიარაღებული ჯარის გამოგზავნას. მაგრამ შიკრიკებს გურული წითელი პარტიზანები იჭერდნენ. 19 ოქტომბრიდან მათ კაზაკთა 130 კაციანი რაზმი დაამარცხეს და უკვე ოზურგეთის შტურმით აღებას აპირებდნენ. ამ დროს ცნობილი გახდა 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. მანიფესტს გურულები ბოლომდე არ ენდობოდნენ, თუმცა ისიც ვერ წარმოედგინათ, რომ მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ მთავრობა დამსჯელ ოპერაციებს განახორციელებდა და ამიტომ მათ შეაჩერეს საბრძოლო მოქმედებები. ოზურგეთში დაბანაკებულმა 700 კაციანმა ჯარმა კი შურისძიება დაიწყო. 22 ოქტომბრიდან კაზაკებმა დაიწყეს ოზურგეთის გარშემო განლაგებული სოფლების დაწიოკება, ხოცავდნენ განურჩევლად ყველას, სახლებს წვავედნენ, ხალხი ტყეში გარბოდა, კაზაკებმა ერთ დღეში 90 სახლი დაწვეს. ამასთანავე ბათუმიდან გურიაში მრავალრიცხოვანი ჯარი დაიძრა, სამთო არტილერიით შეიარაღებული. ჯარის გურიაში შესვლის შეჩერებას ცდილობდნენ საქართველოს საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე ქუთაისის გუბერნატორი ვლადიმერ სტაროსელსკი, იგი ამ მიზნით პირადად ეახლა კიდეც მეფისნაცვალს თბილისში, მაგრამ, ყველაფერი ამაო იყო. მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა ჯარმა გენერალ ალიხანოვის მეთაურობით რკინიგზა დაიკავა და რკინიგზის ირგვლივ განლაგებული სოფლების განადგურებას შეუდგა, გურია მთლიანად ცეცხლის აღში გაეხვია. სტაროსელსკი კი აჯანყებული ქართველი გლეხობისადმი გამოსარჩლების გამო დაითხოვეს და რევოლუციის ჩახშობის შემდეგ საქართველოდანაც გაასახლეს.

გურულების ამბოხი ბუნება იმპერატორის კარზეც მივიდა. 1905 წლის ამბოხების ჩახშობის დროს მთლიანად გურია განიხილებოდა მეფის მოწინააღმდეგე მხარედ. იმდენად

გაჭირდა გურიის დამორჩილება, რომ იმპერატორს მისწერეს კიდევ მთელი გურიის ციმბირში გადასახლების წინადადებით. გენერალ შალვა მალაქაძის მოგონებით, მას, როდესაც იგი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო, უნახავს დოკუმენტი, სადაც გურიის გასახლების საკითხი სერიოზულად განიხილებოდა [11].

გურიაში შეჭრისა და გამარჯვების შემდეგ აღიხანოება მზრის უფროსად დანიშნა ვინმე ზაკუსოვი, პოლკოვნიკი. იმდროინდელი კანონის თანახმად გუბერნატორს შეეძლო უშუალოდ მეფისთვის მიემართა, გამოეტოვებინა მეფისნაცვალი, თუ ჩათვლიდა, რომ არ იყო სასურველი მისი შეტყობინება ფართოდ ყოფილიყო ცნობილი. ზაკუსოვის რაპორტში პირველ პუნქტად ეწერა, რომ Гурийцы как племя преступны, по природе, по своему рождению! მეორე მუხლი Как племя преступные и неисправимые со всеми семьями должны быть выселены в отдаленные губернии Сибири. გუბერნატორმა სლავოჩინსკომ არ აცნობა ამ მოხსენების შესახებ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს და მოხსენება უშუალოდ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გაუგზავნა. როგორც ჩანს, იმპერატორს არ მოსწონებია ეს წერილი და ასეთი რეზოლუცია დაადო „Дяде Иллариону от Ника“. ნიკოლოზ II ვორონცოვ-დაშკოვის სასახლეში იყო აღზრდილი და თავის მასწავლებლად მიაჩნდა. ნიკა იმიტომაც მიაწერა, რომ ამ მოხსენებას არც გაეცნობა Дяде Илларион -ის გარეშე. ვორონცოვ-დაშკოვმა, „დიადია ილარიონმაც“ სათანადო პასუხი გასცა ზაკუროვის რაპორტს.

„Фельдфебел Закусов находясь на посту уездного начальника называет племенем гурийцев, не знает даже, что гурийцы такие же грузины, как все остальные, может быть даже лучше, потому что они говорят общим литературным грузинским языком, а не на диалекте, хотя имеются диалекты сванский, мингрельский, тушинский”

დაბოლოს – „Фельдфебел должен быть отстранен за незнание, за неумение управлять“. მალაქაძის აზრით, ფელდფებელიც იმიტომ უწოდა ვორონცოვ-დაშკოვმა ზაკუსოვს, რომ ამით მისი გაუნათლებლობა და ჩამორჩენილობა აღნიშნა.

მაგრამ, დრო შეიცვალა და მეფის სუსტი, გაუბედავი ხელისუფლების ნაცვლად სულ მალე საქართველოშიც ბოლშევიკური ტირანია დამყარდა. ხალხის სახელით მოსულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ პირველ რიგში სწორედ ხალხის

დამონება დაიწყო. 1924 წელს საქართველოში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, თუმცა კი წინასწარ განწირულმა მარცხისთვის - „ბოლშევიკები ხომ სულ სხვა მასალისგან არიან აგებულნი“.

1924 წლის აჯანყებაც, მხოლოდ გურიაში განხორციელდა მასშტაბურად, ძირითადად ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში. საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ცნობილი იყო, რომ სოციალ-დემოკრატები (რომლებსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია „მენშევიკებს“ უწოდებდა) და სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. ეს ინფორმაცია მათ ჯერ კიდევ 1924 წლის დასაწყისში ჰქონდათ. ივლის-აგვისტოში დააპატიმრეს კიდევ საზღვარგარეთიდან საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსული აჯანყების თავკაცები. მათ განკარგულებაში იყო აჯანყებისათვის მზადების დაწვრილებითი ცნობები. მიუხედავად ამისა აჯანყება მაინც დაიწყო, თუმცა არაერთდროულად და არა ყველგან. არ გამართლდა იმედი, რომ აჯანყებაში ჩაებმებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიელები და აზერბაიჯანელები. საქართველოშიც მხოლოდ რამდენიმე რაიონში ჰქონდა ადგილი შეიარაღებულ გამოსვლებს. 28 აგვისტოს დილით ჭიათურა დაიკავეს აჯანყებულებმა, რომლებიც უკვე მეორე დღეს განდევნეს ქალაქიდან. 29 აგვისტოს აჯანყებულთა შეტევები მოიგერიეს ზუგდიდისა და სენაკის რაიონებში. შეიარაღებული გამოსვლები გაგრძელდა საჩხერეში 31 აგვისტოს, შემდეგ ვანის რაიონის რამდენიმე სოფელში, სვირის, ქუთაისის, ბაღდადის ზოგიერთ თემში, გორის რაიონში, რომლებიც სასტიკად იქნა ჩახშობილი ორ-სამ დღეში.

განსაკუთრებული მასშტაბი აჯანყებამ გურიაში მიიღო. აჯანყების მეთაურის, გენერალ ყარალაშვილის დაპატიმრებამაც არ შეანელა საბრძოლო განწყობილება. ფიცხი და ბრძანებებისადმი ძნელად ყურისმიმდები გურული გლეხობა, რომელიც ამის გამო, ერთი შეხედვით, თითქოს უდისციპლინოა, საოცარი ორგანიზებულობით დაირაზმა და თავდაუზოგავად ეკვეთა მტერს. როდესაც მიზანი გასაგები და მისაღებია, გურულები ზედმიწევნით ორგანიზებულნი და განკარგულებათა საუკეთესო შემსრულებელნი არიან, არც ჭირდებათ ზედმეტი ბრძანება, თვითონვე უკეთ იციან როგორ იმოქმედონ სწრაფად შეცვლილ პირობებში. მიზანი უზენაესი იყო – სამშობლოსა თავისუფლება, თავისუფლებისთვის კი გურული თავს დაუფიქრებლად გასწირავს. აჯანყებულ რაზმებს

მეთაურობდნენ: მათითაშვილი, მუხაშავერია, ჭანუყვაძე. იბრძოდა ყველა – დიდი და პატარა, კაცი და ქალი. აჯანყებულთა ხელში იყო ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო. 31 აგვისტოს აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ოზურგეთზე, რომელიც საგანგებოდ გამაგრება უკვე მოესწროთ ოკუპანტებს. ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსწრებულმა წითელმა რაზმებმა უკუაქციეს აჯანყებულთა იერიშები. 2 სექტემბერს აჯანყებულებმა უკან დაიხიეს და ტყვებსა და მთებში გაიხიზნენ.

აჯანყებულებს ამარცხებდა საოკუპაციო ხელისუფლების შეიარაღებული ძალა – რეგულარული რუსული ჯარი. ადგილობრივი ქართველი კომუნისტებისგან ამბოხებულებს სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ისინი, როგორც წესი უბრძოლველად ყრიდნენ იარაღს. რამდენიმე დღე მიმდინარეობდა ომი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აჯანყება პრაქტიკულად ჩახშობილი იყო, სასტიკი რეპრესიების ქაში დამდგარიყო.

სრულად დაუჯერებელია, მაგრამ 29 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, 5 დღის განმავლობაში გურიაში აჯანყებულები წარმატებით უძკლავდებოდნენ მძიმე ტექნიკით შეიარაღებულ რუსის ჯარის უზარმაზარ ძალას. როდესაც აჯანყების საერთო მარცხი აშკარა გახდა, ხალხი გასაოცარი ორგანიზებულობით გაიხიზნა სურებისკენ. რამდენიმე დღის განმავლობაში გურიის დიდი ნაწილი თავისუფალი რესპუბლიკის წესებით ცხოვრობდა, სოფლებში ტარდებოდა თავისუფალი მიტინგები. ნათელი გახდა, რომ პრაქტიკულად მთელი გურია, გარდა კომუნისტებისა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებს დაპატიმრებული ჰყავდათ 1800-მდე კომუნისტი, არავინ დაუხვრეტიათ, რამდენიმე ოდიოზური ლიკვიდატორის გარდა, თუმცა ხალხისგან გაისმოდა მოთხოვნა მათი ხელმძღვანელების დახვრეტის შესახებ.

გურიაში აჯანყების ასეთი ფართო მასშტაბის მიზეზი ის „უკმარობის ნიაღვარი“ იყო, რაც განსაკუთრებით მწვავედ ითხოვს პიროვნების თავისუფლებას.

XXI საუკუნეში პიროვნების თავისუფლება მეტნაკლებად უზრუნველყოფილია. დრო გვაჩვენებს როგორ წარიმართება გურული ხასიათი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, რამდენად მოიხმარენ გურულები თავის ბუნებრივ ნიჭიერებას საკუთარი თავისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ლიტერატურა:

References

1. vaxuSti, aRwera samefosa saqarTvelosa, Tbilisi, 1941
2. „da ganrixna guliswyromiT ufali israelsa zeda da **aguriobna** (anu axetiala) igini udabnosa zeda ormeoc wel“ (ricxvTa, 32,13). „rameTu Suri sixeneSisa daabnelebs keTilisa da **guriobaman** gulisTqumisaman cvalos goneba umankoTa (sibrZne solomonisi, 4,12).
3. don qristoforo de kasteli, cnobebi da albomi saqarTvelos Sesaxeb. Tbilisi, 1976 w
4. gr.robaqiZe “gurია da socializmi”, 1917 w.
5. k.gvaramaZe. krebuli „gurია“, 1996 w
6. e.garayaniZe “guruli musikaluri dialeqtis Sesaxeb”. krebuli „gurია“, 1996 w.
7. krebuli „gurია“, 1996 w.
8. ak. wereTeli „Cemi bavSvoba~, „gamzrdeli~, leo qiaCeli „haki aZba~ da sxv.
9. Sh. Gortsev. Kak gruzinskie krestiane boryutssia za svobodu. Knigoizdatelstvo “Molodaia Rossia”. Populiarnaia biblioteka, № 4, Moskva, 1906
10. i. zurabiSvili, warsulis anarekli. ilia WavWavaZe, saubileo krebuli, 1939 w. g. lasxiSvili, memuarebi, 1934 w.
11. qarTvelebi germanuli droSis qveS meore msolfio omSi. viqtor rcxilaZis redaqqiT, 1994.

Giorgi Bagaturia

Feature Story about Gurija

Summary

Georgia – an amazing place on the globe, all its corners the unique multfigurativeness create fantastic harmony. One of such fantastic regions, present Eden, Gurija where lives the courageous and melodious people.

For contemporaries the phenomenon of Gurija is not clear. How happens, that this small corner is so abounded with talent? The Gurians by the nature is capable to penetrate into sacrament of the phenomena and subjects, to distinguish falseness. Akaky Tsereteli noticed that anywhere in the world not to find so live and mobile people, as Gurians. And Jacob Gogebashvili noticed boldness and erudition of Gurians, Tedo Sahokija specified in their beauty. According to one of legends of Gurija - this is the place of angels («Gurii, Xurii») which have decided to remain in this place.

According to Niko Mar – Gurija are meant by "the son of the sun». And here according to Vakhushti Bagrationi, Gurija - «dwelling of unruly» people which does not submit to authoritative board.

Gurians are allocated with the erudition. As medieval travelers in Gurija long since mark there was a set of hand-written books, basically church; the set of unique manuscripts was stored in churches and monasteries. Churches and monasteries besides were the educational centres; in the end of a XIX century in Gurija there was a set of libraries, it is more than in all Georgia, and in each village - schools.

Gurians are well-known for unique sings, the analogue to which is not present all over the world.

Gurians perfectly owned the weapon and were virtuosos in riding; the art horsemen - Gurians in 19 century have literally subdued Europe and USA. Gurians are famous for unselfishness, boldness and the aggravated self-respect that was a basis of their rebelliousness and mass insubordination of the power - simple peasants for the slightest insult revenged noblemen and officials, escaped in woods and struggled against the power. Their people named not robbers, and a specific word «pirali» (hidden).

Fidelity to an oath and fighting courage of Gurians which they at all do not advertise is especially marked. As an example the modest life of the first national hero of independent Georgia (1918) can serve V.Goguadze which heroism is somehow forgotten.

Rebelliousness, the pride, the aggravated sense of justice - all these qualities of Gurians have led to that Gurija has appeared the most ready to reception of social democratic ideas, and Gurians have entirely joined in revolutionary struggle against the Russian empire, a lot of Gurians were outstanding figures of social democratic movement ("Mensheviks"), and after an establishment of the Soviet power Gurians most actively participated in anti-Soviet revolt of 1924.

Keywords. “Sun’s Child”; “Abode of Iindefatigables”; “Gurioba”; “Stream of Vital Energy”; Library; Gurian Sings; Horsemen; Social Injustice; Pride; “Pirali”; Socialism; “Manifest of Bakhvi”; “Revolt in Guria”; The Battle of Nasakirali; “Menshevik”; The Mutiny of 1924.

Reviver : Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Багатурия Георгий Шотаевич
Очерки о Гурии**

Резюме

Грузия – изумительное место на земном шаре, все ее уголки своей неповторимой многообразностью создают сказочную гармонию. Одним из таких сказочных уголков, настоящим Эдемом, является Гурия, которая населена смелым и певучим народом.

Для современников непонятен феномен Гурии. Как случилось, что этот маленький уголок так изобилует талантом? Гуриец по природе способен вникнуть в таинство явлений и предметов, распознать фальшь. Акакий Церетели отмечал, что нигде в мире не найти столь живых и подвижных людей, как гурийцы. А Яков Гогебашвили замечал смелость и образованность гурийцев, Тедо Сахокия же указывал на их красоту. Согласно одной из легенд Гурия -это жилище ангелов («Гурии, Хурии»), которые решили остаться в этом месте. По мнению Нико Марра – Гурия означает «сын солнца». А вот согласно Вахушти Багратиони, Гурия -«жилище неугомонных», народа, который не подчиняется авторитарному правлению.

Гурийцы выделяются своей образованностью. Как отмечают средневековые путешественники в Гурии издавна было множество рукописных книг, в основном церковных; в церквях и монастырях хранилось множество уникальных рукописей. Церкви и монастыри к тому же были центрами образования; в конце XIX века в Гурии было множество библиотек, больше чем во всей Грузии, а в каждой деревне - школы.

Гурийцы знамениты уникальным пением, аналога которому нет во всем мире.

Гурийцы прекрасно владели оружием и были виртуозами в верховой езде; своим искусством всадники- Гурийцы в 19 веке буквально покорили Европу и Америку. Гурийцы славятся бескорыстием, смелостью и обостренным чувством собственного достоинства, что явилось основой их непокорности и массового неподчинения власти - простые крестьяне за малейшую обиду мстили дворянам и чиновникам, убегали в леса и боролись против власти. Народ их называл не разбойниками, а специфическим словом «пирали» (скрытый - secret).

Особенно отмечается верность клятве и боевая отвага гурийцев, которую они сами совершенно не афишируют. Примером может

служить скромная жизнь первого национального героя независимой Грузии (1918 г.) В.Гогуадзе, героизм которого как-то позабыт.

Непокорность, гордость, обостренное чувство справедливости - все эти качества гурийцев привели к тому, что Гурия оказалась наиболее готовой к приему социал-демократических идей, и гурийцы всецело включились в революционную борьбу против российской империи, множество гурийцев стали выдающимися деятелями социал-демократического движения («меньшевики»), а после установления советской власти гурийцы наиболее активно участвовали в антисоветском восстании 1924 г.

Ключевые слова: «Сын солнца»; «Жилище неугомонных»; «Гуриоба»; «Поток неудовлетворенности»; Библиотека; Гурийское песнопение; Всадники; Социальная несправедливость; Чувство гордости; «Пирали»; Социализм; «Бахвийский манифест»; «Бунт в Гурии»; «Насакиральская битва»; «Меньшевики»; Воостание 1924 г.

Рецензент: профессор Кочорадзе Отар Георгиевич, Грузинский технический университет.

თენგიზ ბრიბოლია
რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გეოპოლიტიკური
ასპექტები

რუსეთი და თურქეთი რეგიონალურ გეოპოლიტიკურ თამაშებში XVI საუკუნიდან არიან ჩართულები. მათ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ხანგრძლივი დროის მანძილზე რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს შორის ბრძოლას აწარმოებდნენ რათა გაბატონებული ყოფილიყვნენ ბალკანეთში, კავკასიაში, შავი ზღვისპირეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ და თურქეთის რესპუბლიკის სათავეში ჩამდგარმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა რუსეთთან მჭიდრო, თითქმის სამოკავშირეო ურთიერთობა დაამყარა. საბჭოთა რუსეთი 1921 წლის ქემალისტურ თურქეთს დაუმეგობრდა. საბჭოთა რუსეთმა დახმარება აღმოუჩინა თურქეთს დასავლეთის სახელმწიფოებთან კონფლიქტში, თურქეთი რუსეთთან გარკვეულ ტერიტორიულ დამოებაზე წავიდა. თურქეთის სამხედრო პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში განიხილებოდა ანტიიმპერიალისტური მებრძოლი ძალების „მოკავშირედ“, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობის გათვლები არ გამართლდა, ქემალისტურმა თურქეთმა კურსი დასავლური ღირებულებებისკენ აიღო. თურქეთმა მიაღწია ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, საბჭოთა-თურქულმა ურთიერთობებმა გაუარესება დაიწყო. II მსოფლიო ომში თურქეთმა თავი აარიდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმას. მაგრამ 1941-1945 წლებში თურქეთის პოზიცია სსრ კავშირისადმი არ იყო კეთილმეზობლური, რადგან საბჭოთა კავშირმა II მსოფლიო ომის საწყის პერიოდში სცადა გეოპოლიტიკური უპირატესობის მოპოვება თურქეთის ხარჯზე, მაგრამ იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის ამბიციებზე. 1945 წლიდან დაიწყო თურქეთის დაახლოება ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ანტიკომუნისტური კოალიციის მხარეზე ომში ჩაბმის ფორმალურმა აქტმა თურქეთს მისცა შესაძლებლობა 1945 წლის სანფრანცისკოს კონფერენციაზე გაეროს ერთ-ერთი დამაარსებელი წევრის სტატუსი მიეღო. 1945 წელს გაეროს შექმნისთანავე ახლო აღმოსავლეთის შვიდ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ერთად თურქეთი გაეროს წევრი ქვეყანა გახდა. [1. 235]

მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ პირველ სამ წელიწადში, 1945-1948 წლებში თურქეთმა ამერიკისაგან დახმარების სახით მიიღო 81 მილიონი დოლარის მოცულობის დახმარება, ხოლო 1949 წლიდან 1952 წლის ჩათვლით „მარშალის გეგმის“ გათვალისწინებით მან 778 მილიონი დოლარის ეკონომიკური დახმარება მიიღო. აღნიშნული დახმარებიდან მას 500 მილიონი დოლარი სამხედრო დახმარების მიზნით მიეცა. 1945 წლიდან საბჭოთა სამხედრო სტრატეგია თურქეთის მიმართ შეტევითი პოლიტიკის ხასიათს ატარებდა.

მოდერნიზაციის ცენტრის ხელმძღვრელი პაქტის (1939 წლის 23 აგვისტო) საფუძველზე თურქეთს ჰქონდა იმის შიში, რომ სსრ კავშირის თავის მოკავშირეებთან ერთად ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე სახმელეთო და სამხედრო საზღვაო ბაზები არ შეექმნა. ანკარისათვის სსრ კავშირის ექსპანსიური პოლიტიკა შიშის მომგვრელი იყო. დასავლეთმა სსრ კავშირს არაორაზროვნად აგრძნობინა, რომ ისინი არ დაუშვებდნენ საბჭოთა ექსპანსიას თურქეთის ტერიტორიაზე.

1947 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა თურქეთ-ამერიკის შორის შეთანხმება სამხედრო თავდაცვის შესახებ. ამერიკის სამხედრო მისია ვალდებულებას იღებდა იმაზე, რომ ისინი კონტროლს განახორციელებდნენ თურქეთის სამხედრო პროგრამაზე.

ამერიკა-თურქეთის მიერ ხელმძღვრელმა სამხედრო შეთანხმებამ ამერიკელებს მისცა შესაძლება თურქეთის ტერიტორიაზე 26 სამხედრო ბაზა შეექმნა. 1952 წლის 16 თებერვალს თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა გახდა. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა სსრ კავშირსა და თურქეთს შორის. 1949 წელს თურქეთი ევროსაბჭოში გაწევრიანდა. 1952-1963 წლებში თურქეთის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღი ინახებოდა. 1955 წელს თურქეთმა დიდ ბრიტანეთთან, ირანთან, პაკისტანთან და ერაყთან ერთად დაარსა „ბალდაღის პაქტი“, რომელთაც დახმარებას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატები.

XX საუკუნის 60-იანი წლების თურქეთის ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი მკვეთრმა პროდასავლურმა ორიენტაციამ შეცვალა. ისტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ. [4. 421]

XX საუკუნის 90-იან წლებამდე შავი ზღვის აუზი აღმოჩნდა სსრ კავშირის „ჩაკეტილი არეალი“. შავი ზღვის სიახლოვეს ხმელთაშუა ზღვაში ნატოს ინტერესებს აშშ-ის მე-6 ფლოტები იცავდა. ნატოს სტრატეგიას რეგიონში წარმოადგენდა სსრ კავშირის ექსპანსიის შეჩერება ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ევროპის საზღვრებისკენ. ხმელთაშუაზღვისპირთში სსრ კავშირის ინტერესები მიმართული იყო ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთისკენ, გარდა ამისა სსრ კავშირს სურდა ნატოს სამხედრო ძალების განდევნა ახლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ ევროპის სანაპირო ზოლიდან ამ მიზნით ხმელთაშუა ზღვაში განლაგებული იყო სსრ კავშირის საზღვაო ძალების მე-5 ესკადრა. რეგიონი აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მილიტარიზებული ზონა იყო. [3. 55]

XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზეზი გახდა კვიპროსის მიმართ სსრ კავშირის პოზიციის დაფიქსირება. მოსკოვი კვიპროსის დამოუკიდებლობის მომხრედ გამოვიდა, რაც თურქეთის ინტერესებს შეესაბამებოდა. 1967 წელს სსრ კავშირსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად სსრ კავშირმა თურქეთის ტერიტორიაზე მიიღო მონაწილეობა მეტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი, ალუმინის ქარხანისა და სხვა მძიმე მრეწველობის საწარმოების მშენებლობაში.

1974 წელს კვიპროსზე კუნძულის ეთნიკური თურქული თემის დაცვის სასარგებლოდ თურქეთის არმიამ კუნძულის ჩრდილო ნაწილი დაიკავა, დაკავებული ტერიტორიის ფართობმა კუნძულის 36,2% შეადგინა. შექმნილმა სიტუაციამ ურთი-ერთობა არა მარტო საბერძნეთსა და თურქეთს შორის გაამწვავა არამედ, გააუარესა ურთიერთობა თურქეთსა და ამერიკას შორის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ. 31 დეკემბერი) ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის ისეთი სიტუაციაში აეწყო როცა მათ შორის საზღვარი მოი-შალა, რუსეთსა და თურქეთს შორის ბუფერი საქართველო დარჩა . საქართველოსათვის კი ბუფერის როლის შესრულება ძალიან მძიმე გახდა. მიუხედავად, ამისა თურქეთსა და რუსეთს შორის დარჩა ბევრი საერთო ეკონომიკური გეოპოლიტიკური ინტერესები, მრავალ საკითხში იყო ინტერესთა თანხვედრა.

XX ს. 90-იან წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოიშვა უთანხმოება, რომელიც გამოწვეული იყო

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე სატრანსპორტო და სანაოსნო გემების გასვლაზე რეგლამენტის დაწესებით. მორიგი უთანხმოება რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოიშვა კასპიური ნავთობსადენის ბაქო-თბილისი ჯეიჰანის თურქეთის ტერიტორიაზე გატარების გამო. რუსეთი კასპიური ნავთობის გატარებას ნავთობსადენით ნოვორსიბისკამდე ვარაუდობდა შემდეგ იგი მას ტანკერებით უნდა გაეტანა საზღვარგარეთ.

რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა უკანასკნელ პერიოდში, როგორც დაპირისპირებით ისე თანამშრომლობით ხასთდება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რუსეთი და თურქეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებას.

ეს გამოწვეულია, როგორც რეგიონში გავლენის გამდიდრების, ისე ეკონომიკური სარგებლობის მიღების მიზნით. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ბისეკის ფარგლებში, გაზრდილია ორმხრივი ვაჭრობა, რუსეთის ეკონომიკაში აქტიურია თურქული ინვესტიციები. თურქეთი რუსეთისაგან ენერჯო რესურსებს ღებულობს. ეკონომიკური ურთიერთობების მიუხედავად ორ ქვეყანას შორის მაინც არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. რუსეთს აშინებს თურქეთის როლისა და გავლენის გაზრდა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. რუსეთს არ უნდა, რომ მილსადენების თურქეთის ტერიტორიაზე გავლამ ქვეყანას რეგიონში ჰგემონის როლი განუმტკიცოს. 1987 წლიდან თურქეთი ევროკავშირის ასოცირებული წევრია და ცდილობს აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით რუსეთ-თურქეთის პოზიციები საკმაოდ განსხვავებულია. აღნიშნულ საკითხზე რუსეთი ყოველთვის საბერძნეთისა და კვიპროსის პოზიციებს თანაუგრნობდა. [5. 98]

XX ს. 90-იანი წლებიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ მას სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კვლავ აღედგინა თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, რაც იწვევდა თურქეთის გაღიზიანებას და იგი აღნიშნულ ფაქტს აღიქვამდა, როგორც თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოს. თურქეთი გამოდიოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების სომხეთსა და საქართველოში ბაზირებისა და განლაგების წინააღმდეგ. თურქეთისათვის მიუღებელი გახდა კვიპროსის დემილიტარიზაციის საკითხი, რუსეთი კი მხარს უჭერდა კუნძულის მილიტარიზაციას.

თურქეთი წინააღმდეგი იყო მთიან ყარაბაღში ცალმხრივად მხოლოდ რუსული სამ-შვიდობო ძალების განლაგებაზე.

რაც შეეხება საკითხს თურქეთის ტერიტორიაზე ქურთების და რუსეთის ტერიტორიაზე ჩეჩნურ სეპარატიზმს ორივე ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის მომხრედ გამოდის. ქურთების საკითხს რუსეთი თურქეთის შინაურ საქმედ მიიჩნევს, ხოლო თურქეთი ჩეჩნეთს რუსეთის განუყოფელ ორგანულ ნაწილად განიხილავს. ქურთისტანს მუშათა პარტიის ლიდერი აბდულა ოდჯალანი რუსეთს აფარებდა თავს, მან რუსეთში ვერ მიიღო თავშესაფარი და იძულებული იყო დაეტოვებინა რუსეთის ტერიტორია ამის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებმა იგი კენიაში დააპატიმრეს. ამავე დროს მრავალი ჩეჩენი იმალებოდა და მკურნალობდა თურქეთის ტერიტორიაზე. თურქეთის ტერიტორიაზე არსებობს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც თანაუგრძნობს და დახმარებას უწევს ჩეჩნეთის პატრიოტულ ძალებს.

თანამედროვე პერიოდში რუსეთ-თურქეთის ეკონომიური ურთიერთობა გაუმჯობესებას განიცდის, რუსეთის ვაჭრობის წილი თურქეთში გაზრდილია. დღეისათვის რუსეთი და თურქეთი ცდილობენ მოახდინონ მსხვილი რუსული პროექტის რეალიზება, როგორცაა „ცისფერი ნაკადი“. 2007 წელს დადებული შეთანხმებისა და ხელ-შეკრულების საფუძველზე თურქეთმა რუსეთისაგან 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა შეისყიდოს. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში თურქეთ რუსეთის დაახლოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია. დღევანდელი მონაცემებით რუსეთი თურქეთის ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორია. პოლიტიკური ურთიერთობების დათბობა ორ სახელმწიფოს შორის სამხედრო სტრატეგიულ საკითხებშიც აისახა. რუსეთისა და თურქეთის ინტერესების თანხვედრა 2006 წელს ყველასათვის თვალში საცემი გახდა. შავი ზღვის აკვატორიასთან დაკავშირებით, როცა რუსეთმა ნატოს შავი ზღვის აკვატორიაში ანტიტერორისტული საზღვაო ოპერაციის ჩატარების უფლება არ მისცა. რუსეთ-თურქეთის დაახლოების ფაქტად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთმა ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ გაგზავნილ ორ სამხედრო ჰუმანიტარულ გემს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში შესვლის უფლება არ მისცა იმ მოტივით, რომ ამერიკელი გემების მოცულობა 1936 წლის მონტროს

კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს არ შეესაბამებოდა. აშშ-მა აღნიშნული გემები მცირე ზომის გემებით ჩაანაცვლა.

ამრიგად რუსეთი და თურქეთი ორივენი ცდილობენ კავკასიაში გავლენის სფეროები გადაანაწილონ, მაგრამ დასავლეთი იმედია თურქეთსა და რუსეთს მარტო არ დატოვებენ. რუსეთისა და თურქეთის გაბატონება კავკასიაში დასავლეთის ინტერესებში არ შედის.

ლიტერატურა:

References

1. r. jafariZe, axlo aRmosavleTi sivrce, xalxi da politika. Tb. .2003.
2. Злобин Н. Второй новый Мировой порядок М.2009
3. Политическая География М. 2001
4. Ланцова С. Ачкасова В. Мировая политика и междуно.
5. Современие международые отношения- учебник под редакций А.В Топкинова М. 1999

Tengiz Grigolia

Russia Turkish geopolitical relations

Summary

Russia Turkish relations counts many years. During many years the wars have distributed between Russian and Turkish powers to take in hands the powers over Caucasus, Black Sea and Mediterranean Seas. Foam 1945 Turkey begins to establish close relationships with USA. Between 1945-1948 Turkey received 8 million dollars help from the USA.

After abolishing Soviet Union, the relations hip between Turkey and Russia become calm. Turkey is NATO member state and Russia should consider it as a friendly country. Movement of economical relations between Russia and Turkey notably established in 1995.

Russia's and Turkey's governance over Caucasus doesn't support sup interests in this region.

Keywords: Difference; Relation; Turkey; Russia; Role; Agremment; Influence; Building; Politic; Respublic .

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

Григолиа Тенгиз Бондоевич
Геополитические аспекты Российско-Турецких отношений
Резюме

Внешняя политика России и международные отношения на ближнем и среднем востоке имеют многовековую историюю. Длительное время Росстят Турцтя вели между совои борбу на Балканах, Кавказе в чорноморском бассейнах.

После II мировой войны началис сближение Турции Соединенными штатами Америки. 1945-1948гг. Турция получила американскую помош в объеме 81 млн. долл. 1952г. Турция стало членом НАТО, это ухудшило Советско-Турецкие отношения.

В начале 1960-х гг. начало улучшения Советско-Турецких отношений, было подписано «Соглашение о поставках оборудования, материалов и оказания услуг Советским Союзом для строительства некоторых промышленных предприятий и об условиях их оплаты».

К середине 1990-х гг. между Россией и Турцией возникли разногласие. Политика Росии было направлена на своего влянтя в бывших советских республиках. Турция вступила против размещения Российских вооруженных сил в Армении и Грузии.

Экономические отношение между России и Турции течение 1990-2008-х гг. продолжается улучшат.

Сближение России и Турции несомнено представляет из себя одну из весьма значимых и интересных реалий на современной международной арене.

Ключевые слова: Разногласие; Отношение; Турция; Россия; Роль; Влияние; Строительство; Республика .

Рецензент – профессор Догонадзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

რუსუდან დაშუშვილი
ევროპის სახელმწიფოები და ძართული ემიგრაცია
XX საუკუნის 20-30-იან წლებში

1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ევროპაში ქართული ემიგრაციის პირველ ტალღის (3.00-4.000) ლტოლვილთა მიღებასა და ელემენტარული პირობების შექმნაზე იზრუნეს: საქართველოს დამოუკიდებლობის დროს შექმნილმა ქართულმა წარმომადგენლობებმა, საკონსულოებმა და თვით ევროპის ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თუმცა კი ამ ქვეყნების დამოკიდებულება ქართული ემიგრაციისადმი 20-30-იან წლებში არაერთგვაროვანი და ცვალებადი იყო. ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში ყველაზე გამოკვეთილი იყო საფრანგეთის, ინგლისისა და შვეიცარიის პოზიცია.

საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან ელჩს ევროპაში, აკაკი ჩხენკელს, რწმუნების სიგელები მიეცა პარიზის, ლონდონისა და რომისთვის. ელჩი პარიზში 1921 წლის 13 თებერვალს ჩავიდა, როცა რუსეთის თავდასხმა უკვე დაწყებული იყო. რწმუნებები საფრანგეთის პრეზიდენტს 25 თებერვალს წარუდგინა მაშინ, როცა საქართველოს ჯარმა და მთავრობამ თბილისი დატოვა. პრეზიდენტმა მილიერანმა საქართველოს საელჩოს წევრები დიდი პატივით მიიღო და ამგვარად გამოხატა თავისი პროტესტი ოკუპანტთა მიმართ (1). ოფიციალური მიღების შემდეგ, ელჩმა რწმუნების სიგელი ჩააბარა და მეორე დღეს ლონდონს გაემგზავრა.

ინგლისმა საქართველო 1921 წლის 27 იანვარს ცნო, მაგრამ ელჩს გულგრილად შესვდნენ. ლიდი-ჯორჯის მთავრობას საბჭოთა რუსეთთან დაახლოება ჰქონდა დაწყებული, რაც 1921 წლის 16 მარტს სავაჭრო ხელშეკრულებით დამთავრდა. საქართველოს ელჩი მხოლოდ ამის შემდეგ, 17 მარტს მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა. რწმუნების სიგელის გადაცემა პრემიერ-მინისტრისათვის შეუძლებელი გახდა, რადგან საქართველოს მთავრობა უკვე ემიგრაციაში იყო. კერზონმა მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა და ელჩს დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ ლონდონის, გენუის, ჰააგის, ლოზანის კონფერენციებზე გამოჩნდა, რომ ინგლისი უპირატესობას „რუსულ პოლიტიკას“ ანიჭებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების გაუქმების შემდეგ საქართველო ჩრდილოეთის, რუსეთის დეპარტამენტს მიაწერეს. ხალი, ბონარ ლოუს

კაბინეტი ასეთ პრორუსულ ტენდენციებს არ ამჟღავნებდა და საქართველოს საელჩოს მდგომარეობა ლონდონში გაუმჯობესდა, მაგრამ ამით საქართველოს მიმართ ინგლისის პოზიცია არ შეცვლილა (2).

აპრილში რომში ჩასული ელჩი თბილად მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯიო სფორცამ და კერძო აუდიენციაზე – მეფე ვიქტორ-ემანუილ III. ჯიოლიტის კაბინეტის ფაქტას კაბინეტით შეცვლამ და ინგლისის გავლენამ საქართველოს მიმართ იტალიის სამთავრობო წრეების გაგულგრილება გამოიწვია. ინტერესი არც მუსოლინის კაბინეტს გამოუჩენია, თუმცა როგორც იტალიის, ასევე ინგლისის სამთავრობო თუ არასამთავრობო წრეებში საქართველოს ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდა, რაშიც განსაკუთრებული დეპლუმატი საელჩოს პირველ მდივნებს მიხეილ სუმბათაშვილსა და გიორგი მაჩაბელს მიუძღოდნენ (3).

აკრედიტაციის ყველა მიღებული წესის შესრულება მარტო საფრანგეთში მოხერხდა და ელჩი დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად ჩაირიცხა. მხოლოდ პარიზის საელჩო სარგებლობდა ყველა უფლებითა და უპირატესობით. ლონდონისა და რომის საელჩოები შეკვეცილი უფლებებით გაიხსნა. ოკუპაციის შემდეგ აკ. ჩხენკელი სრულუფლებიანი მინისტრი გახდა. როცა ელჩი ადგილზე არ იყო, საელჩოს გამგედ პირველი მდივნები ითვლებოდნენ.

შვეიცარიის მთავრობას საქართველო იურიდიულად არ უცვნიდა. თუმცა იქ საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავდა და პრესაც მხურვალედ უჭერდა მხარს. 1918 წელს ბერნში დაარსებული საქართველოს წარმომადგენლობა და ქართული პრესის ბიურო, რომელიც უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს საქართველოზე ინფორმაციას რეგულარულად აწვდიდა, 1920 წელს ქენევაში, ერთა ლიგის რეზიდენციაში გადაიტანეს. ლეგაციის წევრი ხ. შავიშვილი ერთა ლიგასთან საქართველოს მუდმივი, თუმცა არაოფიციალური წარმომადგენელი გახდა. მას ერთა ლიგის საბჭო, სამდივნო და ყრილობებზე ჩასული დელეგატები საქართველოს საკითხით უნდა დაეინტერესებინა (4).

ყველაზე მყარი მდგომარეობა საქართველოს მთავრობას საფრანგეთში გააჩნდა. პარიზის საელჩო სრული უფლებებით სარგებლობდა და ყველაზე მეტ თანაგრძნობასაც ქართველებსადმი საფრანგეთი იჩენდა. ოკუპაციის შემდეგ ბრიანმა ჟორდანის თავშესაფარი თვითონ შესთავაზა, თუმცა

კი ელჩის, აბელ შევალიეს თანხლებით პარიზში ჩასულ მთავრობის წევრებს საფრანგეთის ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა ლტოლვილთა დიდი ნაწილი მიიღო, მათ შრომით მოწყობაზეც იზრუნა და საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე. სსრ კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტს მხოლოდ 1932 წლის 29 ნოემბერს მოაწერა ხელი და ყველაზე გვიან, 1933 წლის აპრილში ცნო. საბედნიეროდ, საქართველოს მთავრობის ლეგაციისა და საელჩოს გაუქმებით საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური წრეების შეხედულება საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ შეცვლილა (5). საფრანგეთის მთავრობამ ქართველი ლტოლვილები ცალკე გამოყო, ლეგაციის ნაცვლად „ლტოლვილთა ოფისი“ შექმნა, შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში კი საელჩოები „ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა. „ოფისის“ დირექტორად დაინიშნა ლეგაციის პირველი მდივანი სოსიპატრე ასათიანი, მოადგილედ – ახალგაზრდა დიპლომატი ალექსი მდივანი. „ოფისმა“ მუშაობა გერმანული ოკუპაციის წლებშიც განაგრძო და არსებობის მანძილზე არა მარტო ქართველთა, არამედ საქართველოდან ლტოლვილ სხვა ერთა, განსაკუთრებით კი ებრაელთა დაცვისა და გადარჩენის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა.

ემიგრაციის პირველ წლებში საერთაშორისო პირობები არახელსაყრელი იყო; საქართველოს საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სირთულეებმა დაჩრდილა. საქართველოს ევროპაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა. მის უფლებრივ მდგომარეობას საერთაშორისო სამართლის არაერთმა სპეციალისტმა უძღვნა ნაშრომი: 1918 წელს გერმანელმა ფონ დერ ლისტმა (6), 1920 წელს – ბელგიელმა ოტფრიდ ნიპოლდმა (7), 1932 წელს – ფრანგმა ლუი ლე ფურმა (8), მაგრამ შექმნილი ვითარების გამო საჭირო იყო ახალ თანამგრძნობთა და მოკავშირეთა მოძიება. საქართველოს მთავრობა ხელისუფლების დაბრუნებასა და რუსეთისაგან ქვეყნის დახსნას ომში გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოთა დახმარებით ცდილობდა, ამიტომ ბოლშევიკთა ჯარის შემოსევაზე მემორანდუმი მათ ოკუპაციისთანავე დაუგზავნა. დიდ იმედს ამყარებდა მზარდ სოციალისტურ მოძრაობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით – II ინტერნაციონალსა და ერთა ლიგაზე.

ოკუპაციის პირველივე დღეებში საქართველოს დასაცავად გამოვიდნენ გამოჩენილი სოციალისტები: კარლ კაუცკი, რამზეი მაკლონაღდი, ევგენი გრენიე, კამილ ჰიუსმანსი, პაველ აქსელროდი და სხვები, ვროპის ქვეყნების სოციალისტურმა და მუშათა პარტიებმა კი პროტესტი გამოხატეს. ლტოლვილი მთავრობა და საპარლამენტო სოციალისტურ პარტიათა საზღვარგარეთული ბიუროების წევრები ხვდებოდნენ თანამოაზრეებს, მოხსენებით გამოდიოდნენ სოციალისტთა სხდომებზე, მონაწილეობდნენ II ინტერნაციონალის კონფერენციებსა და კონგრესებში. ყველგან იღებდნენ თანაგრძნობასა და საქართველოს მხარდამჭერ რეზოლუციებს. ქართულ და ევროპულ პრესაში საქართველოზე აქვეყნებდნენ წერილებს, ბეჭდავდნენ წიგნებს, ბროშურებს და ა.შ. (9)

ცნობილია, რომ საქართველოს მიღების საკითხი ერთა ლიგაში 1920 წელს დაისვა, მაგრამ უარყოფითად გადაწყდა. 1921 წელს ეს საკითხი ალბათ დადებითად გადაწყდებოდა, მაგრამ საქართველო უკვე ოკუპირებული იყო. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციასთან დიდი მუშაობა ჩატარდა. 1921-22 წლებში ერთა ლიგას საქართველოს ოკუპაციის შესახებ წერილითა და მემორანდუმით მიმართეს აკ. ჩხენკელმა, ე. გეგეჭკორმა, ზ. ავალიშვილმა. საქართველოს გამოესარჩლა ბელგიის დელეგატი დე ბრუკერი. 1922 წელს ერთა ლიგამ მის წარდგენილ რეზოლუციაზე იმსჯელა და 50 სახელმწიფოს სახელით დაადგინა, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ ქვეყნისათვის ნორმალურ მდგომარეობის დასაბრუნებლად. 1923 წელს ჟენევაში არსებულმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ ერთა ლიგის მთავარ მდივანს მოწოდება გადასცა, რომელშიც საქართველოს უმძიმეს ყოფას აღწერდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მხეცური ანგარიშსწორების შესახებ ერთა ლიგის მე-15 სხდომაზე საფრანგეთის დელეგატმა ჟან პოლბონკურმა ბელგიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მიერ შეიმუშავებული პროექტი შეიტანა, რომელიც 1922 წლის რეზოლუციას იმეორებდა. კამათში გამოსულმა დელეგატებმა: ინგლისელმა მაკლონაღდმა და მურეიმ, იტალიელმა ბონინ-ლონგარმა, ბელგიელმა დე ბრუკერმა, ფრანგმა ბონემ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს. მეორე დღეს საქართველოს მთავრობის დელეგაციამ ერთა ლიგას ნოტა გადასცა (10). 1925 წელს ქართველი ერის სახელით, 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, ერთა ლიგას ა. ჩხენკელმა და ხ. შავიშვილმა მიმართეს.

საქართველოს დასაცავად გამოვიდნენ ბონკური, მაკდონალდი, მური, დე ბრიუკერი და რეზოლუცია მიიღეს, რომლითაც 1922 წლის რეზოლუცია დაადასტურეს (11).

1934 წელს ერთა ლიგაში რუსეთის მიღების საკითხს განსაკუთრებული აღშფოთებით შვეიცარიისა და ინგლისის გაზეთები შეხვდნენ. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ქართული გააქტიურება და საერთაშორისო ორგანიზაციების ამუშავება. ისეთი სახელმწიფოს აღმოჩენა, რომლის დელეგატი ერთა ლიგას საქართველოსათვის მიცემული დაპირებების შეახსენებდა და მისი დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებდა. ამ მიზნით ქართულმა ორგანიზაციებმა შექმნეს კომისია, რომელმაც ერთა ლიგის დელეგატებში დასარიგებლად მოხსენებები მოამზადა: „საქართველო დამოუკიდებლობის ხანაში“, „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1921 წლიდან დღემდე“ და „საქართველოს საკითხი ერთა ლიგის წინაშე“, „საქართველოს უფლებანი“. ამუშავდა პრესა, საქართველოსადმი თანაგრძნობას ყველა ქვეყანა გამოთქვამდა. ყველაზე მეტად აქტიურობდნენ შვეიცარიის (რომელმაც არ ცნო სსრ კავშირი) ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით კი „Journal de Geneve“ და მისი დირექტორი ჟან მარტენი (12).

რუსეთის მიღების გამო 1934 წლის 6 სექტემბერს მშვიდობის მე-20 კონგრესმა ლოკარნოდან ერთა ლიგას მიმართვა გაუგზავნა, საქართველოს საკითხი და რეზოლუცია შეახსენა. გაგზავნეს გენერალური მდივნის არმან კარმანიოლასა და საქართველოს დამხმარე საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელის ალბერ მალშის ადრესიც. ხ. შავიშვილმა ერთა ლიგის მე-15 სხდომის თავმჯდომარე სანდერსს მიართვა ადრესი, საქართველოს მთავრობის საპროტესტო განცხადება. მას აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, თურქესტანისა და უკრაინის წარმომადგენელთა ხელმოწერილი პროტესტიც გადაეცა (13). სესიაზე კი საქართველოს შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე მოტა გამოესარჩლა. შვეიცარიას მხარი დაუჭირეს პორტუგალიამ და პოლანდიამ. გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ ერთა ლიგის მე-15 ყრილობის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილზე ხელმომწერთა სიაც. მიუხედავად ამისა, მე-16 სხდომაზე საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგის წევრად მიიღეს. ამით „საქართველოს საკითხი არ მოხსნილა საერთაშორისო ასპარეზიდან – მხოლოდ გადაიდო“;–

მოტას ამ სიტყვებს ფეხზე წამომდგარი დელეგატები ტაშით შეხედნენ (14).

ერთა ლიგაში საქართველოს რომ მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, ეს შემდგომ წლებშიც გამოჩნდა. მაგალითად, 1936 წელს ერთა ლიგის მე-17 სხდომას კავკასიის ერებმა მემორანდუმი წარუდგინეს. მეორე მიმართვას ხელს აწერდნენ კავკასიელები, თურქესტანელები, უკრაინელები (15). 1937 წელს ერთა ლიგის მე-18 ყრილობის თავმჯდომარე ალა ხანს მემორანდუმი ახერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, თურქმენეთის, უკრაინის წარმომადგენლებმა მიართვეს და ა.შ. (16).

საქართველოს მთავრობა ცდილობდა ყველა იმ საერთაშორისო კონგრესსა და კონფერენციაში მიეღო მონაწილეობა, სადაც I მსოფლიო ომის შემდგომ პრობლემები, საერთოევროპული საკითხები წყდებოდა და საქართველოზე საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეიძლებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთმა საქართველოს დიდი მფარველობა გაუწია საერთაშორისო ასპარეზზე – 1921 წლის იანვარში ლონდონის კონფერენციაზე საქართველოს შუამდგომლობდა ინგლისთან და ოსმალეთთან. 1922 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ კანის კონფერენციას ნოტიო მიმართა, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა და ერის სამართლიანი უფლებების აღდგენა მოითხოვა. თებერვალში საქართველოს საკითხი ვაშინგტონის კონფერენციაზეც დაისვა. აპრილ-მაისში ჩატარებულ გენუის კონფერენციაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა რუსეთის დაშვება მოითხოვა, ბრიანმა საქართველოს საკითხი დააყენა. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა პუანკარემ კანის დადგენილებას გვერდი ვერ აუარა და საქართველოს მთავრობა გენუაში არ მიიწვია, თუმცა კი ორჯერ განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოს სახელით ლაპარაკის უფლება არა აქვს. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის წერილისა და სვანეთის აჯანყებაზე დოკუმენტური მასალების წარდგენამ გენუაში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ საქართველო კონფერენციაზე არ მიიწვიეს – აზიაში მდებარეობსო, რუსეთმა კი თავის დელეგაციაში ბუდუ მდივნის ჩართვა მოახერხა. საფრანგეთის დეპუტატმა უტრემი უარყო რუსეთის სურვილი – ყოფილიყო მის მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელი. პუანკარემ განაცხადა, რომ თუ „დე იურედ“ ცნობილი საქართველო კონფერენციაზე დაშვებული არაა, ვერც სხვებს დართავდა ნებას. პუანკარემ ინგლისისა და იტალიის

მთავრობებს მიმართა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობა მიეწვიათ. კერზონსა და შარს უარი არ უთქვამთ, მაგრამ საქართველოს ფაქტობრივი მთავრობის მოწვევაც მოითხოვეს. ასე რომ, ეროვნული მთავრობა 1923 წელს არც ლოზანის კონფერენციაზე მიიწვიეს, თუმცა სრუტეების საკითხის განხილვას საქართველო უნდა დასწრებოდა, როგორც შავიზღვისპირა ქვეყანა. რუსეთის დელეგაციამ განაახლა ცდა – საქართველო და უკრაინა „პროტოკოლიდან მოეხსნა“. რაკი კონფერენციაზე ეროვნული მთავრობა არ ესწრებოდა, ჩინური ბუღუ მდივანი ჩაიყვანა და შეეცადა საქართველოს სახელით ელაპარაკათ, მაგრამ მათ ამის უფლება არ მისცეს. მართალია, კონვენციაში საქართველო და უკრაინა ნახსენები არ იყო, მაგრამ ეს დებულება ბოლო დღეს ხელმოწერილ პროექტში შეიტანეს და „ქართული აზრად“ უწოდეს. კონვენცია საქართველოს ადგილს იმ დრომდე უტოვებდა, სანამ თავისუფლად მოქმედებას შეძლებდა (17). როცა 1936 წელს მონტროს კონვენციამ 1923 წლის სრუტეების შესახებ ლოზანის კონვენცია შეცვალა და სრუტეების საკონტროლო კომიტეტში საქართველო-უკრაინა აღარ იყვნენ, აკ. ჩხენკელმა კონფერენციის თავმჯდომარეს, სტანლეი ბროსს 4 პუნქტად ჩამოყალიბებული პროტესტი გადასცა (18).

საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია. ასეთი იყო „ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება“, რომელიც აერთიანებდა მის წევრ სახელმწიფოებში შექმნილ ასოციაციებს. ორგანიზაციის თავმჯდომარეს ერთა ლიგის სხდომებზე დასწრებისა და სიტყვის წარმოთქმის უფლება ჰქონდა. რაკი საქართველო ერთა ლიგის წევრად არ მიიღეს, გადაწყდა მისი პარალელური ორგანიზაციის წევრი მაინც გამხდარიყო. 1919 წლის ბოლოს თბილისში ჩატარებულ კრებაზე დაარსდა „ქართული საზოგადოება ერთა ლიგისათვის“. აირჩიეს გამგეობა: თავმჯდომარედ – ალექსანდრე ლომთათიძე, მოადგილედ – ვახტანგ ღამბაშიძე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა საზღვარგარეთ აღმოჩნდა. მათ პარიზში განაგრძეს მუშაობა. ასოციაციათა გაერთიანების გენერალური საბჭოს წევრი გახდა ხარიტონ შავიშვილი. 1921-33 წლებში საერთაშორისო ლიგის კონგრესებმა და ყრილობებმა საქართველოს მხარდამჭერი არაერთი რეზოლუცია მიიღო.

ქართულმა საზოგადოებამ მუშაობა კი მას შემდეგ გააძლიერა, რაც სსრკ ერთა ლიგის წევრი გახდა, მის დამხმარე ორგანიზაციაშიც სცადა შეღწევა და არასასურველი წევრების – საქართველოს, უკრაინის, რუსეთის ემიგრანტთა მოშორება. 1936 წელს გლაზგოს კონგრესზე მიიღებული ახალი სტატუტით – ერთა ლიგის წევრი ვინც არ იყო, მის დამხმარე საზოგადოებასაც ავტომატურად ტოვებდა. ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ, 1938 წელს, ლონდონში, კრებაზე, წევრმა ასოციაციებმა საქართველოს მიმართ თანადგომა რეზოლუციით გამოხატეს, იმავე წელს კოპენჰაგენში ჩატარებულ ასოციაციათა წლიური ყრილობაზე საქართველო-უკრაინის ასოციაციათა ძველ, სრულ უფლებებში აღდგენას მხარი ბევრმა დაუჭირა და ასეც მოხდებოდა 1939 წელს ნიუ-იორკში დაგეგმილ ყრილობაზე II მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო (19).

ოკუპაციის შემდეგ საქართველომ „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ მხარდაჭერაც მოიპოვა – 1922 წელს ნ. ჟორდანიამ ლიგას არსებული ვითარება შეატყობინა. 1924 წელს ლიგის მდივნის, ალისა მენარ-დორანისა და ვიცე-პრეზიდენტ ალფონს ოლარის მხარდაჭერით, კ. გვარჯალაძის თავმჯდომარეობით „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული სექცია“ შეიქმნა (20). 13 წლის განმავლობაში სექციის მუშაობის წყალობით საერთაშორისო ლიგამ საქართველოს საკითხზე რეზოლუცია 3-ჯერ მიიღო.

„მშვიდობის საერთაშორისო ბიურო“ ბელგიელი სენატორის ლა ფონტენის თავმჯდომარეობით, გარს იკრებდა პაციფისტურ საზოგადოებებს. 1926 წლიდან ის საქართველოს დამცველი გახდა. იმავე წელს პარიზში შექმნილი ქართული სექცია „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ“ საერთაშორისო ბიუროს საქმიანობაში ჩაერთო (21), რომელმაც 57 სახელმწიფოს მონაწილეობით 1929-39 წლებში ყოველწლიური განიარაღების კონგრესები ჩაატარა. კონგრესებზე ქართველები საქართველოს საკითხს აყენებდნენ, კითხულობდნენ მოხსენებებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მის ბრძოლაზე, იღებდნენ მარდაჭერას და რეზოლუციებს ერთა ლიგაში გზავნიდნენ.

ამ 3 ქართული სექციის გარდა მრავლად იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს დახმარებას უწევდნენ. მაგალითად, „წითელი ჯვარი“ გუსტავ ადორის, „შრომის საერთაშორისო ბიურო“ ალბერტ ტომასის, „რუსეთის ემიგრანტთა დამხმარე“, ე.წ. „ნანსენის კომიტეტი“

ლულონის, „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი“ კომისარ ჯონსონის ხელმძღვანელობით და ა.შ. ყველა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა ქართულ ემიგრაციას მხარში უანგაროდ ედგნენ და მისი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდნენ „საქართველოს დამხმარე“ და „მეგობართა“ კომიტეტები.

„საქართველოს დამხმარე კომიტეტი“ ყველაზე ადრე, 1921 წელს, ოკუპაციისთანავე, ვარლამ ჩერქეზიშვილის ძალისხმევითა და სერ ს.ე. მორისის თავმჯდომარეობით შეიქმნა ინგლისში (22). კომიტეტის წევრები: სილვია ლინდი, ფილიპ სნოუდენი, ეთელ სნოუდენი, რამზეი მაკდონალდი, ნ. დრაიპორსტი, ს. ბოლსი, ე. დიუჰამი, ვან კობდენ-ენვინი და სხვები საქართველოს აქტიურად უჭერდნენ მხარს ერთა ლიგის სხდომებზე, სოციალისტური ინტერნაციონალის შეკრებებზე, საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე.

1924 წელს ჟენევაში ხარიტონ შავიშვილისა და ჟან მარტენის ინიციატივით დაარსებული „საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი“ პრეზიდენტად „Journale de Geneve“-ს რედაქტორი ჟან მარტენი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად – ალბერ მალში (23). 1930 წელს 40-მდე ახალი წევრი მიიღეს, რაც საქართველოსა და კომიტეტისადმი სიმპათიის ზრდის მაჩვენებელი იყო. ჟ. მარტენი საპატიო პრეზიდენტად დატოვეს. ახალ პრეზიდენტად ჟენევის კანტონის განათლების მინისტრი ალბერ მალში აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად – პროფესორები ჟორჟ ვერნერი და ედგარ მილო (24). კომიტეტმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს საკითხის გახმაურებაში – იწვევდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ყოველწლიურად აღნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს, იწვევდა მრავალრიცხოვანი საზოგადოებას, სიტყვით გამოდიოდნენ ცნობილი მღვაწეები. სტუმრებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართული სიმღერები და ცეკვები.

შვეიცარიაში მეორე ორგანიზაციაც არსებობდა „ფრანგულ-აღმოსავლეთის კომიტეტის“ სექცია „კავკასიის, თურქმენეთისა და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტი“. საქართველოს წარმოადგენდა ა. ჩხენკელი. კომიტეტის მიზანი იყო ლექციებით, შეხვედრებით და სხვა ღონისძიებებით ამ ერთა დაახლოება. მას სურდა დასავლეთ ევროპაში სსრ კავშირის ყველა „ჩაგრული ერის“ ცენტრი გამხდარიყო (25). ამით იგი აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონეთში მოქმედ „პრომეთეს“ უახლოვდებოდა, მასთან მჭიდრო ურთიერთობა

ჰქონდა და ერთობლივ ღონისძიებებსაც აწყობდნენ – კითხულობდნენ მოხსენებებს, რომლებიც „ჩაგრულ ერებს“ შეეხებოდა, აწყობდნენ გამოფენებს, შეხვედრებს, კონცერტებს, სადაც ეროვნულ ცეკვებსა და სიმღერებს ასრულებდნენ. კომიტეტი საპროტესტო პოლიტიკურ განაცხადებსაც აკეთებდა: 1936 წელს მემორანდუმი, საბჭოების მიერ დაჩაგრული ერების ინტერესების დასაცავად, ერთა ლიგის მე-17 კრების თავმჯდომარეს გადასცა (26), 1938 წელს სსრკ ახალი კონსტიტუციის გამო, რომელმაც კიდევ უფრო შეზღუდა ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებები, ყველა სახელმწიფოს მთავრობებს მემორანდუმი დაუგზავნა (27).

1928 წლის 25 თებერვალს პარიზის სოციალურ მუზეუმში ჩატარებულ კრებაზე, რომელსაც 140 კაცი ესწრებოდა დაარსდა „საქართველოს მეგობართა ასოციაცია“. პრეზიდენტად აირჩიეს საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი, ქართველთა ძველი მეგობარი აბელ შევალიე; ვიცე-პრეზიდენტად – პრინცესა აშილ მიურატი (საღმრთე დადიანი); საპატიო თავმჯდომარეებად – გ. რისლერი (სოციალური მუზეუმის დირექტორი), ჟან მარტენი (საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ჟენევაში) და ბარონი დე ბაი – საქართველოს სიძველეთა აღმწერი; გენერალურ მდივნად – სტუდენტთა საზოგადოების მზრუნველი თელიკო კოკე-ნიკოლაძისა (შემდეგ – მიშელ ფლორიზოლი, საქართველოში იტალიის ყოფილი კონსული); ხაზინადრად – კრედიტ ლიონ ბანკის დირექტორი პერე. მდივნად – ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი არნაულ დანდიუ. ასოციაციის წევრები იყვნენ: ჯონ ვილემსი, ჟიულ კლაინი, გენერალი პატეი, ალბერ დემოლონი, ვიქტორ ბაბე, გეორგ რისლერი, პიერ ფორესტი, ჯეიმს სტეფენსი. ასოციაციის მიზანი იყო ქართველებთან ურთიერთობის გაღრმავება და მათი მხარდასაჭერი საქმიანობის გააქტიურება, ლექცია-მოხსენებები, გამოცემები, ინფორმაცია, სტუდენტთა დახმარება და სხვა (28). ასოციაცია წმინდის პატივსაცემად ყოველწლიურ იხდიდა წირვას, 1932 წელს პარიზში წმინდის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაარსების შემდეგ ატარებდა ნინოების დღესასწაულს, საქველმოქმედო მეჯლისებს, ქართულ საღამოებს, კონფერენციებს.

საფრანგეთის კვადლაკვალ 1928 წელს „საქართველოს მეგობართა საზოგადოება“ ინგლისშიც შეიქმნა და პირველი ღონისძიებად ლონდონის ხელოვნების აკადემიაში საქართველოზე ახალგაზრდა მოგზაურისა და მწერლის,

უილიამ ალენის ლექცია ჩაატარა (29). ასეთივე საზოგადოება სენატორებისა და დეპუტატებისაგან სენატის თავმჯდომარის, ფრიდრიხ სოუკუპის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიაშიც შეიქმნა და მელინ გამინ-პოლკანის ხელმძღვანელობით – პოლონეთში, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ქართულ კოლონიებთან და სხვა მსგავს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ამ ორგანიზაციათა წყალობით საქართველო ახალ მხარდამჭერებსა და თანამგრძნობებს არა მარტო ევროპის სამთავრობო წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც იჩენდა (30) ქართველთა აქტიურობის, ევროპული პრესის, ორგანიზაციების, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა საპროტესტო განცხადებების მიუხედავად, რუსეთმა ერთა ლიგაში მაინც შეაღწია, თუმცა საქართველოს საკითხი საერთაშორისო ასპარეზიდან არ მოხსნილა. მართალია, ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა, ერთა ლიგის, სამშვიდობო, ეკონომიკური თუ სხვა საერთაშორისო კონგრესთა და კონფერენციათა რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შეელოდნენ.

ლიტერატურა

References:

1. asaTiani s. mcire mogoneba _ Journ. `kavkasioni~, XII, parizi, 1968, gv.108
2. cxovrebaZe g. akaki Cxenkelis memuari `saqarTvelos demokratiuli respublikis mTavrobis diplomatiuri muSaobis Sesaxeb 1921-22 ww.~, qarTuli diplomatia, t. II, Tb. 1995, gv.25-41
3. giorgi maCabeli – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, parizi, 1935, #112, gv.12-13
4. SaraZe g. xariton SaviSvili, ucxoeTis cis qveS, t. III, Tb. 1993, gv.39-57
5. aRar aris saelCo – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1933, #91, gv.1-3
6. List F. Die Volkerechtlichee Stellung der Republik Georgien, Berlin, 1918
7. Nipold O. La Georgie du point de vue du droit international, Paris, 1920
8. Fur L. La Georgie et la droit des Gens, Paris, 1932

9. gvarjalaZe k. saqarTvelos social-demokratiuli partiis muSaoba sazRvar-gareT, parizi, 1936
10. zurabiSvili iv. saqarTvelos saerTaSoriso mdgomareoba, parizi, 1936
11. JenevaSi, erTa ligis V yrilobaze – gaz. `damoukidebeli saqarTvelo~, parizi, 1925, #3, gv.17-31
12. ucxoeTis presa – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1934, #105, gv.8-9
13. nota erTa ligis me-15 yrilobis Tavmjdomare sanderss – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1934, #106, gv.9
14. Sveicariis Rirseba (werili Jan martinisa, romelic daibeWda mis JurnalSi 1936 w. 3 maiss) – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1936, #126, gv.5-6
15. daCagruli erebis mimarTva erTa ligis me-17 krebis Tavmjdomares – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1936, #129, gv.5-6
16. memorandumi, mimarTva erTa ligis me-18 yrilobis Tavmjdomare aRa xans – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1937, #140, gv.6-7, #141, gv.9-10
17. gvarjalaZe k. Cveni muSaoba – Journ. `mebrZoli saqarTvelo~, parizi, 1952, #1, gv.10-12
18. dauSvili r. saqarTvelos sakiTxi XX s. 20-30-iani ww. saerTaSoriso kongresebsa da konferenciebze _ Tspu msolfio istoriis kaTedris krebuli, miZRvnili vaxtang nanitaSvilisadmi, 2004, gv.54-57
19. dauSvili r. erTa ligis damxmare saerTaSoriso komitetis qarTuli seqcia _ krebuli miZRvnili m.mamforiasa da g.simoniZis xsovnisadmi, Tsu, V, 2005, 193-202
20. adamianis uflebaTa ligis qarTuli seqcia – gaz. `damoukidebeli saqarTvelo~, 1926, #3, gv.4
21. zavis saerTaSoriso biuro saqarTvelos sasargeblod – Journ. `mebrZoli saqarTvelo~, 1934, #100, gv.6
22. saqarTvelos sakiTxi ucxoeTSi, saqarTvelos megobrebi inglisSi _ Journ. `brZola~, parizi, 1925, #1, gv.30-32
23. SaraZe r. xariton SaviSvili, xariton SaviSvilis statia `alber malSi~, Tb. 2004, gv.35-36
24. saqarTvelos damxmare internacionaluri komiteti _ Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1930, #58, gv.7
25. megobrobis komiteti _ Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1934, #103, gv.16
26. erTa ligis kreba da kavkasiis erebi _ Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1938, #128, gv.3-5
27. memorandumi _ Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1938, #143,

gv.15

28. saqarTvelos megobarTa sazogadoeba _ Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1929, #39, gv.16

29. moxseneba saqarTveloze londonSi – Journ. `damoukidebeli saqarTvelo~, 1928, #35, gv.11

30. dauSvili r. saqarTvelos damxmare da `megobari~ organizacebi, qarTuli emigracia 1921-1939 wlebSi, Tb. 2007, gv.80-91

Rusudan Daushvili

European Nations and Georgian Emigration in 20-30-ies of the 20th century

Summary

After occupation of Georgia in 1921, the Georgian representative institutions, consulates set up during the independence period and also European countries ensured the settlement of the first wave of emigration, providing them with minimum living conditions. However, in 20-30-ies, the attitude of these countries toward Georgian emigration differed. In this respect, France, England and Switzerland had the most determined positions.

Although, England acknowledged the independence of Georgia on January 27, 1921, it gave priority to the “Russian Policy”. The Swiss government had never recognized Georgia legally. However, both in England and Switzerland, Georgia had many friends and ardent support from the press. Georgian government had the most solid support in France. Georgian Embassy in Paris was entitled to exercise full rights and France showed the most compassion –accommodated the major part of the refugees, ensured their employment and provided Georgia with important political support both in France and internationally.

Although, Georgia did not become a member of the League of Nations, it carried out a comprehensive work with this organization. “Georgian case“ was discussed at the international congresses and conferences, where general European issues were settled. International institutions and their Georgian sections, such as: International Community for Support of the League of Nations (Georgian community for the League of Nations), International League for Human Rights (Human Rights Georgian Section), International Peace Bureau (International Peace Bureau for Georgia) played crucial parts in this respect. Georgia was supported by the Red Cross, international Labor Bureau, Committee for Russian Refugees (Nansen committee), American Committee for Refugees of the League of Nations, etc.

Georgian emigration was assisted by the Committees for Georgia established in London and Geneva, as well as Committees of Friends of Georgia founded in Switzerland, France and England. Through this organizations, Georgia gained more and more supporters not only among the European government circles, but also among general public.

Although, the European nations supported Georgia and the resolutions adopted by the League of Nations, international organizations, congresses and conferences recognized Georgia as an international legal subject, they could not provide help to regain independence from Russia.

Keywords: The European states, League of the Nation, the Georgian emigration, refugees, « the Georgian question », the international organizations, the international congresses, the international conferences.

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

დაუშვილი რუსუდან

Европейские государства и грузинская эмиграция в 20-30 годы XX столетия

Резюме

После оккупации Грузии в 1921 году в Европе начались проблемы с приемом и обеспечением элементарных условий для первой волны грузинской эмиграции: созданные в период независимости Грузии грузингрузинские представительства и консульства, а также европейские страны по разному воспринимали и оценивали ее независимость и грузинскую эмиграцию 20-30 годов. Отношение к ней постоянно менялось. В Западной Европе наиболее определенную позицию занимали Франция, Англия и Швейцария.

Англия признала Грузию 27 января 1921 года, но придерживалась «русской политики». Правительство Швейцарии юридически Грузию не признало, хотя в Англии и Швейцарии Грузия имела много друзей и пресса ее горячо поддерживала. Наиболее твердой позиции в отношении к правительству Грузии проявляла Франция. Посол в Париже пользовался всеми дипломатическими правами и Франция больше остальных стран в отношении Грузии проявляла сочувствие: приняла наибольшее число беженцев, заботилась об их трудоустройстве и оказывала значительную политическую поддержку как внутри страны, так и на международной арене.

У Грузии Европе было много сторонников. Несмотря на то, что Грузия не стала членом Лиги Нации, с этой организацией она провела большую работу и была тесно связана. «Грузинский вопрос» стоял на всех международных конгрессах и конференциях, где обсуждались международные вопросы и где возможно было созданы общественного мнения в отношении Грузии. На оказание в ареале мировой политики «Грузинский вопрос» большое значение имели международные организации и их грузинские секции: «Вспомогательное международное общество Лиги Нации» (грузинская общество для Лиги Нации), «Международная Лига защиты прав человека» (грузинская секция защиты прав человека), «Международное бюро мира» (международное бюро мира в пользу Грузии). Грузии оказывали помощь: «Красный крест», «Международное бюро труда», «Комитет помощи русским эмигрантам» (Комитет Нансена). «Американский комитет Лиги Нации по оказание помощи беженцам» и т.д. На стороне грузинской эмиграции стояла и пытались решить ее проблемы «Комитеты помощи Грузии» созданные в Лондоне и Женеве и «Комитеты друзей Грузии» существовавшие в Швейцарии, Франция и Англия. Благодаря этим комитетам Грузия прообретала новых сторонников и сочувствующих не только правительственных кругах Европы, но и среди широкой общественности.

Европейские государства, Лига Нации, международные организации, конгрессы и конференции продолжали считать Грузию международным юридическом субъектом, но все это не поилогало избавить Грузию от России.

Ключевые слова: Европейские государства, Лига Нации, грузинская эмиграция, беженцы, «Грузинский вопрос», международные организации, международные конгрессы, международные конференции.

Рецензент – профессор Догондзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

ოთარ ჭოჩორაძე მენეჯმენტის ეროვნული სკოლები

„ვერანაირი ეკონომიკური სიტუაცია ვერ იქნება იმდენად უიმედო, რომ მთელი ხალხის მტკიცე ნება და პატიოსანი შრომა ვერ მოერიოს მას“.

ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდი

ახდენს თუ არა ეროვნული კულტურა ზეგავლენას მართვის სტილზე? თუ მართვის სტილი წარმოადგენს ეკონომიკური აუცილებლობის პროდუქტს?

გასული საუკუნის 70-იან წლებში მენეჯმენტისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში გაჩნდა ცნება “მენეჯმენტის ეროვნული თავისებურებები”, რომლის მეოხებითაც დაიწყო იმ თვითმყოფადი, თავისებური და განუმეორებელის აღნიშვნა, რითაც ხასიათდება მოცემული ქვეყანის მართვის სისტემა და პროცესი, ხელმძღვანელება.

მენეჯმენტის ეროვნული სკოლა განპირობებულია ქვეყნის განვითარების ისტორიით, მისი კულტურით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ფასეულობებით. მართვის ეროვნული სტილის კვლევის გაცხოველება გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა:

– მართვის სხვა სტილი – ეს არის სარკე, რომელშიც აირეკლება საკუთარი სტილი. დახელოვნებისათვის საჭიროა რათა შეგეძლოთ შედარება.

– ეროვნული მენეჯმენტის შესწავლა – ნიშნავს ათვისო განუმეორებელი მმართველობითი გამოცდილება, გადაღებული იყოს ის ფასეული, რისი ტრანსფორმირებაც არის შესაძლებელი მოცემული ქვეყნის პირობებისათვის.

– უცხოური გამოცდილების სისტემატური შესწავლა წარმოადგენს “საკუთარი” მართვის სრულყოფის ერთ-ერთ აუცილებელ მიმართულებას.

– სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოს წარმატებული მართვისათვის საჭიროა მართვის საკუთარი სტილის შეთავსება იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელ სტილთან.

მენეჯმენტის გერმანული მოდელი

შედარებით კვლევებში ძირითადად გამოყოფენ მენეჯმენტის გერმანული მოდელის შემდეგ თავისებურებებს:

მენეჯმენტის გერმანული მოდელის თავისებურება თვალნათლივ ჩანს პროფესიულ-ტექნიკური განათლების

ეროვნულ სისტემაში, რომელიც გამოირჩევა საინჟინრო საქმისადმი, ტექნიკური სწავლებისა და ხელობისადმი მზარდი ყურადღებით. ექსპერტთა შეფასებით იგი საუკეთესოა ევროპაში. ყოველივე ამის სათავე კი ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაში ძვეს. რასაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება და წერილში **“სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებლების შესახებ”** (ტფილისი, 25 ნოემბერი, 1898 წ.) აღნიშნა, რომ: “1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მანამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო, ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შეკმუსრა საფრანგეთიო. მას აქეთ გერმანიუმ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავი თავისი ძლევა-მოსილობა და წინსვლა იმავე ღონისძიებებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევა-მოსილებისა იგივე სკოლის მასწავლებელია, იგივე სწავლა და განათლებაა.

ამ ოცს უკანასკნელ წელიწადში ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა-ხელოსნობა ისე წინ წამოღვა გერმანიაში, რომ ყველასათვის საოცებელი გახდა. წინათ ამ მხრით სუსტი და უღონო გერმანია ბევრად ჩამოუვარდებოდა იმისთანა სამრეწველო ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია და შორი-ახლოსაც ვერ დაუდგებოდა ინგლისს, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობით ყველა ქვეყნებზე წინ იყო. ეხლა გერმანია ამ ოც თუ მეტ-ნაკლებ წელიწადში მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის წინ უსწრობს და ლამის ინგლისს გაესწორპიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიუს.

ასეთმა სისწრაფემ გერმანიის წარმატებისამ განცვიფრებული ყურადღება მიიქცია მრეწველ-მოვაჭრე ქვეყნებისა, როგორიც ინგლისია, ბელგიაა, და ჩრდილო ამერიკის შტატებმაც-კი ყურები აცქვიტეს გაოცებისაგან და იმის გამოსარკვევად, თუ რა ძალი და ღონე იხმარა გერმანიამ, რომ მისი ვაჭრობა-მრეწველობა ასე გაძლიერდა და გადიდდა, კომისიები დანიშნეს. აი ეს კომისიები რას ამბობენ:

“იგი უპირატესობა გერმანიისა, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო თავს იჩენს, საქონლის სიკეთითა და ბაზრების განდიდებითა, სამართლიანი ჯილდოა იმ ზედმიწევნით ასრულებული პროგრამისა, რომელიც სამის

სიტყვით გამოითქმის: საერო განათლების წარმატება. ეს ქვეყანა მკის იმას, რასაცა სთესავს. თუ სხვა ქვეყნებს ჰსურთ მის ვაჭრობას და მრეწველობას გაუმკლავდნენ, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იგი, და იმავე მხნეობითაო”.

მარტო ერთი პრუსია, და ამ მხრით იგი სხვა გერმანიის ქვეყნებზე დაბლა სდგას, სატექნიკო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის წელიწადში ჰხარჯავს მილიონ ნახევარ მანეთსა იმისდა გარეთადა, რასაც ამ საგნისათვის სწირავენ ქალაქის გამგეობანი, სახელმწიფო დაწესებულებანი და ცალკე კაცნი.

“თვით მეფაბრიკენი და მექარხნენი, ჰხედვენ-რა, რა სარგებლობაა, როცა სწავლული და მცოდნე ხელოსნები და მუშები ჰყავთ, ინახავენ სკოლებს თავისი საკუთარის ხარჯით და ზოგჯერ მთავრობაც ჰშველის ფულით ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად. ამ სახით გამართული 248 სკოლაა და შიგ მოსწავლენი არიან 11.000 ყმაწვილი.

“ყოველის ცალკე ხელობისათვის ცალკე სკოლებია. ხელოსნებისათვის, რომელნიც შენობებს გარედან და შიგნიით ჰხატავენ და აღამაზებენ, პრუსიაში 32 ცალკე სკოლაა. ხარაზებისათვის – 9, დერციკებისათვის – 16, ხაბაზებისათვის – 20, ყასბებისათვის – 6, მჭედლებისათვის 26 და სხვანი.

“ბადენის დიდ საჰერცოგოს სულ ნახევარ მილიონზე ნაკლები მკვდარი ჰყავს და სატექნიკო სკოლებზე-კი წელიწადში ჰხარჯავს 180.000 მანეთსა. ჰესენის დიდ საჰერცოგოში. რომელსაც სულ ერთი მილიონი მკვდარი ჰყავს, 9 სახელოსნო სკოლაა, 43 სამრეწველო და 82 სამხატვრო. ყველაზე წინ არის საქსონია, რომელიც თუმცა დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ ას თერთმეტი სატექნიკო სკოლა აქვს, საცა ასწავლიან ყოველგვარ ხელობას და ხელოვნებას. ამასთან საქსონიაში 10 სკოლაა საკუთრივ მოწათმოქმედებისა და 40 სავაჭრო სასწავლებელი”.

ინგლისის კომისია ამბობს: “ყოველგვარ სამრეწველოში მუშის გასამრჯელო მატულობს გერმანიაში, ხანი სამუშაო დღისა განუწყვეტლივ კლებულობს და პატარა ყმაწვილების მუშაობა თითქმის მოისპო. ინგლისის მეფაბრიკეთა ტყუილადა ჰგონიათ, ვითომც წარმატებას მრეწველობისას გერმანიაში სხვა რამ მიზეზი ჰქონდეს და არა მარტო უპირატესობა და აღმატებულობა საყოველთაო საერო განათლებისა და სასპეციალო-სატექნიკო სწავლა-ცოდნისა”...

...ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიამ, ვხედავთ, მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს? ყოველ ორთა-შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რა საკვირველია, ამაების სწავლა-ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ვერცა და განსაკუთრებული ნიჭი არ სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭსა? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრსა ვხედავთ, ნამეტნავად ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში, და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებს იმ მდგომისა, რომელსაც ჩვენში უფროს-ერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელებიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკეცა ამ ტყუილად გაბერილს თავმოწონებას”. [1].

პროფესიულ-ტექნუკური განათლების ეროვნულ სისტემა გერმანიაში უზრუნველყოფს ახალგაზრდების (16-21 წელი) მომზადებას (3 წლის განმავლობაში) და სახელმწიფო დიპლომას მიღებას. სასწავლო პროცესი გულისხმობს როგორც სამუშაო ადგილზე მომზადებას (4 დღე კვირაში), ასევე თეორეტიკულ სწავლებას (კვირაში 1 დღე). პროფესიულ-ტექნუკური განათლების ეროვნულ სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი მტკიცდება სამი ინსტიტუტის – მთავრობის, დამსაქმებელთა ასოციაციების და პროფკავშირების მიერ. საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ ადგიობრივი სავაჭრო-სამრეწველო პალატები.

გერმანული საწარმოების საშუალო წლიური სამუშაო ძალის მინიმუმ 5%-ს შეადგენენ პროფესიულ-ტექნუკური განათლების სისტემის მსმენელები. სამრეწველო საწარმოთა მუშების დაახლოებით 70% გაიარა ეს სისტემა და ჩააბარა

კვალიფიციური გამოცდები, რომლებიც ითვალისწინებდნენ დარგობრივ სპეციფიკასა და კონკრეტული საწარმოს მოთხოვნილებებს. [მსგავსი კვალიფიკაცია აქვთ: ნიდერლანდებში – მუშების 40%, აშშ-სა და ინგლისში – 30%-ს.] კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამრიგებლების ინსტიტუტს. გერმანულ საწარმოებში დამრიგებელთა 2/3 აქვს ოსტატის სერტიფიკატი. გერმანულ ფირმებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე პროფესიული ოსტატობის ზრდის სტიმულირება.

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე მენეჯმენტი გერმანიაში არ ითვლებოდა ცალკეულ სამეცნიერო დარგად, შესაბამისად, შესაბამისი სასწავლო დისციპლინები წარმოადგენდნენ იშვიათობას. გერმანელებს მიაჩნდათ, რომ მენეჯმენტმა, როგორც დამოუკიდებელმა სამეცნიერო დისციპლინამ შეიძლება წარმოშვას ეგოიზმი, არალოიალურობა, პროდუქციის ხარისხისადმი აგდებული დამოკიდებულების ტენდენცია. ბიზნეს გერმანულში შესაქებად უფრო ხშირად გამოიყენება თანდებული **internehmerisch** (ინიციატივიანი, მოხერხებული), ვიდრე **managerhaft** (მმართველობითი). ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერის **გერტ ჰოფსტედეს** (ჰოლანდ., **Geert Hofstede**) აზრით, საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ გერმანიაში მენეჯერი არ წარმოადგენს კულტურულ გმირს, ეს სტატუსი აქ ინჟინერისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა.

გერმანელი მენეჯერების, ოსტატებისა და დამრიგებლებისათვის უფრო ტიპურია უმაღლესი ტექნიკური განათლება. ისინი თავიანთ თავს განიხილავენ, როგორც ტექნიკურ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომლებსაც შეიძლება მიმართონ ხელქვეითებმა საწარმოო პრობლემებთან დაკავშირებით. მათმა უმრავლესობამ გაიარა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა. პროფესიონალური კრიტერიუმები (პროფესიონალური უნარ-ჩვევების დონე, საწარმოო სტაჟი) წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოებაში დასაწინაურებლად.

სპეციალისტებისა და მმართველების მაღალი დონის ტექნიკური განათლების გამო, მენეჯმენტი გერმანიაში ნაკლებად არის დაშორებული საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესისაგან, როგორც ეს არის ინგლისურენოვან ქვეყნებში. საშუალო რგოლის მენეჯერები ტექნიკურ კომპეტენტურობას

განიხილავენ, როგრც თავიანთი ძალაუფლებრივი უფლებამოსილების ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელს.

სამრეწველო საწარმოების გერმანელ მენეჯერთა უმრავლესობა, მათ შორის მართვის უმაღლესი რგოლის, კარგად არიან ორიენტირებულნი საწარმოო მენეჯმენტის საკითხებში, ფაქტიურად მუდმივად იმყოფებიან საწარმოთა საამქროებში. მათთვის გაუგებარია ამერიკელი მენეჯერების ქცევა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ფინანსურ ანგარიშებთან მუშაობას, იმის მაგივრად, რომ სიღრმისეულად შეისწავლონ წარმოების საწარმოო პროცესები. გერმანელი მენეჯერი დარწმუნებულია, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებისათვის დახვეწილი ტექნიკური პროცესი და უმაღლესი ხარისხის პროდუქცია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა ფაქტორები.

გერმანულ კულტურაში გადამწყვეტ როლს თამაშობს პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან თვითდისციპლინასა და თვითკონტროლს. გერმანელი მენეჯერები აფასებენ მაღალ კვალიფიკაციას და ყოველთვის ცდილობენ ახლოს იყვნენ საამქრობთან და საწარმოო ქვედანაყოფებთან. ასეთი დამოკიდებულება ქმნის ურთიერთმისაღები შიდაორგანიზაციული ურთიერთობების, გერმანული ორგანიზაციის საშტაბო და სახაზო სტრუქტურებს შორის ეფექტური კომუნიკაციის პოტენციალს.

მართვის გერმანული სისტემა გულისხმობს საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის მჭიდრო კავშირის არსებობას.

გერმანულ კომპანიებში მართვის აპარატის თანამშრომელთ ავტორიტეტი უფრო მეტად დაფუძნებულია მათ პროფესიონალურ უნარ-ჩვევებზე ვიდრე სამსახურეობრივ იერარქიაში დაკავებულ ადგილზე. პროფესიონალური კვალიფიკაციის მაღალი დონე გერმანელ მენეჯერებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ უფრო ბრტყელი იერარქიის მეშვეობით და გააფართოვონ საკუთარი კონტროლი.

საკადრო პოლიტიკის, კარიერული ზრდის, კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა მსგავსი საკითხებისადმი გერმანული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ სამსახურში მიღებისათვის მნიშვნელოვან მოთხოვნას წრმოადგენს შესაბამისი ტექნიკური მომზადება (განათლება). შემდგომში წინსვლის მთავარი პირობა ხდება საწარმოო სტაჟი. ამასთან საწარმოო და მმართველობითი კარიერა მიბმულია ფუნქციონალურ

ვალდებულებებთან და წინსვლა შედარებით ნელი გამოდის. რაც შეეხება ტოპ-მენჯერებს, მათთვის დამახასიათებელია უფრო მაღალი საგანმანათლებლო დონე.

თუ სახაზო პერსონალი ფლობს მაღალ კვალიფიკაციას, მაშინ მას ნაკლებად სჭირდება კონტროლი და დახმარება ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის მხრიდან, რომლის ხვედრითი წილი გერმანულ ფირმებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ინგლისისა და საფლანგეთის ანალოგიური ხასიათის ორგანიზაციებში. გერტ პოფსტედე ხაზს უსვამდა, რომ მაღალი კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის მქონე გერმანელი მუშაკების “მოტივაციისათვის” არ არის სავალდებულო ამრიგული ტიპის (“ჯენერალისტი”) მენეჯერი. მათ მიაჩნიათ, რომ ხელმძღვანელმა ან ოსტატმა მათ უნდა დაავალოს ამოცანა და იყოს ექსპერტი ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

გერმანელ მენეჯერებში ნაკლებად არის გავრცელებული სამუშაო ადგილის ცვლა და სესაბამისად მაღალია კორპორატიული ლოიალურობის დონე. გერმანიაში ერთ საწარმოში მუშაობის საშუალო სტაჟი შეადგენს 8 წელს, ხოლო ამერიკასი – 3 წელს. რ. სტიუარტის გამოკვლევების თანახმად 30 გამოკითხული გერმანელი მართვის აპარატის წარმომადგენლიდან 20 ერთ საწარმოში მუშაობდა 5 წელზე მეტ ხანს, ხოლო 6 მათგანი – 20 წელზე მეტს. ინგლისელებისა და ამერიკელების თანახმად ერთ საწარმოში მუშაობის ასეთი ხანგრძლივი სტაჟი არის ან შეიძლება გზდეს დამღუპველი ეფექტის მიზეზი. გერმანელებს კი მიაჩნიათ, რომ ერთ ადგილზე მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი საშუალებას იძლევა მიღწეული იყოს ტექნიკური კომპენტენციის აუცილებელი დონე.

ბევრ გერმანულ საწარმოში იყენებენ მოადგილეების, ანუ “ჩრდილოვანი მუშაკების” პრინციპს. მსგავს ორგანიზაციებში მენეჯერი არჩევს და ასწავლის თავის მოადგილეებს. ეს კი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის უწყვეტელობასა და თანმიმდევრულობას. შეგებულების, ავადმყოფობისა და სხვა მსგავს შემთხვევაში სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებენ მოადგილეები.

გერმანული კომპანიების ძირითად მიზანს და კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს **პროდუქციის ხარისხი, მისი დროული მიტანა და გაყიდვის შემდგომი მომსახურება**. გერმანელ მომხმარებელთა მაღალი შემოსავლები საშუალებას აძლევს მათ გადაიხადონ მაღალი ხარისხისათვის.

ბაზარზე საკუთარი კონკურენტული პოზიციების შესანარჩუნებლად და გასამტკიცებლად გერმანელები იყენებდნენ და დღესაც იყენებენ ტექნიკური სრულყოფისა და ინოვაციების სტრატეგიას. მსგავსი სტრატეგიის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზით: გაერთიანება და შთანთქმა, ერთობლივი საწარმოების შექმნა, პატენტებისა და ლიცენზიების შესყიდვა, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინვესტირება (R&D - Research & Development). ეს უკანასკნელი მიდგომა არის ყველაზე გავრცელებული გერმანულ კომპანიებში, რომლებიც სხვა ქვეყნების ფირმებთან შედარებით საკუთარი შემოსავლის არსებითად დიდ ნაწილს ხარჯავენ R&D-ს ფინანსირებაზე. და კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: გერმანელებს მიაჩნიათ, რომ კრიზისულ წლებში ეს წილი კიდევ უფრო დიდი უნდა იყოს.

[Research & Development, ანუ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები – ღონისძიებათა კომპლექსი, იგი შეიცავს როგორც სამეცნიერო კვლევებს, ასევე პროდუქციის საცდელი და მცირესერიული ნიმუშების წარმოებას, რომლებიც წინ უსწრებენ სამრეწველო წარმოებაში ახალი პროდუქტის ან სისტემის გაშვებას. R&D-ზე გაწეული ხარჯები წარმოადგენენ კომპანიის ინოვაციური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მახვენებელს.

Battelle Memorial Institute-ს კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით 2008 წელს მსოფლიოში R&D-ზე დაიხარჯა 1,12 ტრილიონი დოლარი. R&D-ის მოცულობის მიხედვით პირველ ადგილზე არია აშშ (382,6 მილიარდი დოლარი), მეორეზე – იაპონია. [2].

გერმანული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, რომლებსაც მხარში უდგას განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ფედარული სამინისტრო. [Max-Planck-Gesellschaft zur Förderung der Wissenschaften, MPG – მაქს პლანკის სახელობის სამეცნიერო კვლევების საზოგადოება, არის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ქსელი, რომლის სათაო ოფისი იმყოფება ბერლინში, ხოლო მართვის ფილიალი მიუნჰენში. მასში შედის 78 ინსტიტუტი და სამეცნიერო-კვლევითი ქვეგანყოფილება. წარმოადგენს მსოფლიოში აღიარებულ და წამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციას ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების სფეროში. MPG-ს

კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საბუნებისმეტყველო, სოციალური და ფსიქოლოგიური მიმართულებები. მართალია იგი თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და საგანმანათლებლო სრუქტურებთან, მაგრამ ინარჩუნებს დამოუკიდებელ სტატუსს.]

კიდევ ერთ გერმანულ ფენომენს წარმოადგენს VDMA – მწარმოებელთა ასოციაცია მანქანათმშენებლობაში. მასში შემაჯავლი საწარმოები და ორგანიზაციები იხდიან თავიანთი წლიური შემოსავლის 0,5% კვლევით ფონდში, რომლის სახსრები ხმარდება დარგობრივ R&D-ს.

გერმანული ეკონომიკისათვის მასტაბილიზირებელ ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური და მდგრადი ურთიერთობები მენეჯერებს, პროფკავშირებსა და მუშათა საბჭოებს შორის. მესაკუთრების, მენეჯერებისა და მუშაკების ხანგრძლივი თანამშრომლობისა და პარტნიორობის იდეა საკმაოდ ნაყოფიერად ხორციელდება გერმანულ საზოგადოებაში.

გერმანელი მენეჯერები მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებენ შრომითი ფუნქციებისა და პროცედურების აღწერას. შედარებით მაღალია ფორმალიზაციის ხარისხი ინსტრუქციების, წესების, ვალდებულებების და სხვა სახით. მენეჯერები ურჩევნიათ ნაკლებად მიმართონ იმპროვიზაციას და უფრო მეტად იმოქმდონ წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. როლისა და წესების ზუსტი განსაზღვრის ეს თავისებურება განსაკუთრებულად არის კულტივირებული სახელმწიფო დაწესებულებებსა და მხვილ კორპორაციებში. გერმანელი მმართველი დიდ ყურადღებას უთმობენ დაგეგმარებას. და თუ სიტუაცია მოსალოდნელზე უფრო გართულდა, გერმანელები ცდილობენ გააქტიურონ გეგმიური საქმიანობა (ინგლისელებმა ამ დროს შეიძლება შეამცირონ დაგეგმარების განყოფილება).

გერმანული მენეჯმენტი გამოირჩევა განსაკუთრებული სტილით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა შუასაუკუნეების ამქრობებისა და სავაჭრო გილდიების ტრადიციების გავლენით. ამავე დროს გერმანელი მენეჯერები განთქმულნი არიან პერსპექტივის ხედვითა და მომავალზე ორიენტაციით. პაექრობის გერმანული სტილი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მკაცრი, მაგრამ თვით სასტიკი დაპირისპირებაც კი მიზნად არ ისახავს კონკურენტების განადგურებას. კომპანიებიები კონკურირებენ ერთმანეთთან,

მაგრამ არ არიან დაინტერესებული ბზარზე მონოპოლიური დომინირებით, მათ აინტერესებთ ბაზრის სფეროების გაყოფა ან სულაც საქონლისა და მომსახურების ბაზარზე საკუთარი განსაკუთრებული ნიშის შექმნა. გერმანული კომპანიები ზიხლით უყურებენ ფასებით კონკურენციის პრაქტიკას და მას მიმართავენ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

კონკურენციის გერმანული სტილის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს **Leistungswettbewerb** (მიღწევათა შეჯიბრი), პაექრობა უფრო მაღალი ხარისხის საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენენ პროდუქციის ხარისხი და პროდუქციის მომსახურება. გერმანელი მენეჯერი დარწმუნებულია, რომ პროდუქცია თვითონ ყიდის თავის თავს, ამიტომაც, სურს რა, რომ მისი კომპანია იყოს უკეთესი, მიისწრაფვის რათა სრულყოფილებამდე დაიყვანოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. პროდუქციისადმი ყურადღება უპირველეს ყოვლისა ნიშნავს ყურადღებას მისი წარმოების პროცესისადმი. ამიტომ ნებისმიერი დონის გერმანელი მენეჯერი ბრწყინვალედ ერკვევნ დაზღვევის ტექნოლოგიაში, პრაქტიკულად იცნობს წარმოების ყველა ეტაპს და ორიენტირებული არის უშუალო მწარმოებლებთან მჭიდრო კონტაქტზე. გერმანელი მენეჯერები დარწმუნებული არიან, რომ საბოლოო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად მთავარს წარმოადგენს კარგად აწყობილი წარმოება და პროდუქციის მაღალი ხარისხი.

გერმანული მენეჯერისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოსთან თანამშრომლობა და საკუთარი საქმიანობის კოორდინაცია სახელმწიფოსთან. გერმანულ ცნობიერებაში მტკიცედ არის დამკვიდრებული შემდეგი იდეა: კერძო ინიციატივა უნდა განვითარდეს მკაფიო სახელმწიფო რეგულირების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, გერმანული ეკონომიკა ტრადიციულად, მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოსთან. გერმანელი მენეჯერები დიდი ყურადღებით ეკიდებიან სახელმწიფო სტანდარტებს, პოლიტიკასა და რეგულირებას. გერმანული სამრეწველო სტანდარტები (გერმ., Deutsche Industrie Normen - DIN) შემუშავებული არის იმ მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების პროცესში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის, მრეწველობის, მენეჯერთა ასოციაციის, სავაჭრო-სამრეწველო პალატების, პროფკავშირების წარმომადგენლები.

მენეჯმენტის გერმანული სტილისათვის დამახასიათებელია კოლექტივობა, შეთანხმებისაკენ სწრაფვა, პროდუქციასა და ხარისხზე ორიენტირება, ერთი კომპანიისადმი ერთგულება და მისი ხანგრძლივი განვითარების პერსპექტივებისადმი განსაკუთრებული ყურადღება. [3]

გერმანელებმა **DIM-ს** (decision-information-motivation) რეალიზაციით – ანუ **გადაწყვეტილების** მიღების თავისუფლება საბაზრო **ინფორმაციისა** და **მოტივაციის** სისტემის საფუძველზე – შექმნეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა (გერ., Soziale Marktwirtschaft), ეგრეთ წოდებული “გერმანული ეკონომიკური სასწაული”. მისი შექმნა უკავშირდება გერმანიის ეკონომიკის მინისტრის **ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდის** სახელს.

[ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდი (გერმ.: Ludwig Wilhelm Erhard) (და 4 თებერვალი 1897 — გ. 5 მაისი 1977) - გერმანელი მეცნიერ-ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის ეკონომიკის მინისტრი (1949-1963), ბუნდესკანცლერი 1963-1966 წლებში ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან].

1946 წელს გერმანიის მდგომარეობა კატასტროფული იყო: სამრეწველო წამოების მოცულობა შეადგენდა ომამდელი დონის 33%-ს, ფოლადის წარმოება შემცირდა 7-ჯერ, ქვანახშირის – 2-ჯერ, სოფლის მეურნეობა უკუგდებული იქნა 30 წლით უკან; გერმანიამ დაკარგა საკუთარი ტერიტორიის 25%, 12 მილიონამდე ადამიანი გამოსახლებული იქნა წართმეული ტერიტორიებიდან და აღმოჩნდნენ ლტოლვილების მდგომარეობაში, ყოველი მეორე გერმანელი იყო უმუშევარი, საცხოვრებელი სახლების 20% იყო განადგურებული, 25% დაზიანებული. გერმანული მარკა გაუფასურებული იყო, ინფლაციამ შეადგინა ომამდელთან შედარებით 600%-ზე მეტი, და იგი არაფერს აღარ ნიშნავდა. ქვეყანაში გაბატონებულ შავ ბაზარზე მოსახლეობა ანგარიშსწორებას ახდენდა ვალუტით, სიგარეტებითა და ყავით. ქვეყანა იყო სრულ ეკონომიკურ კოლაფსში. საოკუპაციო ზონებში მოქმედებდა მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი და საბარათო სისტემა. ქვეყნის მოსახლეობა ბალანსირებდა შიმშილის ზღვარზე – ამერიკულ ზონაში მას აძლევდნენ თვეში 6 კილოგრამ პურს, 12 კილოგრამ კარტოფილს, 400 გრამ ცხიმს, წელიწადში 1 ნაჭერ საპონს და 1 წყვილ ფეხსაცმელს 12 წლის განმავლობაში. ქვეყანაში გამეფებული შიმშილის ხასიათზე თვალნათლივ მეტყველებს იმდროინდელი ერთი “ხუმრობა”: “საჭმელი ძალიან

ბევრია იმისათვის, რომ მოკვდე, მაგრამ ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ იცოცხლო”. ამ პერიოდის გერმანიის საერთო სურათი კი ერთმა ჟურნალისტმა ასე დაახასიათა: “გერმანია – ეს არის ნაგვის გროვა, რომელშიც 40 მილიონი მშვიერი გერმანელი ფუთფუთებს”.

“ნაგვის გროვიდან” გერმანიის ამიყვანას დაეხმარა რამოდენიმე ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: “ცივი ომი”, ევროპის მზარდი მოთხოვნილება გერმანულ ქვანახშირში, კონრად ადენაუერი და ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდი.

მარშალის გეგმის მიხედვით გერმანიამ 1948-1951 წლებში მიიღო 1,6 მილიარდი დოლარი, რომელიც უაღრესად ეფექტიანად იქნა გამოყენებული. უკუმოგებამ თითოეული დოლარიდან შეადგინა 10-დან 20 დოლარამდე. გერმანიას დახმარება მიეწოდებოდა სასაქონლო მიწოდებების სახით, რომელთა რეალიზაციიდან მიღებული სახსრები იღებოდა ეკონომიკის განვითარებისათვის განკუთვნილ ფონდებსა და ბანკებში.

ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდი (ბავარიის ეკონომიკის მინისტრი) ჯერ კიდევ 1946 წელს მოითხოვდა რეფორმების გატარებას, მაგრამ საოკუპაციო ადმინისტრაცია არ ჩქარობდა. 1948 წლის მარტში იგი დანიშნეს დასავლეთ გერმანიის გაერთიანებული ზონების ეკონომიკის მინისტრად. იგი იყო ეკონომიკის საბაზრო მოდელის მხურვალე პროპაგანდისტი. კონრად ადენაუერმა 1948 წელს იგი მიიწვა, რათა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოსულიყო. 1949 წელს გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ, კანცლერი გახდა კონრად ადენაუერი, ეკონომიკის მინისტრი – ლუდვიგ ერჰარდი, მეცნიერ-ეკონომისტი, რომელმაც ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში. ამავდროულად იგი იყო დიდებული ორატორი, შეეძლო უბრალო ადამიანისათვის აეხსნა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის არსი. ყოველივე ამს იგი ანიჭებდა უზარმაზარ მნიშვნელობას, ბევრს წერდა გაზეთებში და საჯაროდ გამოდიოდა. შემდგომში, საკუთარი ეკონომიკური პროგრამის წარმატების შესახებ მან განაცხადა: “მე წარმატებას იმიტომ მივადწიე, რომ ზეპირად და წერილობით მივმართავდი თითოეულ გერმანელს, ვარწმუნებდი მას ჩემი ქმედებების მართებულებაში”.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ერჰარდისეული ხედვის საფუძველს წარმოადგენდა: კერძო

საკუთრება, თავისუფალი ფასები, ანტიმონოპოლიური რეგულირება, დაბალი გადასახადები. სოციალური ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ აქტიურად გატარებულ სოციალური მხარდაჭერის მაქსიმიაზაციას მოსახლეობის დასაქმების ეფექტური პირობების შექმნა გზით. ამავდროულად ახალი ეკონომიკური წესრიგი ჰარმონიულად მოიცავდა თავის თავში საბაზრო თავისუფლებას, სახელმწიფო რეგულირებას, ინდივიდუალისმს, სოციალურ პასუხისმგებლობას “საყოველთაო კეთილდღეობის” მისაღწევად. სახელმწიფოს როლი დაყვანილი იყო შემდეგ პრიორიტეტებზე: განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, ზედამხედველობა და რეგულირება, მაქსიმალურად ხელსაყრელი საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს შექმნა, ხოლო რიგ შემთხვევებში, მაგალითად ბინათმშენებლობის პროგრამის გადაწყვეტისას, საკმაოდ მასშტაბური ჩარევის გამოყენება.

ადმინისტრირებული ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: მტკიცე ფულის შესაქმნელად ფულადი რეფორმის განხორციელება; ფასების სახელმწიფო რეგულირებისაგან განთავისუფლება; კერძო მეწარმეობის სტიმულირება.

წარმატების უცილობელ წინაპირობას წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული საბაზრო ინსტიტუტები: ბაკები, ბირჟები, სამართლებრივი სისტემა, კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და მიწაზე. ომის შემდეგ შეიქმნა კოლოსალური შიდა და საგარეო მოთხოვნილება, რაც თავის მხრივ ქმნიდა ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების კარგ პირობებს. სახეზე იყო კვალიფიცირებული სამუშაო ძალა (ომის დროს განთავისუფლებული სამხედრო სამსახურიდან). წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა აგრეთვე საკუთარი სამხედრო ხარჯების არქონა და კარგად აწყობილი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა.

რეფორმების მომზადებას ახორციელებდა მუშა ჯგუფი ახალგაზრდა ამერიკელი ეკონომისტის ედვარდ ტონენბაუმის ხელმძღვანელობით. ამერიკელების გეგმა აქცენტს აკეთებდა მხოლოდ მონეტარულ ფაქტორზე – მყარი ვალუტის შემოტანა. 1948 წლის 17 ივნისს ამერიკელებმა მოიწონეს რეფორმების გეგმა და 18 ივნისს საქმის კურსში ჩააყენეს ერჰარდი. ლუდვიგ ერჰარდმა გადაწყვიტა წასულიყო უფრო შორს. 20 ივნისს, კვირადღეს, როდესაც ყველა სახელმწიფო დაწესებულება

უმოქმედოდ არის, ერპარდი გამოდის რადიოთი და აუქმებს ფასებზე სახელმწიფო კონტროლს საქონლის უმეტეს დასახელებაზე, აგრეთვე მოხსნა აქამდე მოქმედი ადმინისტრაციული მითითებების უმრავლესობა და სრული თავისუფლება მისცა ბაზარს.

ყველაზე მტკივნეულ ღონისძიებას წარმოადგენდა ფულადი რეფორმა. 1948 წლის 21 ივნისის დამეს გამოცხადებული იქნა ახალი ვალუტის – დოიხმარკის შემოღება. ყველა მოქალაქემ მიიღო 40 ახალი მარკა, შემდგომში მათ დაემატა კიდევ 20 მარკა. პენსიები, ხელფასი, საბინაო გადასახადები გადაითვლებოდა კურსით 1:1. ნაღდი ფულის ნახევარი და ანაბრები, აგრეთვე საწარმოთა ყველა ველდებულება გადასურდავდებოდა კურსით 1:10, მეორე ნაწილი დროებით გაყინეს, შემდგომში 1:20 კურსით გადასურდავებით. ყველა საწარმომ მიიღო სახსრები პირველი ხელფასის გასაცემად, შემდგომში მათ უნდა ეშუშავათ საკუთარი მოგების ხარჯზე. ყოველივე ამან მყისიერად დაუბრუნა ფულს ფასი და მკვეთრად შეამცირა ფულადი მასის ოდენობა. თავისუფალი ფასების შემოღებასთან ერთად, სახელმწიფომ მიიღო კანონი ფასების თვითნებური ამადლების წინააღმდეგ, გამოქვეყნებული იქნა ეგრეთ წოდებული მისაღები ფასების კატელოგები. ფასები გაიზარდა, მაგრამ არა უმნიშვნელოდ. [XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გერმანული მარკა გახდა ევროპული სავალუტო სისტემის “საყრდენი ვალუტა”].

ფრანგმა ეკონომისტებმა უაკ ზუიფმა და ანდრე პიეტრმა ასე აღწერეს რეფორმის წარმატება: “შავი ბაზარი უეცრად გაქრა. ვიტრინები გაივსო საქონლით, აბოლდნენ ფაბრიკა-ქარხნების მიღები, ქუჩებში ამოძრავდნენ სატვირთო მანქანები. ჯერ კიდევ გუშინ არსებუმა ნანგრევების მკვდარმა სიჩუმემ ადგილი დაუთმო საამშენებლო მოედნების ხმაურს. ერთი დღით ადრე გერმანელები უაზროდ დაბორილებდნენ ქალაქებში, რათ დიდი გაჭირვებით მოეპოვებინათ მწირი საკვები. მეორე დღეს ყველა ფიქრობდა იმაზე, რომ რაიმე ეწარმოებინათ. სადამოს ყველა სახე გამოხატავდა გაუსაზრისობას, ხოლო დილით მთელი ერი იმედით უყურებდა მომავალს”. [4]

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკას საფუძვლად დაედო “ფრაიბურგის სკოლის” წარმომადგენლების ვალტერ ოიკენისა და ვილჰელმ რეპკეს კონცეფცია და აღფრედ მიუღერ-არმაკის შრომები საბაზრო

ეკონომიკის პირობებში სოციალური ჯგუფების მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა (გერ., Soziale Marktwirtschaft) – ეკონომიკური სისტემა, ორგანიზებული საბაზრო თვითრეგულირების დერიტაზე, რომლის დროსაც ქმედებების კოორდინაცია ხორციელდება ბაზარზე თავისუფალი კერძო მეწარმეებისა და თავისუფალი ინდივიდუალური მომხმარებლების ურთიერთქმედების საფუძველზე. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური მოდელის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს მოთხოვნა, რომ არც სახელმწიფოსა და არც კერძო ბიზნესს არა აქვს უფლება ჰქონდეს სრული კონტროლი ეკონომიკაზე. შერეული ეკონომიკის ამ ნაირსახეობაში, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკაში, რესურსების განაწილების სტრუქტურას განსაზღვრავს მხოლოდ მომხმარებლების, რესურსების მიმწოდებლებისა და კერძო ფირმების გადაწყვეტილებები. ამავდროულად, ეკონომიკურად უფრო ძლიერები ვალდებული არიან დაეხმარონ უფრო სუსტებს.

სახელმწიფოს როლი მდგომარეობს შემდეგში: თამაშის ყველა მონაწილის ურთიერთპასუხისმგებლობის გრძობის განვითარება, უსამართლო ტენდენციების კორექტირება კონკურენციაში, ვაჭრობასა და შემოსავლების განაწილებაში. ეს სისტემა განიხილებოდა, როგორც “Laissez-faire”-ის, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ალტერნატივა.

[ფრანგ., Laissez-faire – დაანებეთ-აკეთოს, ეკონომიკური დოქტრინა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში უნდა იყოს მინიმალური. ძირითადი არგუმენტი – ეკონომიკა არის ისეთი თვითრეგულირებადი მექანიზმი, რომელიც თავად ნახულობს ეფექტიურ წონასწორობას, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა ამახინჯებს ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებულ სივანდებს და ეფექტიურ წონასწორობის მიღწევა ხდება შეუძლებელი. აქ სახელმწიფო გამოდის “ღამის დარაჯის” როლში – ბაზარზე ეკონომიკური აგენტების ურთიერთქმედების წესების დადგენა და მათ აღსრულებაზე თვალყურის დევნა, და არა როგორც ბაზრის დამოუკიდებელი სუბიექტი.]

თანამედროვე მეცნიერული აზრი “Laissez-faire”-ს მიიჩნევს იდეალურ გონით კონსტრუქციად, რომელიც არ გვხვდება რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ წარმოადგენს ბაზისს, რომელზეც აიკვება მიკროეკონომიკური თეორია.

ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდის ინიციატივით, გერმანიის მთავრობასთან, შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომელიც უფრო ცნობილია “ბრძენთა საბჭოს” სახელით. ყოველწლიურად, შობამდე 6 კვირით ადრე, ხუთი ავტორიტეტული მეცნიერ-ეკონომისტი სახეიმოდ გადასცემს გერმანიის კანცლერს სოლიდურ ნაშრომს “ექსპერტთა საბჭოს დასკვნა მიმდინარე წელს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ”, რომლის მიზანია – სახალხო მეურნეობის განვითარების ობიექტური ანალიზი და შეთავაზებული ღონისძიებების სავარაუდო სოციალური და პოლიტიკური შედეგების განსაზღვრა.

გერმანულ მრეწველობაში მტკიცედ არის დაფუძნებული მართვის დემოკრატიული პრინციპები. 1951 წელს მიღებული კანონის თანახმად, უმსხვილესი კომპანიების დირექტორთა საბჭოებში ადგილების 50% ეკუთვნის მუშაკების წარმომადგენლებს. მართვის კოლექტიური მეთოდი, პარტნიორობის პრინციპის რეალიზაცია ახდენს დასახული მმართველობითი, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების მიღწევასათვის მუშაკების დაინტერესების სტიმულირებას, რაც თავის მხრივ თვალნათლივ აისახა შედეგზე: **სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით გერმანიას უკავია I ადგილი ევროპაში და III ადგილი მსოფლიოში.**

მართვის გერმანული სისტემის ძირითადი პოსტულატები:

– სახელმწიფო მართვის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საბაზრო მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სისტემისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის საფუძველის, უზრუნველყოფაში. კონკურენტული ურთიერთობები ხელს უწყობენ ეკონომიკურ პროგრესსა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას;

– სახელმწიფოებრივი ეკონომიკური სტრატეგია უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული და ასრულებდეს “სოციალური გამოსწორების” ფუნქციას, რადგან დიდმა სხვაობამ შემოსავლებში შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, “მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო ღარიბდებიან”. ეს პრინციპი წინააღმდეგობრივია თავისთავად არსში, ვინაიდან საბაზრო ურთიერთობების თავისუფლება გულისმობს აგრეთვე საბაზრო მოღვაწეობის შედეგების განაწილების თავისუფლებას;

– წარმოების განვითარებისათვის შემოსავლების დიდი ნაწილი უნდა დარჩეს მწარმოებლის ხელში, და არ უნდა

მოხდეს მისი ამოღება სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და მოსაკრების სახით. მწარმოებელი თავად ზრუნვას საკუთარი ბიზნესის განვითარებასა და ოჯახის კეთილდღეობაზე, და შესაბამისად, შეზღუდული უნდა იყოს სოციალური ქველმოქმედების ფუნქციები და დოტაციებისა და შეღავათების სახელმწიფოებრივი განაწილება;

– საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდასთან ერთად უნდა შემცირდეს სოციალური დახმარების ოდენობა. თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა აგოს პასუხი თავის თავზე და უზრუნველყოს საკუთარი მომავალი აქტიური მოღვაწეობის წლებში, დააგროვოს დანაზოგი ან გამოიყენოს საპენსიო დაზღვევის სისტემა.

დასკვნა

დასკვნის სახით გვინდა მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის შემდეგი მოსაზრება:

“...გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილ კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულმკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელ საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღწვის, მაშინ წელეზუდაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიმარაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნებია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყეავი. ამ სახით, რაკი გერმანელისთვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან

სწავლულია და ამით ჰშობობს ცხოვრების საგზაღსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალეცად იადვილებს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით კი არა, პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით – იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვინ და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძღვეველია და გამარჯვებული.[5]

ლიტერატურა:

References

1. ilia WavWavaZe. sateqniko da saxelosno saswavleblebis Sesaxeb. rCeuli nawarmoebebi xuT tomad, tomi IV, publicisturi werilebi. gv. 291-294.
2. R&D Spending in U.S. Expected to Rebound // The Wall Street Journal, 21.12.09].
3. <http://www.executiveplanet.com>
4. Иван Измайлов, Шок не по-нашему, 'Энергия промышленного роста', ? 4 [5] Апрель 2006, http://www.epr-magazine.ru/vlast/foreign_exp/german_miracle/
5. ilia WavWavaZe. isev ganaTlebis sakiTxebze. tfilisi, 27 oqtomberi, 1889 w. rCeuli nawarmoebebi xuT tomad, tomi IV, publicisturi werilebi. gv. 272-273.
6. Людвиг Эрхард. Благосостояние для всех. <http://eklit.narod.ru/erhsod.htm>
7. "Национальная система политической экономии". Сочинение д-ра Фридриха Листа, перевод с немецкого под редакцией К.В. Трубникова. С.-Петербург, 1891 г., Издание А.Э. Мартенс//Национальная система политической экономии. Москва: Европа, 2005.- 400 с.

Otar Kochoradze

National schools of management

Summary

“At all times and everywhere intellectual development, morals and activity of citizens were in a full parity with well-being of the nation, and the riches increased or decreased proportionally to these qualities; but never work and thrift, spirit of an ingenuity and enterprise of separate persons did not create anything great there where they did not find a support in civil freedom, establishments and laws, in the state administration and foreign policy, and mainly, in national edinst.

The person only owing to the nation and in bowels of the nation reaches safety and well-being. The nation as the association of people in the isolated territory, formed by means of solidarity of intellectual and material interests, making one independent whole which is recognized above itself with authority of the law, possesses natural freedom in relation to other a similar sort to associations.

The nation with its especial language and the literature, with its own origin and history, with its especial customs, laws and establishments, with its rights to existence, to independence, progress, at the existing world order can provide the independence only with own forces and will". In our opinion these words Friedrich List is better reflect an essence of given clause.

Keywords: The nation, national schools of management, German model of management, public welfare, the state economic policy, socially focused market economy, reforms, stimulation, professionalism, quality and innovations, quality of production, well-being of the nation, the state administration, civil freedom.

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

Кочорадзе Отар Георгиевич
Национальные школы менеджмента

Резюме

«Во все времена и повсюду умственное развитие, нравственность и деятельность граждан находились в полном соотношении с благосостоянием нации, и богатство увеличивалось или уменьшалось пропорционально этим качествам; но никогда труд и бережливость, дух изобретательности и предприимчивости отдельных лиц не создавали ничего великого там, где они не находили опоры в гражданской свободе, учреждениях и законах, в государственной администрации и внешней политике, а главным образом, в национальном единстве и могуществе.

Человек только благодаря нации и в недрах нации достигает безопасности и благосостояния. Нация, как ассоциация людей на обособленной территории, образованная посредством солидарности умственных и материальных интересов, составляя одно самостоятельное целое, которое признает над собой авторитет закона,

обладает естественной свободой по отношению к другим подобного рода ассоциациям.

Нация с ее особенным языком и литературой, с ее собственным происхождением и историей, с ее особенными нравами и обычаями, законами и учреждениями, с ее правами на существование, на независимость, прогресс, при существующем мировом порядке может обеспечить свою самостоятельность и независимость только собственными силами и волей», на наш взгляд эти слова Фридриха Листа лучше всего отражают суть данной статьи.

Ключевые слова: Нация, национальные школы менеджмента, немецкая модель менеджмента, общественное благосостояние, государственная экономическая политика, социально ориентированная рыночная экономика, реформы, стимулирование, профессионализм, качество и инновации, качество продукции, благосостоянием нации, государственная администрация, гражданская свобода

Рецензент – профессор Догонадзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

პ რ ა ქ ტ ი კ ა

აპაპი რატიანი ტურიზმი და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის ბანკოთმარების პრობლემები

ბოლო პერიოდში ტურიზმი იქცა საერთაშორისო მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენად, რომელიც ადამიანების მასობრივი დაინტერესების საგანია. ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება, ადამიანების სურვილის ზრდა ეზიაროს სხვა ხალხის კულტურას, გაეცნოს მის წარსულს, ყოფასა და ბუნებრივ სიმდიდრეს. თავის მხრივ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადამიანების თვალსაწიერის გაფართოებას, დამეგობრებასა და კულტურულ-ეკონომიკური გაცვლის სტიმულირებას.

ეკონომიკური თვალსაზრისით ტურიზმი არის ტურისტების მიერ მატერიალური კეთილდღეობის, მომსახურების მოხმარების განსაკუთრებული სახე, რომელიც გამოიყო მეურნეობის განცალკევებულ დარგად და უზრუნველყოფს ტურისტს ყველა საჭირო საშუალებით: ტრანსპორტით, კვებით, განთავსებით, კულტურული, ყოფითი თუ გასართობი ღონისძიებებით, ასევე სავაჭრო ქსელით. ბევრი ქვეყნისთვის, მათ შორის ისეთი სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა ტურიზმი ნაციონალური ეკონომიკის ერთერთ პერსპექტიულ და სარგებლიან დარგად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, ტურიზმი არა მხოლოდ ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, არამედ ის ადამიანების ცხოვრების ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ, რამდენადაც მოიცავს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტურიზმი არ არის ერთგვაროვანი მოვლენა, მისი სუბიექტებისა და ამ სუბიექტთა მოთხოვნილებების სხვადასხვაობის გამო მიღებულია ტურიზმის გარკვეული ტიპოლოგია. პირობითად ექვს ჯგუფთან გვაქვს საქმე:

1. წყნარი დასვენების მოყვარულები;
2. სიამოვნების მოყვარულები;
3. აქტიური დასვენების მოყვარულები;
4. სპორტული დასვენების მოყვარულები;

5. შემეცნებითი ტურიზმის მიმდევრები;

6. თავგადასავლების მოყვარულები.

შესაბამისად ფართოა ტურიზმის სახეობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა ასეთი ტიპოლოგიის დაკმაყოფილებას შესაბამისი შეთავაზებებით.

დღევანდელი განხილვის თემა სწორედ ასეთი მიდგომებიდან გამომდინარეობს. ტურიზმის სხვადასხვა ფორმები დამოკიდებულია მოთხოვნებზე და მისი მრავალფეროვნებაც სწორედ ამითაა განპირობებული, მაგრამ აქ ჩვენ ამ საკითხზე არ შეეჩერდებით. საერთო ყველა სახისა და ფორმის ტურიზმისათვის არის ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დიდი კვლევა არ არის საჭირო იმისათვის, რომ განვსაზღვროთ რამდენად აუცილებელია იმ ქვეყნისათვის, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიას აწვითარებს კვების ორგანიზაცია. სათანადო დონის კვების ობიექტები, რომლებიც ტურისტებს მოემსახურება უნდა ემთხვეოდეს ტურისტული მარშრუტებს სქემებს, მოიცავდეს რესპექტაბელურ კვების ობიექტებიდან დაწყებული, სწრაფი კვების ობიექტებით დამთავრებული ყველა ტიპის ობიექტს, ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ნაციონალური კვების ორგანიზაციასაც. ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ბევრი პრობლემის მოგვარებასთან მათ შორის:

- ხარისხიანი მშენებლობა;
- სათანადო ინტერიერის მოწყობის საშუალებები;
- შესაფერისი დგამ-ავეჯით უზრუნველყოფა;
- შესაფერისი, ხარისხიანი ჭურჭლით

უზრუნველყოფა, მათ შორის ერთჯერადი მოხმარების საგნებით;

- საჭირო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით მომარგება (აქ საკითხი დგას სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე);

- სათანადოდ მომზადებული პერსონალის მოზიდვა და ა.შ.

ცნობილია რა დიდი ძალისხმევა დასჭირდა ისეთი მიმზიდველი კუთხის აღორძინებას, როგორიცაა ქიზიყი. განახლდა და დამშვენდა ქალაქი სიღნაღი, იგი გარეგნული იერით ევროპის პატარა და ლამაზ ქალაქებს დაემგვანა. მოეწყო დასასვენებელი კუთხეები, საგამოფენო დარბაზით,

მუზეუმით და ა.შ. ამ ქალაქმა ტურისტების დიდი ნაკადი მიიზიდა არა მარტო სვა ქვეყნიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, მათ შორის დედაქალაქიდანაც. სამწუხაროდ სიღნაღელებმა ნაკლებად იზრუნეს სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. რესტორნები და კაფეები, რომელთა გარეგნული იერი პრაქტიკულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ პასუხობს მომხმარებელთა მომსახურების ამოცანებს. პროდუქტის ასორტიმენტი, კერძების მომზადებისა და მომსახურების ხარისხი რბილად რომ ვთქვათ უკეტესის სურვილს ბადებს. ასევე საქმეს ვერ შველის თითო-ოროლა მაღალი კლასის, მაგრამ საქართველოს სინამდვილისათვის ძვირი სასტუმრო. ამიტომაცაა, რომ ქალაქი შებინდებისთანავე ნელ-ნელა იცვლება, მაშინ როდესაც დღესავით განათებულია ლამპიონებითა და დეკორატიული განათებებით. ტურისტებს არ თავაზობენ არც სათანადო გასართობს, იშვიათად ტარდება ე.წ. ქუჩის ზეიმები და სხვა. ბუნებრივია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძნელია სახელმწიფო ორგანოებს მოსთხოვო ყველაფერი ის რაზედაც ჩვენ შენიშვნებს გამოვთქვამთ, თუმცა ურიგო არ იქნება ქალაქის მესვეურებმა გარკვეული ნაბიჯები გადადგან ამ მიმართულებით, რამდენადაც ეს ქალაქის ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს გაუჩენს.

აქვე ავღნიშნავდით იმის თაობაზეც, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. იქნება ეს კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება, მომსახურების მცირე ბიუჯეტისანი მშენებლობა თუ სხვადასხვა ინიციატივები და წახალისებები ბიზნესმენებისათვის, რათა მათ სტიმული მიეცეთ ამ მიმართულებით ინვესტიციებისათვის.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში დიდი როლი ენიჭება სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების განვითარებას. ბუნებრივია ქალაქებისათვის, მათი განვითარებისათვის მეტად მიმზიდველია მარალი კლასის სასტუმროების მშენებლობა, მაგრამ ტურისტული ბიზნესის განვითარებაში, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, დიდი როლის შესრულება შეუძლია პატარა და კომფორტული სასტუმროების ქსელის განვითარებას, განსაკუთრებით ისეთ უბნებში, რომლებიც ისტორიული ღირებულების მქონე დასახლების სიახლოვეს მდებარეობს. ქალაქების არქიტექტურულმა სამსახურებმა შესაძლებელია

